გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.

**ოთხშაბათი, 1 თებერვალი, 2006 წელი.**

№21 (5359)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ხალხის სიცოცხლეა, ცრუილობით და ჭორებით ბედის გადაწყვეტა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. **ფასი 50 თეთრი.**

## მორიგი ჩხუბი საკრებულოში



**თბილისის საკრებულოს სხდომაზე გუშინ დეპუტატებს შორის მორიგი ჩხუბი მოხდა.**

დაპირისპირება სხდომათა დარბაზში „ლეიბორისტ“ პაატა ჯიბლაძის შემოსვლას მოჰყვა. დარბაზში შესვლისთანავე იგი საპრეზიდენტო უმრავლესობის წევრ გიორგი ტაბიძისკენ გაემართა. მცირე შელაპარაკება ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა.

ამ დროს დარბაზში იმყოფებოდნენ თბილისის ყველა რაიონის გამგეობათა წარმომადგენლები და ქალაქის მთავრობის წევრები.

საკრებულოს სხდომა ნახევარი საათით გადაიდო.

## სერგეი შამბა: „კოსოვოს გადაწყვეტილებას“ ჩვენ უფრო ვიმსახურებთ, ვიდრე თვით კოსოვო“

იხ. მე-2 გვ.

◎ ანონსი

## „სახელმწიფო პენსიის შესახებ“

ჩვენი გაზეთის რედაქცია, რომელიც ითვალისწინებს მკითხველთა გაზრდილ ინტერესს, ხვალინდელ ნომერში გამოაქვეყნებს საქართველოს ამ კანონს.



## გიორგი ქვანია: „ზურაბ ჟვანიას თავიდან მოშორების შემდეგ ბევრს ცხოვრება გაუადვილდა“

იხ. მე-3 გვ.

◎ ინფორმაცია

### საქართველოს იუსტიციის მინისტრს ახალი მოადგილე ჰყავს

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე მამუკა გელოვანი დაინიშნა. იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ იგი თანამშრომლებს გუშინ წარუდგინა.

მინისტრის თქმით, მამუკა გელოვანი სამინისტროს ადმინისტრაციისა და ქონებრივი და საფინანსო დეკლარაციების ბიუროს კურატორი იქნება.

მამუკა ნოდარის ძე გელოვანს დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 1990 წლიდან მუშაობს სახელმწიფო უწყებებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, მათ შორის განათლების, ფინანსთა, საგადასახადო შემოსავლების სამინისტროებში და იუსტიციის საბჭოში.

2005 წლის მარტიდან სექტემბრამდე მუშაობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის პოსტზე, ხოლო იუსტიციის მინისტრის მოადგილედ დანიშვნამდე ეკავა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საფინანსო-საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსის პოსტი.

### დავემშვიდობოთ ყველაზე იაფ ტრანსპორტს

თებერვლის შუა რიცხვებიდან დედაქალაქის რამდენიმე უბანში ტროლეიბუსების მოძრაობა შეწყდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ზურაბ ჩიკვილაძემ განუცხადა, მიმდინარე კვირის ბოლოს ტროლეიბუსების ხაზების დემონტაჟი თავისუფლების მოედნიდან რუსთაველის გამზირის მიმართულებით დაიწყება.

ჩიკვილაძის თქმით, ამის შემდეგ, ეტაპობრივად ჩამოიხსნება ხაზები მელიქიშვილისა და კოსტავას ქუჩებზე და გამსახურდიას გამზირზე. „ეს პროცესი გასულ კვირას უნდა დაწყებულიყო, თუმცა, დედაქალაქში არსებული ენერგოკრიზისის გამო დროებით შეყოვნდა. ხაზების ჩამოსახსნელად საჭირო მანქანები თხევად გაზზე მუშაობს“, — აღნიშნა საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა.

მისივე თქმით, ტროლეიბუსების მიმოსვლა შეწყდება თავისუფლების მოედნიდან მელიქიშვილის გამზირის მიმართულებით, ასევე საბურთალოსა და ალმაშენებლის გამზირებზე. ჯერჯერობით აქ გაუქმდება №9 მარშრუტი (ვაგზლის მოედანი — ჭავჭავაძის გამზირი — ბაგები).

დღეისთვის თბილისში სულ 100-მდე ტროლეიბუსი მოძრაობს. მგზავრობის ფასი 10 თეთრია.

ინტერპრესნიუსი

## პრივატიზაცია: ეკონომიკის დედა თუ დედინაცვალი?

იხ. მე-3-4 გვ.



## პოლიტიკაში სანახევროდ მოქცევა არ შეიძლება



სალომე ზურაბიშვილი ახალ პარტიას ქმნის

იხ. მე-3 გვ.

◎ პანორამა



ლონდონში გაიხსნა ავღანეთის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. ამ ორდღიანი ფორუმის შედეგების მიხედვით, რომელშიც 60-მდე ქვეყანა მონაწილეობს, მიიღებენ „ავღანეთის ხელშეკრულებას“. დოკუმენტში მხარეები დააფიქსირებენ დონორი ქვეყნების საქმიანობის კოორდინაციისთვის გამიზნულ კონკრეტულ ნაბიჯებს და 2006-2010 წლების პერიოდში ავღანეთის რეკონსტრუქციისა და განვითარების მეორე ეტაპის განხორციელების მექანიზმებს.

* * *

შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ესპანეთის პრემიერ-მინისტრი თვითონ არღვევს სამუშაო ადგილებში თამბაქოს მოწევის აკრძალვის შესახებ მის მიერვე მიღებულ კანონს. ამ ცოტა ხნის წინათ ესპანეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჟღერდა ცნობამ იმის შესახებ, რომ როდრიგეს საპატიო პრეზიდენტის სასახლეში ერთ-ერთი შეხვედრის დროს ეწეოდა, თანაც, მან რამდენიმე სიგარეტი მოსწია. ესპანეთის ოპოზიცია აცხადებს, რომ „გაარკვევს“ ამას.



## მე კავკასიელი ვარ და კარგად მესმის იქაური ხალხის პრობლემები

იხ. მე-2 გვ.



იხ. მე-4 გვ.

## წარმოიდგინეთ, თქვენი შვილი რომ ნახოთ ნანგრევებში, თავგაჩეხილი და დამტვრეული...

## ხანუმ, კიდევ დაგრჩა კოჭლები, ბრუციანები, უშვილოები, ქვრივები გასათხოვებელი?!.



იხ. მე-7 გვ.

◎ ვიპ-პერსონა

## ძირხვენა ჰეტმანის ჰკლავის გასახსენებლად!



ნათლისღების ყინვების დადგომის წინ უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ განაცხადა, რომ ჯერ კიდევ ბავშვობიდან კარგად ახსოვს, თუ როგორ ათბუნებდნენ მისი მშობლები საცხოვრებელს, როგორ აწებებდნენ ქაღალდს ფანჯრის მინებზე, სახლის ირგვლივ კი ნამჯას ან კარტოფილის მკლავს აწყობდნენ. ამით მან უკრაინის მცხოვრებლებს არაორაზროვნად მიანიშნა, რომ ცუდია ძველი კაზაკური საშუალებების დავიწყება... მაგალითად, გაზაფხულზე ჭინჭრის წვნიანის მოხარშვა...

◎ თემიდა

# დაკითხეს ოპიზარი გასაშტერებელი...

**პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ კობა ბექაური დაჰკითხა. – მე ვამბობდი და ვიტყვი სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს და არაფერს სიმართლის გარდა, – ასე, ლამის საზეიმოდ დადო ფიცი დეპუტატმა. თუმცა, სანამ მას დაუსვამდნენ შეკითხვებს, კომისიამ საყურადღებო ინფორმაცია მიიღო.**



საბაჟო ტერმინალ „ლილო-1“-ის რეჟიმის სამსახურის ხელმძღვანელმა ლეილა დაუშვილმა საბაჟო დეპარტამენტი იმპორტიორებზე ზემოქმედებაში დაადანაშაულა. მისი თქმით, საბაჟო „ალმოსავლეთის“ თანამშრომელმა, საბაჟო გაფორმების განყოფილების უფროსმა ვატო თოხაძემ იმპორტიორებს, რომლებიც ტვირთს „ლილო-1“-ში ცლიდნენ, მოუწოდა, ტვირთი „ოპიზაში“ გადაეტანათ და იქ განებაჟებინათ.

დაუშვილმა სხდომაზე შიდასატრანსპორტო ზედდებულების დოკუმენტაცია წარმოადგინა. მისი თქმით, იქ მითითებულია, რომ ტვირთი, არა „ლილო-1“-ში, არამედ „ოპიზაში“ უნდა განბაჟდეს. თუ ეს ყველაფერი დადასტურდება, კანონდარღვევად ჩაითვლება და შესაბამისი თანამდებობის პირები დაისჯებიან. აქვე შეგახსენებთ, რომ „ლილო-1“-ის წინააღმდეგობის მიუხედავად, თავის დროზე საბაჟო ადმინისტრაცია და გაფორმების ჯგუფი „ოპიზაში“ გადაიტანეს, რაც ცალკე შენობის გამოყოფით და უკეთესი სამუშაო პირობების შეთავაზებით ახსნეს. „ლილო-1“-ის თანამშრომლის თქმით, ასე მომზადდა საფუძველი საბაჟო ტერმინალის გასაკოტრებლად.

დროებით საგამოძიებო კომისიას ძალიან შესტკივა გული „ოპიზაზე“. მაგალითად, მის წევრებს არ სურთ, თავიანთი საქმიანობით ხელი შეუშალონ საბაჟო ტერმინალს. მიუხედავად იმისა, რომ „ოპიზას“ გენერალური დირექტორი ადრე დაიკითხა და გუშინ არ იყო დაბარებული, მაინც გამოცხადდა. ფიქრია ჩიხრაძე „დაეჭვდა“, ამ კაცს კომისიაში რამე თანამდებობა ხომ არ მივეცით, სხდომებს რომ არ აცდენსო. იგი და სხვა ოპოზიციონერები „შეშფოთდნენ“, ჯავახიძის მუდმივად აქ ყოფნის გამო ტერმინალის მუშაობა არ ჩავარდესო. ეს ყველაფერი, ცხადია, ხუმრობით. ხალისიანი განწყობა არც კობა ბექაურს დაურღვევია. სწორედ, რომ პირიქით.

თავდაპირველად დეპუტატმა სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ის, რაც სასამართლოში რამიშვილ-კოხრეიძის საქმის განხილვის დროს განაცხადა.

– არ მინდოდა, ყველაფერი ასე დამთავრებულიყო, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. მაშანტაჟებდნენ სიცრუეზე აგებული ფილმით, ვთხოვდი, აუდიტორიისთვის ობიექტური ინფორმაცია მიეწოდებინათ. ბოლოს ვითარება ისე გამწვავდა, რომ იძულებული გავხდი, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მიმემართა.

კობა ბექაურმა არც იმის გამეორება დაიზარა, რომ ფულის გადახდას არ აპირებდა. რაც შეეხება „ოპიზას“ საქმიანობაში ჩარევას, კატეგორიულად უარყო – ტერმინალს ხელმძღვანელები ჰყავს და ჩემი მითითებები არაფერში სჭირდებათო. დაუშვილის ბრალდება, რომელიც მას თურმე კომისიის სხდომაზე მოსვლამდე შეუტყვია საინფორმაციო პროგრამებიდან, უსაფუძვლოდ ჩათვალა. თავდასხმა საუკეთესო თავდაცვააო, – ამბობენ. ალბათ, ამიტომაც გადაწყვიტა ბექაურმა ამ პრინციპის არჩევა, ოღონდ მეტისმეტი მოუვიდა და ყველა გაგვამხიარულა. – მე ამ ქალს არ ვიცნობ, არასდროს მინახავს, ფიქრია ჩიხრაძეს კი კარგად გამოსდის კრიმინალებთან მეგობრობა და მათი დაცვაო. იქვე განმარტა, რატომ უწოდა ლეილა დაუშვილს კრიმინალი – 2003 წელს იგი სახელმწიფო ქონების დატაცებისთვის

[illegible]

...ბოგის პირისძ გაწირვაა დაგეგმილი.

**რუსუდან გახარია**

◎ პრესკონფერენცია კრემლში

# ვლადიმერ პუტინმა გაკვირვება გამოთქვა...

**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი რუსეთ-საქართველოს შორის გართულებულ ვითარებაზე პასუხისმგებლობას საქართველოს ხელისუფლებას აკისრებს და პრაქტიკულად ყველა საკითხზე თანამშრომლობისთვის მოსკოვი მზადყოფნას გამოთქვამს.**



„რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესება რუსეთთან დამოკიდებულებაში საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა მხრიდან სიტუაციის ადეკვატურ შეფასებაზეა დამოკიდებული“, – განაცხადა გუშინ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა კრემლში გამართულ ყოველწლიურ პრესკონფერენციაზე რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ვითარების კომენტირებისას.

პუტინმა რუსეთიდან საქართველოში ელექტროენერგიისა და გაზის მიწოდების შეწყვეტასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების განცხადებების გამო გაკვირვება გამოთქვა.

მისივე თქმით, მაშინ, როცა საქართველოსთვის ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენისათვის რუსმა სპეციალისტებმა 30-გრადუსიან სიცივეში დღე და ღამე იმუშავეს, მათ საქართველოს ხელისუფლებისგან მხოლოდ კრიტიკა მიიღეს.

„საქართველოს მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ რუსეთთან ასეთი დამოკიდებულებით საქართველოს რიგითი მოქალაქის მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, რაზეც პასუხისმგებლობა საქართველოს ხელისუფლებას ეკისრება“, – აღნიშნა პუტინმა.

საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის ხელისუფლების გეგმებზე საუბრისას, პუტინმა აღნიშნა, რომ რუსი ხალხისათვის „ქართველი ხალხი ისტორიითა და კულტურით ყველაზე ახლობელი ხალხია და რუსეთში ყოველთვის ახსოვთ და აფასებენ იმ ღვაწლს, რაც რუსეთისა და საბჭოთა კავშირის მოქალაქე ქართველებმა რუსეთის გაძლიერებაში შეიტანეს“.

რუსეთის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ რუსეთ-საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებისათვის რუსეთის ხელისუფლება მზად არის, „პრაქტიკულად ყველა მიმართულებით ითანამშრომლოს საქართველოს ხელისუფლებასთან“.

**ინტერპრესნიუსი**

◎ მინისტრთა მოლოდინში

# როდის მიიღებს ხალხი პენსიას?

**„დემოკრატიული ფრონტი“ ამჯერად ფინანსთა და ჯანდაცვის მინისტრებთან შეხვედრას გეგმავდა. პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, ამის შესახებ ორივე უწყების ხელმძღვანელს წინა კვირას წერილობით აცნობეს. სამინისტროებმა შეხვედრის რამდენიმე დღით გადადება ითხოვეს, რათა ანგარიში დეტალურად მოამზადონ და ყველა კითხვას სათანადო პასუხი გასცენ.**

საქმე კი 2003 წლის ნოემბერ-დეკემბერში საქართველოს ზოგ რეგიონში გაუცემელ პენსიებს ეხება. თანხა სადაო მაშინ გახდა, როცა, ჯერ კიდევ ზურაბ ნოღაიდელის ფინანსთა მინისტრობის დროს, პენსია 14-დან 17 ლარამდე გაიზარდა. მთავრობა ამ 3-ლარიან დანამატს დავალიანების დაფარვად თვლიდა. ამის თაობაზე კონსერვატორებმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს და შარშან აპრილში პროცესიც მოიგეს. სასამართლოს გადაწყვეტილებით დანამატისა და დავალიანებების გაცემა ცალ-ცალკე უნდა მომხდარიყო. ამ ნიადაგზე დავალიანება დაახლოებით 20-25 მილიონ ლარს შეადგენს. მაშინ მთავრობამ აღიარა, რომ ვალი უნდა გასტუმრებულიყო, მაგრამ, პარლამენტარ კახა კუკავას თქმით, ბიუჯეტში საჭირო ცვლილებები დღემდე არ შეუტანიათ. ბიუჯეტში თანხის არსებობაზე შესაბამისი უწყებიდან მათ ზეპირი თანხმობა მიიღეს, თუმცაღა რა გრაფიკით გაიცემა ეს პენსიები, რა თანხაა გაწერილი ამისთვის, ბიუჯეტში არაფერი წერია.

„დემოკრატიული ფრონტის“ წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ, პირველი შეხვედრის ჩაშლის მიუხედავად, ერთი კვირის შემდეგ ფინანსთა და ჯანდაცვის მინისტრები, მათ მიერ დასმულ შეკითხვებს ამომწურავად უპასუხებენ.

**ლელა ცქიტიშვილი**

◎ აქტუალური თემა

# დამკვირვებლები ჩაურევლობას ამჯობინებენ

**გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა 31 იანვრისთვის დაგეგმილ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომამდე, რომელზეც საბჭომ აფხაზეთის შესახებ მორიგი რეზოლუცია უნდა მიიღოს, აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ სპეციალური მოხსენება გააკეთა. ანანი კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ თბილისსა და სოხუმს შორის აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ომის განუახლებლობისა და დევნილთა დაბრუნების თაობაზე. გაეროს გენმდივანი მხარეებს ურჩევს, თავი შეიკავონ ისეთი განცხადებების გაკეთებისგან, რომელმაც შესაძლოა, ხელი შეუშალოს სამშვიდობო პროცესს. იგი გაეროს უშიშროების საბჭოს საქართველოში მოქმედი გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის 6 თვით, ანუ 2006 წლის 31 ივლისამდე გაგრძელებას სთავაზობს.**

მოკლედ, გაეროს გენერალური მდივანი ქართულ და აფხაზურ მხარეებს ერთმანეთის პრეტენზიების გათვალისწინებისკენ მოუწოდებს და იმედს გამოთქვამს, რომ უსაფრთხოების საკითხებზე მიმდინარე მოლაპარაკებები მხარეთა წარმომადგენლების „ყველაზე მაღალ დონეზე შეხვედრით დასრულდება“.

იმედი იმედად, მაგრამ ფაქტია, რომ გაეროს დამკვირვებლები მუდმივად თვალს ხუჭავენ გალის რაიონში აფხაზური ადმინისტრაციის მოქმედებაზე, რომელიც შეიძლება ითქვას, აპარტეიდის ნიშნებს ატარებს. ასეთი მაგალითები კონფლიქტის ზონაში მრავლადაა.

ქართული მხარე 2-3 თებერვლისთვის ჟენევაში დაგეგმილ შეხვედრაზე გალის სკოლის დირექციაზე აფხაზური ადმინისტრაციის ზემოქმედების საკითხს პრინციპულად დააყენებს. როგორც ცნობილია, გალის ქართულ საშუალო სკოლაში რამდენიმე დღეა სასწავლო პროცესი შეწყვეტილია. ამის მიზეზი გალში, გაეროს ოფისში ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების დროს ამ სკოლის მოსწავლეების აქტიურობა გახდა. რამდენიმე მოსწავლე ფანჯრებიდან მოლაპარაკებებზე ჩამოსულ ჟურნალისტებსა და დელეგაციის წევრებს ქართულად მიესალმა, რის გამოც აფხაზური უშიშროების წარმომადგენლებმა სკოლის დირექტორი და რამდენიმე პედაგოგი სოხუმში დაიბარეს და დაკითხეს. ამავდროულად რამდენიმე ქართველი პედაგოგი სამსახურიდან დაითხოვეს.

სამწუხაროდ, გალის ქართულ მოსახლეობაზე ძალადობა უცხოელი დამკვირვებლების თვალწინ მიმდინარეობს. დამკვირვებლები კი ყოველთვის ჩაურევლობას ამჯობინებენ. არადა, მუდმივად ითხოვენ მისიის მანდატის გაგრძელებას. ჩვენ კი არავინ გვეკითხება, გვაკმაყოფილებს კი ნეიტრალური დამკვირვებლები?

**მზია გელენავა**

◎ ხმა რუსეთის სათათბიროდან

# მე კავკასიელი ვარ და კარგად მესმის იქაური ხალხის პრობლემები

**31 იანვარს, საერთაშორისო პრესცენტრში „ახალი ამბები“ გაიმართა ვიდეოხიდი „მოსკოვი-თბილისი“.**

**ვიდეოხიდის თემა იყო „ჩრდილოეთ კავკასია და ამიერკავკასიაში არსებული სიტუაცია“, რომელიც ენერგეტიკულ პრობლემებს, ცხინვალის ზონასა და აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციების პერსპექტივებს მიეძღვნა.**

ვიდეოხიდმა „ახალი ამბების“ პრესცენტრის ჟურნალისტები და „რია ნოვოსტის“ წარმომადგენლები დააკავშირა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საქმეთა და თანამემამულეებთან ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ახმედ ბელალოვს. იგი დაღესტნის რესპუბლიკაში, ხუნძახის რაიონის, სოფელ ოზოდაში დაიბადა და გაიზარდა. ჯერ ს. ორჯონიკიძის სახელობის მართვის სახელმწიფო აკადემია, შემდეგ – რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემია დაამთავრა. იგი კავკასიელია, მაგრამ... ახმედ ბელალოვი დღეს რუსეთის ოლიგარქია, ამდენად, ამ ქვეყნის ინტერესების დამცველია. იგი „კომპანია სევერის“ გენერალური დირექტორია.

– ბოლო კვირა ენერგოკრიზისის მოგვარებას დასჭირდა. მომავალი კვირა კი სამხრეთ ოსეთის თემას შეეხებაო, – თქვა მან და დასძინა, რომ ახლო მომავალში დაიწყება სამხრეთ ოსეთიდან რუსული ჯარის გაყვანა. მე კავკასიელი ვარ და კარგად მესმის ამ ხალხთა პრობლემებიო, – დასძინა მან.

შეკითხვაზე – როგორ გამოიკვეთება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების გზებიო, მან დააიმედა ჟურნალისტები, ჩქარაო. აგრეთვე, ილაპარაკა აფხაზეთიდან და ოსეთიდან წასულ ჩვენს მოქალაქეებზე, რომლებიც რუსეთის მოქალაქეები არიან და რუსულ პენსიას (200 ლარის ეკვივალენტსძ იღებენ. საქართველოს მთავრობა ამბობს, ისინი ჩვენი მოქალაქეები არიან და პენსიებს თავად გადავუხდითო. ამაზეც მიდის მოლაპარაკება, განაცხადა რუსეთის სათათბიროს წარმომადგენელმა.

შეხვედრაზე ახმედ ბელალოვს აშკარად ეტყობოდა, რომ საქართველოს მიმართ კეთილგანწყობილია. მან საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული დაღესტნელი პოეტი რასულ გამზათოვიც გაიხსენა, რომელმაც არაერთი ლექსი უძღვნა ქართველ ხალხს.

რასულ გამზათოვის გულწრფელი სიტყვები, საუკუნეებიც რომ გავიდეს, ყოველთვის გვემახსოვრება, მაგრამ რუსეთში გამდიდრებული დაღესტნელი ოლიგარქის სიტყვები რამდენად სარწმუნოა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

**ნანა სულავა**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთის პოზიცია შეშფოთებას იწვევს

მარკ ტერნერი, ტომ უორნერი,
„ფაინენშლ ტაიმსი“
(დიდი ბრიტანეთიძ, 31 იანვარი.
FT.com FINANCIAL TIMES

**რუსეთმა უარი განაცხადა აფხაზეთის ავტონომიის სტატუსის უზრუნველყოფის საერთაშორისო გეგმის მხარდაჭერაზე. ეს იწვევს შეშფოთებას: ხომ არ აპირებს მოსკოვი უფრო აშკარად დაუჭიროს მხარი აფხაზეთის მოთხოვნას დამოუკიდებლობის შესახებ?**

ასეთი ნაბიჯი გადაიდგა მაშინ, როცა გაეროს უშიშროების საბჭო ემზადებოდა აფხაზეთში გაეროს მეთვალყურეთა მანდატის განახლებისთვის, და ამან გამოიწვია დასავლეთის დიპლომატიური წრეების დიდი შეშფოთება.

ნიუ-იორკში დახურულ კარს მიღმა გამართულ შეხვედრაზე რუსეთმა განაცხადა: სამართლიანად ველარ აღიარებს იმას, რომ აფხაზეთის მომავლის თაობაზე კვლავაც დაიმოწმონ გაეროს წარმომადგენლის დიტერ ბოდენის მიერ შედგენილი დოკუმენტი. ეს დოკუმენტი ითვალისწინებს „კომპეტენციათა გამიჯვნას“ და ეფუძნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სრულ პატივისცემას.

რუსი დიპლომატის თქმით, მოსკოვი არ უარყოფს გეგმას, და კვლავ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ბოდენის დოკუმენტი უარყო აფხაზურმა მხარემ და ამის გამო იგი ვერ იქნება ეფექტიანი საფუძველი ინტენსიური მოლაპარაკებისთვის.

„ჩვენ ვერ დავიწყებთ სრულფასოვან დიალოგს იმ დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც მთლიანად უარყო ერთ-ერთმა მხარემ“, – თქვა დიპლომატმა. დასავლელი დიპლომატები შიშობენ, რომ ასეთმა ნაბიჯმა შეიძლება გაააქტიუროს მოქმედება რუსეთთან აფხაზეთის ფაქტობრივი შერწყმის მიმართულებით, და აღნიშნავენ, რომ რუსეთი ავლენს პარალელებს კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის მინიჭების გეგმებთან.

გაეროში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა რევაზ ადამიამ განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება ნიშნავს „საგრძნობ ძვრებს რუსეთის პოლიტიკაში“, და თქვა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა აფხაზეთის გარეშე, უაზრობაა.

ქართველმა პოლიტოლოგმა გია ნოდიამ აღნიშნა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში მზარდი დაძაბულობა უკავშირდება იმას, რომ საქართველომ მოითხოვა რუსი სამშვიდობოების გაყვანა აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან.

თბილისი მოსკოვს ადანაშაულებს იმაში, რომ იგი სამშვიდობო ჯარებს იყენებს ამ ორი თვითაღიარებული რესპუბლიკის „მცოცავი ანექსიის“ პოლიტიკის განხორციელებისთვის. „საქართველოს მთავრობას შეგნებული აქვს, რომ არაფერს თუ არ იღონებს, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ყველასგან მივიწყებული იქნება და ეს ტერიტორიები განაგრძობენ არსებობას თავიანთი ამჟამინდელ მდგომარეობაში“, – მიაჩნია ნოდიას.

საქართველოს პარლამენტი გასულ წელს აცხადებდა, რომ სამშვიდობო ძალებს შეიძლება მოსთხოვონ ქვეყნის ტერიტორიის დატოვება, და ამ თვეში იგი უკვე ემზადება ზემოაღნიშნული საკითხის თაობაზე დებატების განახლებისთვის.

რუსეთი შედის „მეგობართა ჯგუფში“, რომელიც აერთიანებს ასევე გერმანიას, შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს და საფრანგეთს. ეს ქვეყნები ცდილობენ ზემოქმედების მოხდენას კონფლიქტის მოგვარებისთვის მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებაზე.

უშიშროების საბჭო, როგორც მოელიან, 31 იანვარს კენჭს უყრის მისიის „ტექნიკურ გახანგრძლივებას“. გაეროს ამ ცოტა ხნის წინანდელ ანგარიშში, რომელიც ეხებოდა აფხაზეთში შექმნილ სიტუაციას, ხაზგასმული იყო, რომ „სულ უფრო რთულდება იქ შექმნილი კომპლექსური ვითარება“ და მოყვანილი იყო საქართველოს მხარის მტკიცება იმის თაობაზე, რომ გალის რაიონში ხდება მკვლელობები და ადამიანის უფლებათა დარღვევები. აფხაზურ მხარეს მიაჩნია, რომ დაძაბულობა გალის რაიონში გამოიწვია ქართველთა შეიარაღებული ჯგუფების გააქტიურებამ.

# აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის მიმართვა საერთაშორისო გაერთიანებისადმი

„აფსნიპრესის“
საინფორმაციო სააგენტო.
АПСНЫПРЕСС

**სოხუმი. აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტი გაეროს, ეუთოს, ევროპის საბჭოს და ევროკავშირის სახით მიმართავს საერთაშორისო გაერთიანებას „შეაჩერონ დაგმოს საქართველოს ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკა“, აგრეთვე, მოითხოვოს „ქართული ტერორისტული ჯგუფების დაშლა, რომლებსაც საქართველოს ტერიტორიიდან გზავნიან აფხაზეთში“. ეს ხაზგასმულია პარლამენტის განცხადებაში, რომელიც 30 იანვარს გაავრცელეს.**

აფხაზეთის პარლამენტი რუსეთის სამშვიდობო ძალებს მიიჩნევს „ქართულ-აფხაზური დაპირისპირების ზონაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების მთავარ გარანტად“. „მათმა გაყვანამ, რასაც ესწრაფვის საქართველოს ხელისუფლება, შეიძლება გამოიწვიოს გაეროს მისიის შეწყვეტა და ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედების განახლება“, – აღნიშნულია განცხადებაში.

პარლამენტის დეპუტატები დარწმუნებული არიან, რომ „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების შესახებ მოლაპარაკების პროცესის გაგრძელება არის საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენის ერთადერთი და უალტერნატივო გზა“. „ჭეშმარიტ მშვიდობას შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ ორი სახელმწიფოს – აფხაზეთის რესპუბლიკის და საქართველოს რესპუბლიკის ურთიერთაღიარების გზით“, – ხაზგასმულია განცხადებაში.

# სერგეი შამბა: „კოსოვოს გადაწყვეტილებას“ ჩვენ უფრო ვიმსახურებთ, ვიდრე თვით კოსოვო"

„რეგნუმ“
საინფორმაციო სააგენტო.
REGNUM

**ჩვენი კორესპონდენტის თხოვნით, რუსეთის ფედერაციის მთავრობის წევრებთან გამართულ თათბირზე კოსოვოს პრობლემის გადაწყვეტის გზების შესახებ ვლადიმერ პუტინის განცხადებას კომენტარი გაუკეთა აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ. პუტინმა განაცხადა, რომ კოსოვოს კონფლიქტის მოგვარების ყველა კომპონენტს უნდა ჰქონდეს „უნივერსალური ხასიათი“, და, კერძოდ, ისინი შეიძლება გამოიყენონ პოსტსაბჭოურ სივრცეში სხვა მოუგვარებელი კონფლიქტების მიმართაც. როგორც ცნობილია, ერთ-ერთი ასეთი კონფლიქტია ქართულ-აფხაზური. ამასთან დაკავშირებით სერგეი შამბამ აღნიშნა:**

„ქართულ-აფხაზური ომის დასრულებიდან გასული 13 წლის განმავლობაში ჩვენ დავადასტურეთ ჩვენი სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების თვალსაზრისით. აქ აშკარაა მთელი რიგი მიღწევები. თუ ვილაპარაკებთ დამოუკიდებლობის მოპოვებაზე ჩვენს სამართლებრივ, ისტორიულად დასაბუთებულ პრეტენზიებზე, ეს ჩვენ უფრო მეტი გვაქვს, ვიდრე, ვთქვათ, კოსოვოს. ამიტომ, თუ აფხაზეთის მიმართ დაშვებული იქნება უსამართლობა, ხალხი იბრძოლებს სამართლიანობისთვის, ხალხი იბრძოლებს დამოუკიდებლობისთვის. ისტორია გვიჩვენებს – ის ხალხები, რომლებიც ესწრაფვიან დამოუკიდებლობას, აღწევენ ამას. ხელშეუვალი საზღვრები არ არსებობს.



რაც შეეხება პუტინის პოზიციაზე იმ საერთაშორისო ინსტიტუტების რეაქციას, რომლებსაც აქვთ დამოკიდებულება აფხაზეთის პრობლემასთან, ჩვენ აქ არანაირი ილუზიებით არ ვართ შეპყრობილი: საერთაშორისო საქმეებში ბევრ რამეს განსაზღვრავს კონიუნქტურა და უზენაესი სამართლიანობის იმედი არ უნდა გვქონდეს. ჩვენ დასახულ მიზნებს მივაღწევთ“.

◎ ინფორმაცია

## შიდა ქართლის რეგიონს გაზის მიწოდება აღუდგა

**შიდა ქართლის რეგიონს გაზის მიწოდება გუშინ დილით აღუდგა.**

**რეგიონის ცენტრალური გაზმომარაგების ონკანი პრეზიდენტის რწმუნებულმა შიდა ქართლში მიხეილ ქარელმა „გორიგაზის“ ხელმძღვანელ ელგუჯა ბერუაშვილთან ერთად გახსნა.**

**რაიონში სერიოზულ პრობლემად რჩება ბუნებრივი აირის დავალიანების ამოღების საკითხი. როგორც „გორიგაზის“ დირექტორი აცხადებს, თუ აბონენტები დავალიანებას უახლოეს დღეებში არ დაფარავენ, იძულებული გახდებიან, რომ ურჩ მომხმარებლებს გაზი ჩაუჭრან.**

**მისივე განცხადებით, დიდი დავალიანების გამო „საქგაზი“ გორისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების აღდგენისგან თავს იკავებდა. თუმცა, საბოლოოდ, მოსახლეობას ანგარიში გაუწიეს და დავალიანების უახლოეს მომავალში დაფარვის პირობით, ბუნებრივი აირი მიაწოდეს.**

## დირექტორის გადაყენებას მოითხოვენ

**თბილისის 50-ე საშუალო სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები და მშობლები დირექტორის გადაყენებას მოითხოვენ.**

**ამ მოთხოვნით საპროტესტო აქციას ისინი დღეს, დილით გამართავენ. როგორც აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნინო გოძსაძე არაკომპეტენტური და არაკოლეგიალური დამოკიდებულებით გამოირჩევა. გარდა ამისა, მასწავლებლები დირექტორს თანამშრომლების უმიზეზოდ დათხოვნაში, ასევე, სკოლის ფონდისთვის თანხის ძალდატანებით შეგროვებაში ადანაშაულებენ.**

## მსგავსი კრიზისები ნიუ-იორკშიც მომხდარა, – გვამშვიდებს გიორგი თავაძე

**ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის გიორგი თავაძის ინფორმაციით, ქვეყანაში ენერგოკრიზისი დაძლეულია.**

**როგორც გიორგი თავაძემ გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოში არსებული ენერგოკრიზისი, ფაქტობრივად, აღმოფხვრილია, რადგან ქვეყანას საკმარისი მოცულობის ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია მიეწოდება.**

**„თბილსრესში“ ამჟამად მუშაობს ორი ენერგობლოკი, მე-9 ენერგობლოკი 260 მეგავატ სიმძლავრეს გამოიმუშავებს, მე-4 ენერგობლოკი – 100 მეგავატს, დატვირთულია მთელი ქალაქი და ბუნებრივი აირის მიწოდება მოსახლეობისათვის გრძელდება“, – განაცხადა თავაძემ.**

**მისი თქმით, მსგავსი სახის კრიზისები უჩვეულო არ არის. „მსგავსი კრიზისები ნიუ-იორკსა და მოსკოვშიც მომხდარა, მთავარია, ჩვენ ამ კრიზისს გავუძელით და დავძლიეთ“, – განაცხადა თავაძემ.**

**ამჟამად საქართველოს ენერგოსისტემა 1350 მეგავატ სიმძლავრეზე მუშაობს და ქვეყანა 27 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას მოიხმარს.**

## მეზობელი ხელს გვიწვდის...

**საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი დავით ინგოროყვა, რომელიც ბოლო ორი კვირის განმავლობაში აზერბაიჯანსა და ირანში მოლაპარაკებებს აწარმოებდა, გუშინ ბაქოდან თბილისში დაბრუნდა.**

**„ამერიკან ექსპრესის“ მატარებლით თბილისში ჩამოსულმა ინგოროყვამ განაცხადა, რომ საქართველო ბუნებრივ აირს ირანიდან და აზერბაიჯანიდან მანამდე მიიღებს, ვიდრე რუსეთიდან გაზმომარაგება სრულად არ აღდგება.**

**„ირანული და აზერბაიჯანული გაზით იმუშავებს მეცხრე და მეოთხე ენერგობლოკები. რუსეთიდან გაზმომარაგების სრულად განახლების შემდეგ კი იმპორტი შეწყდება“, – განაცხადა ინგოროყვამ.**

**ამჟამად საქართველო ირანიდან 2 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს იღებს. დავით ინგოროყვას თქმით, ირანული გაზი მინიმალურ ფასად არის შეძენილი და მისი საფასური მოსახლეობის გადასახადზე არ აისახება.**

**ინტერპრესნიუსი**

⊙ პარტიებსა და მოძრაობებში

# პოლიტიკაში ნახევრად გადასვლა არ შეიძლება

## სალომე ზურაბიშვილი ახალ პარტიას ქმნის

**საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი სალომე ზურაბიშვილი 6 კვირის განმავლობაში ევროპაში იმყოფებოდა: საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიაში, ავსტრიაში, დიდ ბრიტანეთში. შეხვდა საზოგადოების წარმომადგენლებს, „რათა შემეტყო, თუ როგორ უყურებს ევროპა საქართველოს მოვლენებს, რათა იქ შეეგნოთ ჩვენში მათი აქტიურად შემოსვლის აუცილებლობა“.**

**სალომე ზურაბიშვილმა პარიზში ყოფნის დროს დააარსა „ევროპული ინიციატივა საქართველოსთვის“. საზოგადოებრივი მოძრაობის ლიდერის თქმით, დღეს ევროპას უფრო მეტად აინტერესებს საკუთარი, შიდა პრობლემები, ვიდრე — დანარჩენი მსოფლიო.**

— ფაქტობრივად, ომი მქონდა მათთან საქართველოს თაობაზე, — ამბობს ქალბატონი სალომე, — ისინი საქართველოს თურქეთის იქით მოიაზრებენ. მე მათ ავუხსენი, რომ რუკას შეხედონ თანაც, საქართველო თურქეთის მიღმა სულაც არ გრძნობს თავს. იგი მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, როგორც რუმინეთის და ბულგარეთის მეზობელი. ეს არის გეოგრაფიული და, გნებავთ, პოლიტიკური რეალობაც, რადგან ყველაფერს განსაზღვრავს ის, შენ როგორ აღიქვამ საკუთარ თავს, და არა ის, თუ როგორ გხედავენ სხვები. მათ ჰგონიათ, რომ ქართველის ცნობიერება თურქთან შედარებით ნაკლებად ევროპულია.

ჩემი შეხვედრები ძალზე საინტერესო აღმოჩნდა. როგორც მინისტრს, ასეთი საუბრები რაღაც ფორმალობის გამო ვერ მექნებოდა, მათ თამამად ვერ მივუთითებდი, რომ არასწორად იქცევიან.

***— გამოდის, რომ კმაყოფილი ხართ ამ ევროპული ტურნეთი?***

— ვერ ვიტყვი, რომ ამ ექვს კვირაში მათ შეხედულება შევუცვალე საქართველოზე და, ზოგადად, რეგიონზე. მუდმივი მუშაობაა აუცილებელი, რაც შეიძლება მეტი ქართველი უნდა მონაწილეობდეს მასში. ოღონდ არა ისე, როგორც მთავრობის წარმომადგენლები აკეთებენ. აცხადებენ, რომ საქართველოში არის დემოკრატია, ოპოზიციონერების ჩასახლებს კი ყველაფერი მიიღებენ არის — საქართველოში საზოგადოება ტრიალებს, არაფერი კეთდება და ქვეყანა იძირება. ეს ევროპელებს არაფერს აძლევს. მე მხოლოდ ვეუბნებოდი, რომ მათი კულტურული თანამშრომლობისით უნდა წარმოდგინდეს, რაც შეიძლება მრავალი კულტურის მოღვაწე უნდა ჩადიოდეს იქ. სასიხარულოა, რომ ახალგაზრდა ქართველმა რეჟისორებმა წარმატებას მიაღწიეს საერთაშორისო კინოფესტივალებში. ისინი არიან საქართველოს სახე და შეუძლიათ ყველა დააჯერონ, რომ ჩვენ მართლაც ევროპას ვეკუთვნით.

აქვე სინანულით მინდა დავძინო, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში ძალზე შეზღუდეს სწორედ კულტურის დეპარტამენტი. კულტურა ხომ საქართველოს საგარეო პოლიტიკას ყველაზე მეტად წარმართავს, იგი მთავარი საექსპორტო მასალაა, უფრო ღირებული არაფერი გვაბადია. როცა ჩვენი ეკონომიკა წინ წაიწევს, სხვა საქმეა, ახლა კი, ჩვენი დასაყრდენი სწორედ კულტურაა.

***— ევროპაში თქვენს გამგზავრებას დაემთხვა ენერგობლოკადა საქართველოში. როგორც დიპლომატი, როგორ შეაფასებთ არსებულ ვითარებას, თუნდაც რუსეთის მიმართ გაკეთებულ განცხადებებს?***

— ამგვარი მიდგომა რუსეთის მიმართ საერთოდ არ შეიძლება. თუ მეზობელია და მასთან ნორმალურ ურთიერთობას ვაპირებთ, ეს არ გულისხმობს, რომ ჩვენ დავუჩოქებთ, ან იმან დაგვიჩოქოს. როცა ვამბობთ, რომ რუსები არ არიან დემოკრატები, მაშინ ჩვენ თავად მივცეთ ამის მაგალითი.

თუ დამოუკიდებლობა გვინდა, მზად უნდა ვიყოთ საერთაშორისო საბაზრო ფასის მისაღებად. არ შეიძლება, ყოველ მეორე დღეს ლანძღავდე რუსეთს, მესამე დღეს კი მისგან მოითხოვდე რაღაც ძველ ფასს, ან თუნდაც სომხეთისთვის განკუთვნილ ფასს. ყველამ იცის, რომ სომხებს რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებთ და ეს თანხა არის ამ მეგობრობის ფასი. სომხებმა ასეთი არჩევანი გააკეთეს. ჩვენც ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რა გვინდა.

თუ დამოუკიდებლობას გავიძახით, მოსახლეობა უნდა შევამზადოთ, რომ გაზრდილი ფასები გვექნება. ჩვენ ამაზე მივდივართ და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა რუსეთი ნორმალურად მოგვექცეს, ანუ, გაზის მოწოდება არ შეგვიწყვიტოს. აქეთკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი ენერგია. ამაში უნდა დაგვეხმაროს ევროპა და ამერიკა.

საჭიროა ამ მხრივ რეალური სტრატეგიის მომზადება, რათა ხვალ უკეთეს სიტუაციაში აღმოვჩნდეთ, მაგრამ რეალურ საქმეს ჩვენ პოპულისტური რეაქციები და „არიქა, მტრის“ ძახილი გვირჩევნია. გასაგებია, ეს რატომაც კეთდება. თან ხალხსაც მოსწონს, რადგან თავს დაჩაგრულად გრძნობს, მაგრამ არსებითად არაფერი იცვლება. ვერ გავიგია, რას გულისხმობენ, როცა ხალხს ეუბნებიან, ხვალ უფრო მომზადებულნი ვიქნებითო, ანუ ისევ შეშის და ნავთის მარაგი მოამზადეთ და დავიწყოთ მსგავსი ეკონომიკური ომიო?! არა მგონია, მოსახლეობა ამისთვის მზად იყოს. ასე რომ, მთავარი რეალური სტრატეგიაა.

***— თქვენც გგონიათ, რომ ირანთან მიღწეული შეთანხმებით გაზის მოწოდებაზე ამერიკას გავალიზიანებთ?***

— მე ასე არ მგონია. ჩვენი ხელისუფლების ამ ნაბიჯს არ ვაკრიტიკებ. ეს არის მომხდარზე ნორმალური რეაქცია. ალტერნატივა ყველგან უნდა ეძებო, რათა ბლოკადას თავი დააღწიო. ტყუილად ჰგონიათ, რომ ამერიკა თითის ქნევას დაიწყებს. მათ მშვენივრად ესმით, რომ ბლოკადის გასარღვევად ეს ნორმალური ქმედებაა.

ერთადერთი, რაც არ მომეწონა, ირანის გადამეტებული აფიშირება იყო. როცა ვიცით, რომ დასავლეთს დაეძაბა ირანთან ურთიერთობა და მას იზოლაციით ემუქრებიან, არ არის საჭირო, ჩვენ ისე აშკარად გამოვჩნდეთ. საქმე უნდა გავაკეთოთ, ოღონდ — ჩუმად. მიმართულება სწორია და იგი ხანგრძლივვადიანი უნდა გახდეს. სომხეთსაც აქვს ირანული გაზი, სხვა ქვეყნებსაც შეიძლება ჰქონდეთ. მთავარია, ამის გამო ჩვენი პოლიტიკა ირანის მიმართ არ შევცვალოთ. იმ დროს, როცა მსოფლიო ირანს ურჩევს, გონს მოვიდეს და ბირთვულ იარაღს არ მიმართოს, გაზის საფასურად ირანს მთლად ფეხებში არ უნდა ჩავუვარდეთ... თავისთავად, კი ირანი დღეს ჩვენი მეგობარია და, სხვათა შორის, არც მე ვარ ირანის აგენტი, როგორც ამაზე ზოგიერთმა გაზეთმა დაწერა.

***— ქალბატონო სალომე, თქვენ ახალი პარტიის ჩამოყალიბებას აპირებთ, რომელიც ახალ ხედვას დაეფუძნება. როგორ ფიქრობთ, საზოგადოებრივი მოძრაობიდან პარტიაზე გადასვლის დრო უკვე მოვიდა?***

— ჯერ არ ვფიქრობდი, რომ ეს დრო მოვიდა, მაგრამ ევროპაში ჩასვლამ აზრი შემიცვალა. იქ შევხვდი სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსებს, რომელთაც დამარწმუნეს, რომ პოლიტიკაში ნახევრად გადასვლა არ შეიძლება. ერთი ჩემი მეგობარი ყოველ დილას ელექტრონული ფოსტით მწერდა, შენ პოლიტიკოსი ხარო, რა თქმა უნდა, მისმა აზრმა ჩემზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა, თუმცა პარტიის ჩამოყალიბება ადგილობრივი არჩევნების მოახლოებამ დამაჩქარებინა. არ შეიძლება, ამ არჩევნებში მონაწილეობა არ მივიღო. ადგილობრივი არჩევნები ხომ დემოკრატიის ხერხემალია, თვითმმართველობა კი — მისი სისხლი.

თუ არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებთ, ხალხიც გვისაყვედურებს, მაშ რისთვის არსებობთო? ამიტომ დავიწყე პარტიის პოლიტიკურ პროგრამაზე მუშაობა, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ გინდა თუ არა ოპოზიციაში გადავდივარ, რაღაც საკითხში შეიძლება ჩემი აზრი დაემთხვეს ამ ხელისუფლების პოზიციას, რაღაცაში კი — არა. პარტიის პროგრამა დავწერე ისე, როგორც ვხედავ ქვეყნის მომავალს საუკეთესო გზებით, როგორსაც მე ჩემთვის ვნატრობ ჩვენს სამშობლოს.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**



⊙ სხვა გაზეთებიდან

# გიორგი ჟვანია: „ზურაბ ჟვანიას თავიდან მოშორების შემდეგ ბევრს ცხოვრება გაუადვილდა“

**პარასკევს საქართველო აღნიშნავს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას დაღუპვის წლისთავს. ოფიციალური ვერსიით, ცნობილი პოლიტიკოსი და მისი მეგობარი რაულ იუსუპოვი მოიწამლნენ მხუთავი გაზით კონსპირაციულ ბინაში. „ვრემია ნოვოსტეის“ საკუთარ კორესპონდენტს საქართველოში მიხეილ ვიგნანსკის ესაუბრა ზურაბ ჟვანიას უმცროსი ძმა, 37 წლის ფიზიკოსი გიორგი ჟვანია.**

***— ამ ტრაგედიის შემდეგ უკვე ერთი წელი გავიდა. რომელ ვერსიას იზიარებენ ამჟამად ზურაბ ჟვანიას ყველაზე ახლობელი ადამიანები?***

— ეს, რა თქმა უნდა, უბედური შემთხვევა არ ყოფილა. ამას არაერთი ფაქტი მიანიშნებს. მრავალ კითხვას ვერ გასცა პასუხი საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ განხორციელებულმა გამოძიებამ. იგი ცდილობს გაამართლოს მხუთავი გაზით მოწამვლის თავდაპირველი ვერსია.

***— თქვენმა ოჯახმა მოითხოვა გამოძიებაში ევროპელი ექსპერტების ჩართვა...***

— პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მივმართეთ ერთადერთი თხოვნით — ამ საქმეში ჩაერთოთ ევროპელი გამომძიებლები. ამის თანხმობა მივიღეთ. მთავრობას უნდა მიემართა ჩვენს მიერ შერჩეული ქვეყნებისთვის. მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, ეს არ მომხდარა. როგორც ჩანს, ამჟამინდელი ხელისუფლების პიროვნებში არ უნდა ველოდოთ რაიმე პროგრესს გამოძიებაში. ინფორმაციას ვაგროვებთ ჩვენ თვითონ, შეძლებისდაგვარად. მაგრამ, ყველა ბერკეტი ხელთ აქვს სახელმწიფო მანქანას, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გააყალბოს ფაქტები. ვფიქრობ, რომ საღლეისოდ, საქართველოში ამ საქმის თაობაზე სიმართლის დადგენა ძალზე გაძნელდება.

***— როდის შეიძლება მთელი სიმართლის გაგება, მრავალი წლის შემდეგ?***

— არა მგონია, რომ ამ ხელისუფლებამ დიდხანს დაჰყოს ქვეყნის სათავეში. მისი პოპულარობა თანდათანობით ეცემა.

***— როგორია თქვენი პირადი ვერსია — ვის უშლიდა ხელს თქვენი ძმა?***

— ზურაბი მარტო პრემიერ-მინისტრი კი არა, გავლენიანი პოლიტიკური ფიგურაც იყო, თანაც, არა მარტო ქართულ პოლიტიკაში. მისი თავიდან მოშორებით ბევრს გაუადვილდა ცხოვრება. ზურაბი ფლობდა სერიოზულ ბერკეტებს, რომლის ხელში ჩაგდებაც ბევრს სურდა.



***— თქვენ ეჭვი გაქვთ ადამიანების ვიწრო წრეზე?***

— დიახ, ეს კონკრეტული პირები არიან, მაგრამ, ჯერჯერობით თავს შევიკავებ ჩემი ვარაუდის გამოთქმისგან.

***— ეს ადამიანები ახლა ხელისუფლებაში არიან?***

— არ მსურს დაკონკრეტება, მაგრამ აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ მიხეილ სააკაშვილმა წინასწარ არაფერი იცოდა, იგი ფაქტის წინაშე დააყენეს.

***— თქვენ გაქვთ კონტაქტები იუსუპოვებთან?***

— დიახ, ისინი იმთავითვე არ იზიარებდნენ ოფიციალურ ვერსიას.

***— თქვენ წინათ გითქვამთ, რომ არსებობს უთანხმოება გამოძიების ფედერალური ბიუროს ექსპერტებისა და ქართველი გამომძიებლების დასკვნებს შორის. რაღაცას ამბობდნენ თითის ანაბეჭდებზე, სიგარეტის ნამწვებზე...***

— იმ ბინაში არანაირი თითის ანაბეჭდები არ ყოფილა — განა ეს საკვირველი არ არის? რაც შეეხება სიგარეტის ნამწვებს, ჩემი ძმა ძალზე სპეციფიკურად ეწეოდა. იგი ბევრს ეწეოდა, მაგრამ სიგარეტს ბოლომდე არ წვავდა, ჩაქრობის დროსაც ნამწვს თავისებურად ჩაჭყლეტდა საფერფლეში. ასეთი სიგარეტის ნამწვები ბინაში ვერ აღმოაჩინეს. იპოვეს მხოლოდ ერთი რაღაც ამის მსგავსი, მაგრამ საკითხავია ის, თუ როგორ მოხვდა იგი იმ ბინაში. ყველა სხვა ნაპოვნი ნამწვი ბოლომდე მოწეული სიგარეტის იყო.

რაც შეეხება გამოძიების ფედერალური ბიუროს დასკვნას. იგი ექსპერიმენტების შემდეგ შეადგინეს. შეადგინეს მას შემდეგ, რაც ზურაბის პირადი დაცვის წევრებმა ვერ შეძლეს პირველ სართულზე მდებარე ბინის იმ ფანჯარაში შეძრომა, რომელშიც, როგორც ამბობენ, შეძვრნენ მაშინ, როცა იგრძნეს რაღაც ცუდი, როცა ზურაბი აღარ პასუხობდა ტელეფონის ზარს. მას შემდეგ, რაც ექსპერიმენტის დროს გაზის გამათბობელმა ბინაში არ გამოაფრქვია მომაკვდინებელი დოზის კონცენტრაცია. ეს ექსპერიმენტი ხორციელდებოდა 4,5 საათის განმავლობაში, არადა, ზურაბი და რაული ბინაში სამ საათზე მეტ ხანს ხომ ვერ იქნებოდნენ. თვით გაზის გამათბობელზეც ვერ აღმოაჩინეს რაიმე გაუმართაობის, ან მხუთავი აირის კვალი. გამოძიების ფედერალური ბიუროს დასკვნაში არის რამდენიმე ფრაზა იმის შესახებ, რომ ისინი არ ეწინააღმდეგებიან ქართველი გამომძიებლების დასკვნას. მაგრამ დანარჩენი, რაც ამ 23-ფურცლიან დასკვნაში წერია, ამას ეწინააღმდეგება!

***— თქვენ გითქვამთ, რომ ზურაბი დაუყოვნებლივ რეაგირებდა ბინაში რაიმე საეჭვო სუნზე...***

— ხშირად, როცა სახლში მოსულა, უთქვამს: „მე მგონი, გაზის სუნი დგას“. იგი შედიოდა სამზარეულოში, ამოწმებდა გაზის ონკანს, კაბინეტის ფანჯრები ზამთარშიც კი შეღებული ჰქონდა. და კიდევ, საბურთალოს ქუჩაზე მდებარე იმ ბინაში მრავლად იყო ხელოვნური ყვავილები. არადა, ზურაბი მათ ვერ იტანდა! ახლობლებთან სტუმრად მისულს ასეთი ყვავილები რომ ენახა, შეეძლო თვითონ გადაეყარა ისინი.

***— თქვენ მიგაჩნიათ, რომ ზურაბ ჟვანია საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ბინაში არ დაღუპულა?***

— ალბათ, იგი იქ გადაიყვანეს მაშინ, როცა უკვე უგონოდ იყო.

***— სახელმწიფო თუ ზრუნავს ზურაბ ჟვანიას ოჯახზე?***

— დიახ, ოჯახი უზრუნველყოფილია მატერიალურად, ბინით.

ВРЕМЯ
*31 იანვარი*

⊙ ინფორმაცია

### ხაინდრავა ჩქარობს...



კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა ატყობინებს, რომ მართალია, საქართველოში „თურქი-მესხების“ რეპატრიაცია 1992 წლიდან დაიწყო, მაგრამ ეს პროცესი ნელა მიმდინარეობს.

ხაინდრავას ინფორმაციით, დღემდე საქართველოში სულ ათასი „თურქი-მესხი“ დაბრუნდა. „1944 წელს საქართველოდან 92 ათასი „თურქი-მესხი“ იქნა დეპორტირებული. ამჟამად აზერბაიჯანში 70 ათასი „თურქი-მესხი“ ცხოვრობს, ყაზახეთში — 160 ათასი, თურქეთში — 35 ათასი, უზბეკეთში — 70 ათასი, უკრაინაში — 12 ათასი, რუსეთში — 50 ათასი და ყირგიზეთში 40 ათასი“, — აცხადებს გიორგი ხაინდრავა.

სახელმწიფო მინისტრი „თურქ-მესხებს“ „ეთნიკურ ქართველებს“ უწოდებს და აცხადებს, რომ რეპატრიაციის პროცესი გაიხსნება, როდესაც საზოგადოებისთვის თითოეული მათგანის ისტორიის შესახებ ინფორმაცია მიიღება.

გიორგი ხაინდრავას თქმით, ამჟამად საქართველოს მთავრობა რეპატრიაციის პროგრამის შემუშავების მიზნით „თურქი-მესხების“ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებებს მართავს. „თურქი-მესხების“ საქართველოში დაბრუნება ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებაა, მაგრამ, გიორგი ხაინდრავას თქმით, ეს პირველ რიგში, „ღმერთის წინაშე ქართველი ხალხის ვალდებულებაა“. „ჯერ არავინ იცის, თუ როდის დასრულდება ეს პროცესი“, — აცხადებს სახელმწიფო მინისტრი.

### სერგეი შამბა „ბოლომდე ბრძოლით“ იმუქრება

სეპარატისტული სოხუმის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადებას გამოეხმაურა. პუტინმა მთავრობის წევრებთან თათბირზე განაცხადა, რომ კოსოვოს სტატუსზე რუსეთმა ისეთ გადაწყვეტილებას უნდა დაუჭიროს მხარი, რომელიც უნივერსალური იქნება და პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული კონფლიქტების მოგვარებას მიესადაგება.

ამასთან დაკავშირებით სერგეი შამბა აცხადებს, რომ 13 წლის განმავლობაში აფხაზეთის ხელისუფლებამ დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების მაგალითი აჩვენა. „თუკი ჩვენი დამოუკიდებლობის სამართლებრივ-ისტორიულ საფუძვლებზე ვისაუბრებთ, ჩვენ შემთხვევაში ეს საფუძველი უფრო მყარია, ვიდრე კოსოვოში. თუკი აფხაზეთთან დაკავშირებით უსამართლობა იქნება ჩადენილი, ხალხი სამართლიანობის აღდგენისთვის ბოლომდე იბრძოლებს და დამოუკიდებლობას მიაღწევს. ისტორია აჩვენებს, რომ ერი, რომელიც დამოუკიდებლობისკენ ისწრაფვის, ამ ბრძოლაში იმარჯვებს. რაც შეეხება აფხაზეთის პრობლემაზე მომუშავე საერთაშორისო ინსტიტუტების რეაქციას პუტინის განცხადებაზე, ჩვენ ილუზიებით არ ვიკვებებით: საერთაშორისო პროცესებში გადამწყვეტი სწორედ კონიუნქტურაა და არა სამართლიანობა“, — აცხადებს სერგეი შამბა.

### ბუნებრივი აირი შიდა ქართლმაც მიიღო



ბუნებრივი აირის მიწოდება გუშინ დილიდან შიდა ქართლშიც აღდგა. ამასთან დაკავშირებით, გუშინ ხალხს უსაფრთხოების დაცვისკენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მოუწოდებდნენ.

როგორც შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა მიხეილ ქარელმა აღნიშნა, ბუნებრივი აირი, პრაქტიკულად, მთელი რეგიონის გაზსადენებში არის გაშვებული. 2-3 დღეში კი ბუნებრივი აირის მიწოდება რეგიონის მოსახლეობას სრულად აღუდგება.

გუშინვე მიხეილ ქარელმა მადლობა გადაუხადა მოსახლეობას იმ მოთმინებისთვის, რაც მან ბუნებრივი აირის შეწყვეტიდან დღემდე გამოიჩინა.

### რიკოთზე — ფრთხილად!

გადაულებელი თოვის შედეგად 30-31 იანვრის ღამეს რიკოთი-ზესტაფონის მონაკვეთზე დაიწყო ზვავების ჩამოწოლა, ერთ ღამეში ჩამოწვა 7 ზვავი, რომელთა გაწმენდა ხდება ოპერატიულად.

ამჟამად მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისთვის მოძრაობა აკრძალულია. ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით.



დეპარტამენტმა განვლადობის შენარჩუნების მიზნით, მობილიზება გაუკეთა ტექნიკას, არის საწვავისა და მარილის საკმაო მარაგი. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ნებისმიერ დროს არის მოსალოდნელი ზვავებისგან გზის დაკეტვა. აქედან გამომდინარე, საავტომობილო გზების დეპარტამენტი სთხოვს მძღოლებსა და მგზავრებს, თუ არ აქვთ გადაუდებელი საქმეები, ამინდის გაუმჯობესებამდე თავი შეიკავონ რიკოთის უღელტეხილზე მოძრაობისგან, რაც თავიდან აგვაცილებს საცობებს და შენარჩუნდება ავტოტრანსპორტის მოძრაობა დანარჩენი მანქანებისთვის, რომელთა გადაადგილება აუცილებელია პირველადი მოხმარების საგნების, სამედიცინო მედიკამენტების გადასატანად და სხვა სახის გადაუდებელი საქმიანობის განსახორციელებლად.

ინტერპრესნიუსი

⊙ ყოფა

# საშუალო და ყველაზე კარგი

## პრივატიზაცია: ეკონომიკის დედა თუ დედინაცვალი?

**საქართველოში ნებისმიერი მსხვილი ობიექტის პრივატიზება ორი საერთო ნიშნით ხასიათდება: დასაწყისში ყოველთვის დაფი და ნაღარაა, ანუ ხელისუფალთა ომახიანი განცხადებები მარჯვედ და სამართლიანად ჩატარებული პრივატიზაციის შესახებ, ბოლოს კი ყველაფერი დიდი სკანდალით მთავრდება. ასე იყო და ასეც არის. გაიხსენეთ „ფეროს“, „ჭიათურმანგანუმის“, „აზოტის“, „კვარციტის“, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, სხვათა და სხვათა ამბები, ტენდერებთან დაკავშირებული ბატალიები. მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, გაკოტრების გზით გასხვისებული გიგანტი, თითქმის მუქთად ჩაუვარდა ხელში ხალხს, ვისაც ჰონგკონგის დამლა ერტყა, თუმცა, მცოდნე ხალხი ნამდვილ მყიდველებს აქ ეძებს.**

დამისახელონ თუნდაც ერთი ასეთი პროცედურა, რომლის შედეგად საწარმო წელში გაიმართა, თავისი პერსონალიც გაახარა და ერთი იმედის ნაპერწკალი მაინც აანთო ქვეყანაში. ერთხანს წარმატებებით ფრთაგაშლილ „ყაზბეგსაც“ კი პარლამენტართა „კრიშობით“ რუსეთიდან გადმოზიდულმა ლუდმა შეუკვეცა ეს ფრთები. ნიშანდობლივია, რომ „ყაზბეგი“ და „თბილავიამშენი“, რომელსაც ასევე წარმატებები ნამდვილად ჰქონდა, ადრე ვის ხელშიც იყო, ფაქტორივად, იმავეში დარჩა. სხვა შემოსული უცხოელები და მათი ქართველი მეგზურები კი, როგორც გამოჩნდა, ერთადერთი სურვილით იყვნენ შეპყრობილი: ბოლომდე ამოეწურათ ნაყიდ საწარმოთა უკვე არსებული რესურსი და ძმურად გაეყოთ. ქვეყნის ეკონომიკის განვითარება მათს ინტერესთა სფეროში არ შედიოდა.

საოცარია, როგორი თვალებით უყურებენ ბოგოლა ჩინოვნიკები თუ „გამორჩეული“ პოლიტიკოსები გასაყიდ ობიექტებს, ანუ სახელმწიფო ქონებას და ვერ წარმოუდგენიათ, თვითონ არ იხეირონ. ბუნებრივია, ყოველი ასეთი გაყიდვის შემდეგ ხალხში აუცილებლად და სამართლიანად ჩნდება კითხვა: ვინ დგას ამის უკან? და უბედურება ისაა, რომ ყოველთვის მართლაც ვიღაც დგას (ან დგანან, ცხადია, ჩრდილში და წინასწარ ითვლიან მუქთ დივიდენდებს, ან უკვე აქვთ დათვლილი. ერთი სამაგალითო პრივატიზაცია მაინც ჩაეტარებინათ თვალის ასახვევად, როცა მხოლოდ სახელმწიფოს, ანუ იგივე ხალხის ინტერესები იქნებოდა გათვალისწინებული!

პრივატიზაცია ჩვენთან ნიღბებით თამაშს ჰგავს: რუსი შეიძლება ავსტრალიელის სახით გამოგეცხადოს, ქართველი — კარგი ინგლისური იერით, კოსტიუმითა და ენით და ა. შ. მუქთ საშოვარზე მოსულ უცხოელებს რა მოვკითხოთ, როცა ყველა პრივატიზაცია ჩვენი დაინტერესებული ჩინოვნიკებისა და პოლიტიკოსების პარადით მიმდინარეობს, მთავარი გმირები კი, ვთქვით, როგორც წესი, კულისებში არიან. მათი ამბები მხოლოდ ჭორად ვრცელდება ხოლმე, რომელიც მერე სინამდვილედ იქცევა.

წარმოიდგინეთ, უკვე პრივატიზებული საწარმოები, ყველა თუ არა ნახევარი მაინც, სრული დატვირთვით რომ მუშაობდეს და საპრივატიზაციო გეგმის მიხედვით თანდათან ზრდიდეს თავის სიმძლავრეს, ეს იქნებოდა ძირეული ძვრა საქართველოს ეკონომიკაში და ჩვენი ხელისუფლება, ჯანდაბას, სიამაყისგან თუნდაც ათასი შადრევნის დონეზე ამაღლებულიყო. ექნებოდა კიდეც რეალური საფუძველი საამისოდ იმავე შადრევნების ამოქმედებისგან განსხვავებით.

როცა სახელმწიფო ქონება სახელმწიფო გამგეებს საკუთარისაგან ვერ გაურჩევიათ, ან საზიაროდ მაინც თვლიან, მათმა თეთრი კბილისა და შავი გულის პოლიტიკამ ფაქტობრივად ეკონომიკის, უფრო ზუსტად, მრეწველობის კოლაფსი გამოიწვია. აბა, სხვაგვარად რით ავხსნათ, მაგალითად, ის ფაქტი, რომ გასული წლის ნოემბერში საგადასახადო დეპარტამენტმა ბიუჯეტში მხოლოდ 70 მილიონ ლარამდე შეიტანა, საბაჟომ კი 104 მილიონზე მეტი? ჰკითხეთ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომისტს, რას ნიშნავს ეს და ისეთ დიაგნოზს დაუსვამს ჩვენს ეკონომიკას, რეანიმობილების (სპეციალისტების, ინვესტიციებისძ მთელი კოლონის გამოძახება დაგჭირდებათ, თანაც, სასწრაფოდ.

დაე, ითვალოს ჩვენმა საბაჟომ კანონიერი შემოსავალი (რომელიც ე. წ. ფიქსირებული ტარიფით გახდა სტაბილურიძ, ჩვენმა იმპორტიორებმა — დიდი მოგება, რომლის ლომის წილი თავიანთ მფარველებს ანუ „კრიშებს“ — პოლიტიკოსებს, მათ „ბიზნესმენ“ ნათესავებსა და „წონიან“ ჩინოვნიკებს უნდა არგუნონ. ადგილობრივი პროდუქციის წარმოება კი ადგილობრივ ოცნებად რჩება. ღვინო თითქოს გამონაკლისია, მაგრამ რაც გასულ რთველზე მოხდა, კახეთში ბევრს შეიძლება კრწანისის ომად დაამახსოვრდეს. ვინ არ იცის, ვის ხელშია ყველაზე მომგებიანი საქონლის — საწვავის, თამბაქოს, ხორბლის იმპორტი და ხე-ტყის ექსპორტი, ასევე ჯართისა. ძლიერნი ამა ქვეყნისა თავიანთი ნების გარეშე სხვას არ გააჭაჭანებენ. წვრილი იმპორტიორები სათვალავში ჩასათვლელი არ არიან — მათ თვითონ იქით ფცქვნიან.

დავუბრუნდეთ ისევ პრივატიზაციის თემას. თვით თითქოსდა შედარებით წარმატებულად მიჩნეულ, თუმცა ისიც სკანდალებით შეზავებულ „თელასის“ პრივატიზაციასაც ისეთი ჩრდილები ჰქონდა, რაც შეუფერებელია ამ „განათლებული“ ორგანიზაციისთვის. ამერიკელები წავიდნენ. ისინი იშვიათად ან საერთოდ არ მიდიან იქიდან, სადაც მოგებას და პერსპექტივას ელიან. შემდეგ მდგომარეობა ცოტა გამოსწორდა, მაგრამ ხელისუფლების „ელექტროთოხარიკი“ ამ ერთკვირიანი სუსხის ალმართზე გამოჩნდა. ცალკეა სათქმელი, გაყიდული (თუ გასაყიდიძ ობიექტების კვალობაზე როგორ „იბარებს“ ჩვენ ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას ჩვენივე მეზობელი, თანაც ლამის ოფიციალურად მტრად გამოცხადებული. ამას ყველა ხედავს.



ასეთ ვითარებაში, რა გასაკვირია, რომ მთელი ძალით ბოგინობდეს დემაგოგიური ლოზუნგი: გავყიდით ყველაფერს და მივყიდით იმას, ვინ მეტს გადაიხდის. სახელმწიფო ქონება არც საგაზაფხულო მარწყვია და არც შემოდგომის პომიდორი. მაგალითად, ბალტიელები სულ სხვა გზით წავიდნენ: პრივატიზაციისას მთავარ ორიენტირად დაისახეს სავალდებულო ინვესტიცია, გეგმა ამა თუ იმ წარმოების თუ სფეროს გაფართოების შესახებ, და რაც ასე მნიშვნელოვანია, აუცილებელ პირობად მიიღეს დასაქმებულ და დასასაქმებელ მუშაკთა რაოდენობა, მათი საშუალო ხელფასი, მისი ზრდის დინამიკა და მისთანანი. ამით მათ თავიანთი ქვეყნების ეკონომიკის მომავალს ჩაუყარეს საფუძველი, ჩვენთან — ადამიანთა ვიწრო წრის ან წრეების დიდ კეთილდღეობას. მართალია, ბალტიისპირეთშიც საკმაოდ ბევრი საწარმოა გაჩერებული და იქაც პრობლემებია, მაგრამ ჩვენი და იქაური ყოფის შედარებაც არ შეიძლება.

ისე, თუ ფასებზე მიდგება საქმე, არც ეს ეშლებათ „ცივსისხლიან“ ბალტიისპირელებს. ზომითა და მოსახლეობის რაოდენობით დაახლოებით ჩვენხელა ლიტვამ, რომელსაც საბჭოთა სტანდარტების გამო მსგავსი სიმძლავრის კავშირგაბმულობა ჰქონდა, მისი 60 პროცენტი 600 მილიონ დოლარად გაყიდა და ამანაც კი მოსახლეობის ერთი ნაწილის აქტიური პროტესტი გამოიწვია. გარდა ამისა, დიდი ინვესტიციების, დასაქმებულთა დიდი რიცხვისა და ა. შ. გარდა, ვილნიუსმა მოახერხა და მყიდველს ის პირობაც ჩამოართვა, რომ დაგეგმილ მოგებაზე გადასვლის შემდეგ სახელმწიფოს დამატებით 100 მილიონ დოლარს გადაურიცხავდა. ამას ჰქვია საქმისადმი სახელმწიფო მიდგომა, რასაც ჩვენში „წითელ წიგნშიც“ ვერ იპოვით. გაიხსენეთ ისტორია ჩვენი კავშირგაბმულობის ნაჭერნაჭერ დაშლისა და მერე ერთი ნაწილის მათხოვრულ ფასად გასხვისების შესახებ.

როცა ბალტიისპირეთი პრივატიზაციისას თავის ხალხზე, ანუ ახლო პერსპექტივაში დასაქმებულ და კარგი ანაზღაურების მქონე ხალხზე ზრუნავდა, ამით იგი ქმნიდა ქვეყნის საძირკველს — საშუალო ფენას. ხომ არ გგონიათ, რომ მაგალითად აშშ-ში, საიდანაც კისერი გვაქვს მიდრეკილი და ძელი მოდრეკილი, ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს მილიარდერებისა და მილიონერების შენატანები შეადგენდეს. ამერიკის ბიუჯეტის და საერთოდ მთელი ქვეყნის ხერხემალი არის სწორედ საშუალო ფენა, შრომისუნარიანი ადამიანების თითქმის 80 პროცენტი, მუდამ დაუღალავად მშრომელი ადამიანები, ვისი ჯაფითაც მაგრდება ქვეყანა. სწორედ მათი გადასახადებია ამერიკის გიგანტური ბიუჯეტის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი. ბევრი ხშირად დიდხანს ცხოვრობს ვალში, იწყებს მუშაობას და წინასწარ იღებს სესხს სახლისათვის, მანქანისათვის და ა. შ. მაგრამ ბოლოს ყველაფერი სწორდება და სახელმწიფო რჩება მოგებული, და ადამიანებიც, იმ ვალის მიუხედავად, ღირსეულ მოქალაქეებად გრძნობენ თავს. იმ მილიონერებისა და მილიარდერების მთავარი, ასე ვთქვათ, ფუნქცია ის არის, რომ შექმნან სამუშაო ადგილები კარგი, „ამერიკული“ ანაზღაურებით, ანუ საშუალო ფენა. ჩვენ კი ბოლო ხანს რამდენმა გავლენიანმა უცხოელმა გვითხრა საყვედური, რომ მეწარმეობას გასაქანი არ ეძლევა, არსებული საგადასახადო კანონის ადგილი ურნაა და ა. შ. ხოლო ის, რაც კულისებს მიღმა ხდება მეწარმეების წინააღმდეგ, დიდ რეკეტად შეიძლება მოინათლოს, რომელიც პირადი მოტივებით უფროა განპირობებული.

იხ. მე-4 გვ.

**მიწისძვრა ჩვენს სულებში**

# წარმოიდგინეთ, თქვენი შვილი რომ ნახოთ ნანგრევებში, თავგაჩეხილი და დამტვრეული...

**ჩვენ ისევ მიწისძვრით დაზარალებული ოჯახების პრობლემებზე მოგითხრობთ. ბევრი მათგანის თავგადასავალი საოცრად ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა მივუგდოთ ყური მათ სატკივარს. იქნებ, გამოჩნდეს ვინმე, ვინც მათ დახმარების ხელს გაუწვდის.**



ფიროსმანის ქუჩა №9.

**ჯემალ ჭელიძე:** — ვცხოვრობთ ფიროსმანის ქუჩაზე, 30-ე ნომერში. ამ სახლში ცხოვრება უბრალოდ სარისკოა. მოგვანიჭეს III კატეგორია. დასკვნაში პირდაპირ წერია — ექვემდებარება გამოსახლებას. 4 წელია დავდივართ განცხადებებით, თხოვნებით, მაგრამ შედეგი არ ჩანს. ამ 4 წლის მანძილზე ვინ იცის, რამდენი რამ შეიცვალა: იცვლებიან გამგებლები, მათი მოადგილეები, მთავრობაც კი შეიცვალა, მაგრამ ჩვენი მშველელი არ გამოჩნდა, არავინ არ ფიქრობს ჩვენზე. ბეწვის ხიდზე ვდგავართ და, რომ იტყვიან, ღვთის ანაბარად ვართ დარჩენილები.

**გურამ ურიგაშვილი:** — ვცხოვრობ ფიროსმანის ქუჩაზე, №18-ში. 2003 წელსაც შევიტანეთ განცხადება გამგეობაში, 2004-2005 წლებშიც, მაგრამ ჩვენს ქუჩას პატრონი არ გამოუჩნდა. იგივე მდგომარეობაა ახლომდებარე ქუჩებზეც. მხოლოდ ზოგიერთ ეზოში შეაკეთეს სახურავი, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის. რატომღაც ყველა გულგრილად ეკიდება ჩვენს გასაჭირს. რომ გამოჩნდეს ვინმე, ვინც აქ [illegible]

სხვათა შორის, შექმნილი იყო სპეციალური ფონდი მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად. შემდეგ მთავრობა შეიცვალა და ამ ფონდის შემადგენლობაც შეიცვალეს. ჩვენთვის არც ერთს არ გაუწევია მნიშვნელოვანი დახმარება. ბევრმა ხელიც კი მოითხო ჩვენს უბედურებაზე.

რაც თავი მახსოვს, სულ ასე ხდებოდა: გამგეობიდან მერიაში გვაგზავნიდნენ, იქიდან — სხვა ინსტანციაში, შემდეგ კი — ისევ გამგეობაში. ასე გრძელდება დაუსრულებლად. არადა, ჩვენს ეზოში კედელი მთლიანად დაბზარულია და რომ გადავარდეს, 20 ნომერში მდგომ სახლსაც დააზიანებს. ეს კედელი მაინც გაამაგრონ, თუ სხვანაირად ვერ გვეხმარებიან! ერთხელ ჭიაბერაშვილი იყო მოსული აქაურობის დასათვალიერებლად და სპეციალური მითითება მისცა, რომ მიეხედათ ამ ქუჩისთვის, ის უკვე აღარ არის ქალაქის მერი, მაგრამ პრაქტიკულად არც მაშინ და არც ახლა არაფერი გაკეთებულა, რაც ჩვენს მდგომარეობას გააუმჯობესებდა. ერთადერთ იმედად ახლა ისღა გვრჩება, რომ გამოჩნდება ინვესტორი, რომელიც ისურვებს აქ მშენებლობის დაწყებას, თუმცა რეალური, დღესდღეობით, არც ეს არის...

**ფატი ივანიძე** ფიროსმანის ქუჩაზე №9 სახლში ცხოვრობს. ეს სწორედ მისი სახლის კედელია ხის ბოძებით და ხარიხებით გამაგრებული, რომ არ გადმოინგრეს, 2002 წლის 25 აპრილის შემდეგ დადის ქალბატონი ფატი ინსტანციიდან ინსტანციაში, კა- [illegible]

მაგრამ არაფერს ვერ მივაღწიე. წელს მითხრეს საერთოდ არ არის გამოყოფილი თანხა მიწისძვრით დაზარებულთათვის. რომ ვერაფერს გავხდით, საპროტესტო აქციების გამართვა დავიწყეთ. 27 დეკემბერს გვქონდა ბოლო აქცია. მივმართეთ ჩვენს მაჟორიტარ დეპუტატს ბესო ჯუღელს, რომელიც მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიდა სიტყვით პარლამენტში და თქვა, რომ საჭიროა რაღაც გაკეთდეს ჩვენთვის — მიწისძვრით დაზარალებულთათვის. ვთვლი, რომ არ გვიდგას მხარში ჩვენი დეპუტატი ისე, როგორც საჭიროა.

ორი მარტოხელა, II ჯგუფის ინვალიდი ვცხოვრობთ აქ. მე პირადად 5 უმძიმესი ოპერაცია მაქვს გაკეთებული, რომ იტყვიან, ნახევარი ქალი ვარ. [illegible]



ფიროსმანის ქუჩა №26.

[illegible] ჩვენ?! იქ ხომ საუბარი II და III კატეგორიებზე იყო. ან თანხა დაგვირიგონ, ან გამოჩნდეს ინვესტორი, რომელიც აქ მშენებლობას დაიწყებს და ამ გასაჭირიდან დაგვიხსნის!

***— იყო თუ არა შემოთავაზება რომელიმე ინვესტორის მხრიდან?***

— ერთადერთი, ვინც ჩვენით დაინტერესდა, ბატონი ბადრი პატარკაციშვილი იყო. მან გამოგვიგზავნა თავისი იურისტი ნიკა ქობალავა, მაგრამ ეს საქმე ჩაიშალა. გამგეობასთან 1 კვმ-ის ფასში ვერ მორიგდნენ და ეს იმედიც წყალში ჩაგვეყარა.

სხვა ინვესტორი არასოდეს მოსულა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არავინ დაგვლაპარაკებია!

სხვათა შორის, ჩვენ გვქონდა ინფორმაცია, რომ ჯიქიას ქუჩაზე იყო საცხოვრებელი ფართი მიწისძვრით დაზარალებულთათვის. იქ ახლა სხვები ცხოვრობენ, მოგვივიდა დიდი კამათი იქ შესახლებაზე. ატყდა ერთი ცემა-ტყეპა და გაწევ-გამოწევა. ამ ჩხუბის დროს ერთი ჩვენი მეზობელი (გურამ ურიგაშვილი) რამდენიმე დღით დააკავეს კიდეც.

ისე, თუ გამოჩნდება ინვესტორი, ვინც აქ მშენებლობას დაიწყებს, მოსახლეობაც ყვე- [illegible]

ბით, რამხელა სტრესის ქვეშ უწევს ამ ხალხს ცხოვრება და რა დიდ სიკეთეს ჩაიდენს ის, ვინც მათ დაეხმარება!

**ხათუნა ჩიგოგიძე**

**დავფიქრდეთ!**

# უსუსურობის ნაყოფი

**კაცობრიობა სრულიად სამართლიანად უწოდებს ტყეს მწვანე ფილტვებს. სწორედ ტყე „გვიმზადებს“ ჰაერსაც, წყალსაც, პურსაც... ამ მხრივ საქართველოს საქმე სატრაბახოდაც კი ჰქონდა, რადგან მისი ტერიტორიის 40 პროცენტზე მეტი ტყეს ეკავა და, ასე თუ ისე, მოსახლეობას თავი ქუდში ჰქონდა. ახლა? თურმე ბოლო 15 წლის მანძილზე ხელისუფლებას არ დაუფინანსებია ისეთი უაღრესად მნიშვნელოვანი სატყეო-სამეურნეო სამუშაოები, როგორიცაა: ტყის მოწყობა, დაცვა, აღდგენა, დაავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლა, ხანძარსაწინააღმდეგო და პროფილაქტიკური საქმიანობა. არადა, სწორედ ბოლო 15 წლის მანძილზე ეს ტყე აქაც გვარიანად „ვიხმარეთ“ და უცხოეთშიც ბარაქიანად გავიტანეთ.**

ჩვენი ტყე დღესაც გადის მსოფლიოს 21 ქვეყანაში. ადრე თურქეთი პირველობდა. ახლა წინა პლანზე ჩინეთი წამოწეულა. წარმოგიდგენიათ? ეს ერთი ციცქნა საქართველო და ეს გიგანტი ჩინეთი! ჯანდაბას, გადის და წინ ვერ დავუდექით, მაგრამ რა ქრისტეს პერანგად იქცა მორების შეჩერება? პარლამენტმა კანონიც კი მიიღო, რათა ქვეყნიდან მორები არ გასულიყო. ვერ ავამუშავეთ ეს კანონი, ვერ შევაჩერეთ ჩვენი დამღუპველი ექსპორტი. ეზიდებიან ჯანსაღ, თვალწარმტაც მორს, რის გამოც ჩვენი ტყე ნადგურდება ხარისხობრივადაც, სელექციურადაც. უცხოურ მრეწველობაში გამოიყენება ჩვენი ფიჭვის წიწვიც, ჩვენი წიფლის ნახერხიც, ჩვენი მუხის ნაფოტიც. ჩვენ კი... სადა გვაქვს მრეწველობა? არც მრეწველობა ვითარდება და არც ტყე გვინარჩუნდება. 26 იანვარს დავოსში, მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, გამოაქვეყნეს ეკოლოგიური მიღწევების ინდექსი; თავისი რეიტინგით საქართველო გავიდა 77-ე ადგილზე. ჩვენზე წინაა ახალი ზელანდიაც (პირველი ადგილი), მალაიზიაც (მე-9), აშშ-ც (28-ე), რუსეთიც (32-ე), უკრაინაც (51-ე), სომხეთიც (69-ე ადგილი)...

სადღეისოდ თურმე ჩვენში 1 ჰექტარ ტყეზე 18 თეთრი იხარჯება. სატყეო მეურნეობის ერთი თანამშრომელი, რომელსაც აქვს 100 ლარი ხელფასი და არა აქვს არც ჩექმა, არც იარაღი და არც ტრანსპორტი, უვლის 1300 ჰექტარ ტყეს. ზოგიერთ რაიონში ერთ მეტყევეზე 10.000 ჰექტარიც მოდის. უჩექმოდ, უიარაღოდ და უტრანსპორტოდ კი, 10.000 ჰექტარს 1 კაცი რა სათქმელია, ალბათ, 1 ბატალიონიც ვერ გასწვდება. ამიტომაც სახელმწიფო ხელებს მაღლა სწევს და გაიძახის: — მორჩა, მე ამ ტყეს ვეღარ ვუვლი, უნდა გავასხვისო, პატრონს ჩავაბარო!

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ უკვე წარმოადგინა სატყეო სექტორის მართვის ახალი კონცეფცია. იგი გულისხმობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტყის გრძელვადიანი იჯარით (49 და 99 წლით) კერძო პირისთვის გადაცემას. ამ პროცესით ხელისუფლება ვარაუდობს მაქსიმალური მოგების მიღებას, ბიუჯეტის კიდევ უფრო გადიდებას. იცოცხლეთ, არაფერი სჯობია მაქსიმალური მოგების მიღებას, ბიუჯეტის გადიდებას, მაგრამ რა ეშველება ჩვენს მოსახლეობას? ვინ იძლევა იმის გარანტიას, რომ მას არ მოაკლდება ჟანგბადი, არ დაახრჩობს წყურვილი, ან არ წალეკავს მეწყერი?

ნებისმიერი კერძო პირი, რომელიც ტყის ყიდვისას მაქსიმალურ თანხას გადაიხდის, ცხადია, ეცდება ეს მაქსიმალური თანხა ორმაგად ამოიღოს, თავადაც რაღაცა მოიგოს. კერძო ტყიდან მოგების ერთადერთი წყარო კი არის მისი გაჩეხვა, გაყიდვა. ის ქვეყნებიც კი, სადაც მეტყევეობა ჩამოყალიბებულია ისტორიულად, ხოლო სატყეო ინდუსტრია ითვლება სახელმწიფო პრიორიტეტად, მუდმივად კბილებით უჭირავთ მთელი ეკოსისტემა. დიდ ბრიტანეთში, მაგალითად, კერძო მფლობელებისა და კორპორაციების ანგარიშზე. ტყის შენარჩუნებისა და მართვისთვის, ხაზინიდან ყოველწლიურად გამოიყოფა 40 მილიონი ფუნტი სტერლინგი. ტყის მდგრადი მართვა, მისი ბუნებრივი ღირებულებების დაცვა საკმაოდ დიდი პრობლემაა გერმანიაში, შვედეთში, ფინეთში. ჩვენ რა, ამ ქვეყნებს ვამეტებთ თავს? ვითომ აქაურები აჯობებენ იქაურ კერძო მფლობელებს პროფესიონალიზმსა და პატრიოტიზმში? რაღაც არა მგონია!

ექსპერტთა აზრით, სატყეო სექტორის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის მართლაც საჭიროა დიდძალი ინვესტიცია. სახელმწიფო ამაზე თავად არ მიდის, ცდილობს ფული კერძო ბიზნესს დააყაჭინოს. არადა, ამ ეტაპზე, როცა ჩატარებული არაა გვაქვს ტყის სრული ინვენტარიზაცია, მისი გასხვისება დამღუპველი იქნება საქართველოსთვის. რა მნიშვნელობა აქვს ხალხისთვის იმას, თუ რითი მოისპობა ტყე — სახელმწიფოს უსუსურობით თუ კერძო მფლობელის უვიცობით, სახელმწიფოს უგულობით თუ კერძო მფლობელის სიხარბით?

რაც ყველაზე სამწუხაროა, სატყეო სექტორის ახალი მართვის ჩვენეული კონცეფციით გამორიცხული არაა ჩვენი დაცული ტერიტორიების გასხვისებაც. ეს კი ტყის პრივატიზაციის მსოფლიო პრაქტიკაში ნამდვილად უპრეცედენტო ამბავი გახლავთ. ჩნდება ეჭვი, რომ ტყის (უფრო მეტიც, — ნაკრძალის!) გაყიდვა ვილაცის ბიზნესინტერესებში შედის. კომუნისტების ჟამს, ასეთ დაცულ ტერიტორიებში, ერთობ ლაღად ტრიალებდნენ პარტიული ბოსები. ვითომ მათ გემოვნებით (ან მომხვეჭელობით) ძალიან ჩამორჩებიან ახლანდელი ჩინოვნიკები? თავად თუ ჩამორჩებიან, რა დალევს მათს დეიდაშვილებს, მამიდაშვილებს, სიდედრებს, სიმამრებს?





სულ რაღაც ერთკვირიანმა ენერგობლოკადამ საგონებელში ჩააგდო მთელი საქართველო. არც დენი, არც გაზი, არც ნავთი. დარჩა ერთი შეშა. შეშით მოამარაგეს საბავშვო ბაღები, სკოლები, საავადმყოფოები, დევნილთა საცხოვრებლები, უპოვართა სახლები; ქუთაისის, თვით თბილისის უბნები სახელმწიფომ მოამარაგა შეშით, მუქთა შეშით; ზოგან ეს შეშა 6-7 ლარის ნაცვლად გაყიდეს სიმბოლურ ფასად — 1 ლარად. ეს მაშინ, როცა ტყე სახელმწიფოს ხელშია. რას ვიზამთ მაშინ, როცა ტყე კერძო პირის მფლობელობაში გადავა? მუქთად წაართმევ? გაყინულ მოსახლეობას ხელიდან ნაჯახს გააგდებინებ?

რა ვიცი, ამ საქართველოში დღეს ყველაფერი ხდება. რატომ არ შეიძლება ეს ყველაფერი ხვალაც და ზეგაც მოხდეს?

**ბონდო გულიაშვილი**

**ინფორმაცია**

## ქუთაისში შენობის ჩამონგრევას მსხვერპლი მოჰყვა



**ქუთაისში ავტომანქანების სადგომის ჩამონგრევას მსხვერპლი მოჰყვა. დაიღუპა ქუთაისში მცხოვრები, 42 წლის მარიამ ძოწულაძე, ხოლო მისი ვაჟის, 12 წლის შალვა ძოწულაძის ნანგრევებიდან უვნებლად გამოყვანა მეზობლებმა შეძლეს.**

**როგორც „მედიანიუსს“ ქუთაისის მერმა გიგი ჩოგოვაძემ განუცხადა, შემთხვევა გამთენიისას სოლომონ პირველის ქუჩაზე მოხდა. ავტოსადგომი, რომელშიც მაღაზია იყო გახსნილი, თოვლის სიმძიმემ დაანგრია.**

**მედიანიუსი**

## ქალაქი პარალიზებულია

**ქუთაისში თოვლის საფარმა 1 მეტრს გადააჭარბა. დიდთოვლობის გამო ქალაქში ტრანსპორტის მოძრაობის მხრივ პრობლემები შეიქმნა, ჩახერგილია გარეუბნების მისასვლელი გზები.**

**თოვლმა ელექტროენერგიის სადენები და სატელეფონო კაბელები დააზიანა, არ მუშაობს მაღაზიები.**

**როგორც ადგილობრივი ხელისუფლება აცხადებს, ქალაქი მთლიანად პარალიზებულია.**

**ინტერპრესნიუსი**

## ფრინველის გრიპი — შორს ჩვენგან!

**სახელმწიფო ვეტერინარულ ლაბორატორიაში 30 იანვარს დახოცილი ფრინველის ვირუსოლოგიური კვლევა დასრულდა. ექსპერტიზამ ფრინველის გრიპის ვირუსის არსებობა კვლავ გამორიცხა. ამჟამად ლაბორატორიაში დახოცილი ფრინველის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა მიმდინარეობს.**

**როგორც „მედიანიუსს“ სახელმწიფო ვეტერინარულ ლაბორატორიაში განუცხადეს, ფრინველის სიკვდილის გამომწვევი მიზეზების დადგენას 5-6 დღე დასჭირდება.**

**ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 30 იანვარს საქართველოში 45 ფრთა ფრინველი დაიღუპა.**

**მედიანიუსი**

**განცხადება**

სს „ე.ბ.ა.ს“-ის აქციონერთა კრება ჩატარდება მიმდინარე წლის 21 თებერვალს ქ. რუსთავში, მშვიდობის ქუჩა 7ა, 14 საათზე.

**დღის წესრიგი:**

1. სს „ე.ბ.ა.ს“-ის წლიური ანგარიში.
2. სს „ე.ბ.ა.ს“-ის ლიკვიდაციის შესახებ.

**ყოფა**

# საშუალო და ყველაზე კარგი

**(მესამე გვერდიდან)**

რადგან სიტყვამ მოიტანა, ისიც უნდა ითქვას, რომ ფისკალურ პოლიტიკაში ადმინისტრირების გამკაცრებამ ბიუჯეტი გაზარდა, მაგრამ რად გინდა, ეს არ დაეტყო ხალხის ცხოვრების დონეს. ხოლო საგადასახადო კანონმდებლობის კარუსელმა, რომელიც წლებია გრძელდება, თითქმის ყველა ბიზნესმენი თუ მეწარმე აიძულა, „შავი ბუღალტერიით“ ემუშავა და მრავალი მილიონი საბიუჯეტო ლარი ისე ჩაუვლის ქვეყნის მთავარ ქისას, როგორც უცხოტომელს. ამ წლის დასაწყისში საშემოსავლო გადასახადის ოციდან 12 პროცენტამდე დაწევამ შემოსავალი მხოლოდ მცირედ თუ გაათეთრა, რადგან წარმოებისთვის მაინც შავი დღეებია და ყველა ფრთხილობს. თან ორმაგი ბუღალტერია ჩვენში ჩვეულებად ჩამოყალიბდა, რისი წაშლაც ძალიან ძნელია, მით უმეტეს, რომ ბევრი საწარმოს წილში ხელისუფალია, აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო, და მათ ვინ რას გაუბედავს. აქციზების ზრდამ კი კონტრაბანდის ახალი ბუმი გამოიწვია. ვერც კონტრაბანდისტებით შეიქმნება საშუალო ფენა. შეეკითხეთ, მაგალითად, გორელებს, თუ ვინ არის იქ მთავარი კონტრაბანდისტი. თითქმის ყველა ერთ ცნობილ გვარს დაგისახელებთ.

ჩვენთან საშუალო ფენის პროცენტულად გამოსახატავად ერთი ხელის თითები გეყოფა და ეს საშინელებაა. მაგრამ ამაზე ვინ ფიქრობს...

მარტო „ენჯეოშნიკებით“, პრესტიჟულ ფირმებში დასაქმებული თუ უცხოელებთან მომუშავე ხალხით საშუალო ფენა არ შეიქმნება.

ამ თვალსაზრისით მშენებლების, მეასფალტეების, კედლების მლებავებისა და მსგავსი პროფესიის ადამიანების იმედად ყოფნა არ შეიძლება (თუმცა კი გამოაცხადეს, უმუშევრებს ამ პროფესიებს შევასწავლითო), არც უცხოელების მომსახურე აქაური პერსონალისა. ამ მხრივ, მეტად პოტენციურ გლეხობას ანტიგლეხური პოლიტიკის ყულფი აქვს წაჭერილი. ინტელიგენცია, მასწავლებლებით დაწყებული აკადემიკოსებით დამთავრებული, თეთრებს ითვლის; წარმოება ჩამკვდარია, წვრილ მეწარმეებს მიცემული საგადასახადო იმედი გაუქრეს... სად არის საშუალო ფენა?!

თუმცა ბოლოში, დიდი ჩინოვნიკები, მოსამართლეთა ერთი ნაწილი და პარლამენტარები დაგვავიწყდა, მაგრამ ჩვენს ღრმად პატივცემულ კანონმდებლებს 150-მდე ამცირებენ შემდეგ არჩევნებზე. დავიქეცით და ეგ არის! საერთოდ, ასეთ დიდ განსხვავებას დიდი ჩინოვნიკებისა და მოსახლეობის ანაზღაურებას შორის აფრიკის ზოგიერთ, ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანაში თუ შეხვდებით.

ისე, საშუალო ფენას ერთი „ცუდი“ თვისებაც აქვს: იგი ვერ ეგუება ხელისუფალთა უსაზღვრო თავნებობას და შეუძლია თავისი თამამი ძალით უპასუხოს მას (ძალადობას არ ვგულისხმობ, თუმცა კი კანონმორჩილებაში ბადალი არ ჰყავს, რადგან სტაბილური გარემო სჭირდება. ამიტომ ასეთი ხალხის ხელისუფლება მუდამ ფრთხილობს და, რომ იტყვიან, დაუკრეფავში არ გადადის და ვერც გადავა. ჭეშმარიტად სალი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება, რომელსაც ძალმოსილებაც ექნება, საშუალო ფენის გარეშე წარმოუდგენელია.

დღეში ერთი მათლაფა უფასო სუპის, ანდა, ფაქტობრივად, სამოწყალოდ დანიშნული 120 თუ 150-ლარიანი ხელფასის მომლოდინე ადამიანი გაცილებით მორჩილია და ხალხის ასეთ მასას საითაც გინდა, იქით მიუქცევ პირს. მაგრამ ასეთ გარემოში თანდათან გროვდება ხოლმე მეტად საშიში მუხტი, რომელიც მერე დამანგრეველ ძალად ევლინება ქვეყანას. საქართველოს კი მორიგი კატაკლიზმის გადატანა ძალიან გაუჭირდება. არავითარ პარალელს არ ვავლებ, მაგრამ ჰიტლერი გერმანიის სათავეში იქ 20-იან წლებში არსებული საშინელი ეკონომიკური კრიზისის ფონზე მოვიდა, ბოლშევიკური პარტია — რუსეთის მიერ გერმანიასთან პირველ მსოფლიო ომში განცდილი მწარე დამარცხებით გამოწვეული აპათიის ნიადაგზე და ა. შ. აპათიის დეფიციტი ჩვენში არ იგრძნობა, ოპტიმისტების კასტა კი გამოკვეთილია — საქართველოს ხელისუფლება.

ალბათ ეწყინებათ „ვარდების რევოლუციის“ ავტორებს, მაგრამ ამ რევოლუციის სახალხო მხარდაჭერა იმ დროს უკვე არსებულმა სიდუხჭირემ და არსებული ხელისუფლებისადმი ნდობის სრულმა დაკარგვამ განაპირობა და არა მაინცდამაინც დემოკრატიისაკენ სწრაფვამ. სხვაგვარად მაილსის სერბიულ სემინარებს „ვარდოსანთა“ლიდერებისთვის და სოროსის მილიონებს შესაძლოა ბევრი ვერაფერი მოეხერხებინა. არადა, დღეს ძველი შეცდომები მაინც მეორდება და მათ ხანგრძლივად ვერ გარეცხავ ვერავითარი შადრევნის წყლით.





საშუალო ფენის „ტრანსპორტი“ საქართველოში

იმისათვის, რომ ზემოთქმული ციფრებით გავამაგროთ, მოვიყვანოთ აშშ-ს გასული წლის 2,053-ტრილიონიანი ბიუჯეტის რამდენიმე მაჩვენებელს. ამ ორზე მეტი ტრილიონი დოლარიდან თითქმის ნახევარი — 893,7 მილიარდი დოლარი მოსახლეობის ინდივიდუალურ საშემოსავლო გადასახადებზე მოდის (ჩვენთან კი პრიორიტეტად დღგ არის დასახული, რომლის ხვედრითი წონა მთლიან საშემოსავლო გადასახადებში გიგანტურ — 54 პროცენტს აღწევს, თანაც ამ წლისთვის მისი მოცულობა 18,8 პროცენტით უნდა გაიზარდოს. მართალია, დათვლის სისტემა აქ უფრო სხვაგვარია, მაგრამ აღნიშნულ გადასახადებში აქციზს 15,8 პროცენტი ეჭირა, ბაჟს — 7 პროცენტი) აშშ-ს ბიუჯეტის მონაცემებში კი ეს მაჩვენებლები დაახლოებით 6 და 2 პროცენტია. ასეთ პირობებში რა წარმოების განვითარებაზე შეიძლება ლაპარაკი, თანაც, შარშან ყველაზე მწარედ ჩვენი ადგილობრივი წარმოება დაზბგრეს. შეადარეთ ესენი ჯერ ერთმანეთს და მერე ჩვენს საერთო საბიუჯეტო მაჩვენებელს. კვლავ ვიმეორებთ, იქ ლომის წილი საშუალო ფენის საშემოსავლო გადასახადებზე მოდის. ცალკეა სააქციო საზოგადოებათა გადასახადები — 226,5 მილიარდი დოლარი. თანაც, აშშ-ს მთავრობას უკვე გაწერილი აქვს მოსახლეობის ინდივიდუალური გადასახადები 2010 წლამდე. მისი რაოდენობა 2006 წელს 966,9 მილიარდი დოლარი უნდა იყოს, 2007 წელს — 1 ტრილიონ 71,2 მილიარდი, შემდეგ — 1 ტრილიონ 167,2, 2009 წელს — 1 ტრილიონ 245,2 მილიარდი. 2010 წელს კი, მათი გეგმით, მოსახლეობა, საშემოსავლო გადასახადის სახით, ბიუჯეტში 1 ტრილიონ 353,3 მილიარდ დოლარს შეიტანს. ასე წარმოუდგენია აშშ-ს ხელისუფლებას თავისი მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდა, რასაც შესაბამისი პროგრამით და ბიუჯეტის სპეციალური ნაწილით უწყობს ხელს. 12-ტრილიონიანი და მზარდი საერთო ეროვნული პროდუქტის პირობებში ეს შესაძლებელია, ჩვენთან კი საერთო „ეროვნული“ იმპორტია შრომისუნარიანი მოსახლეობის ჯინაზე და მხოლოდ იმპორტიორთა და მათ მფარველთა გასამდიდრებლად. აკი ვთქვით, 2005 წელს ყველაზე მძიმედ რამდენიმე სახის ადგილობრივი წარმოების პროდუქცია დაზბგრეს და ამ მაჩვენებლით საბიუჯეტო გეგმა ჩაუვარდათ, იგი იმპორტის ხარჯზე ამოქაჩეს. ასე რომ მწარმოებლებიდან ვაჭრობის სახელმწიფოდ ვიქეცით.

**გიორგი ჩოჩიშვილი**

**„საქართველოს რესპუბლიკის“ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა „საქართველოს ბანკის“ მოგება-ზარალის უწყისი. დღეს კი გთავაზობთ ამავე ბანკის 2005 წლის საბალანსო უწყისს.**



არქივი

# ცივი ომის დაწყების წინ სტალინმა გადაწყვიტა წამოეწყო ახალი გეოპოლიტიკური თამაში



*სამოცი წლის წინათ „პრავდის“ პირველ გვერდზე გამოქვეყნდა მოკლე ინფორმაცია: „1946 წლის 3 იანვარს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სრულიად სლავთა კონგრესის პრეზიდენტი და სამეწარმეო პროფკავშირების კონგრესში შემავალი გამაკაცთა თერძების პროფკავშირის ვიცე-თავმჯდომარე ბატონი ლეო კრუჩკი. შეხვედრას ესწრებოდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი“.*

*სტალინის პირად არქივში დაცულია პოლონური წარმოშობის ამერიკელ მოღვაწესთან საუბრის ტექსტი, რომელიც დამოწმებულია სტალინის თარჯიმნის ვ. ნ. პავლოვის მიერ. ცივი ომის დაწყების წინ (იგი ოფიციალურად დაიწყება მარტში დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის ფულტონში გამოსვლის შემდეგ) ამერიკელთა სამხედრო უპირატესობის პირობებში სტალინი ეძებდა ატომური შანტაჟის გეოპოლიტიკურ გამაწონასწორებელ ძალას. მოკავშირეების ძებნის დროს კრემლმა არჩევანი შეაჩერა აღმოსავლეთ ევროპაზე, როგორც მთავარ ბაზასა და პლაცდარმზე. შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მეხუთე კოლონის სახით სტალინმა ყურადღება მიაპყრო 15 მილიონ სლავური წარმოშობის ამერიკელს. ამ კონტექსტით იგი კრემლში შეხვდა ლეო კრუჩკის.*

*ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის წლებში სტალინმა გამოთქვა თეორია სოციალიზმის საერთო-სლავური ფენომენის შესახებ. ეთნიკურ სოლიდარობაზე დაფუძნებული სლავური სოციალიზმი უნდა დაპირისპირებოდა ინგლის-ამერიკის ან ანგლოსაქსურ იმპერიალიზმს.*

*ამავე დროს, ყოველივე ის, რაც აერთიანებდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს ძლევამოსილი 1945 წლის მაისში, იყო საბჭოთა არმიის მიერ მათი გათავისუფლების საერთო ფაქტი, აგრეთვე, ის, რომ ახალი რეჟიმები მათ თავს მოახვიეს საბჭოთა ტანკების და იალტასა და პოტსდამში სამი დიდი სახელმწიფოს მიერ კულისებსმიღმა დადებული შეთანხმებების წყალობით.*

*თუმცა, გარდაცვალების წინ სტალინმა ეს შეიგნო და სტრატეგიული არჩევანი გააკეთა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის (ინდონეზიასთან ერთად, როგორც რევოლუციის ექსპორტის პირველი კანდიდატი ქვეყნის) სასარგებლოდ.*

*მოგვიანებით, ეს არჩევანი არ გაიზიარა ხრუშჩოვმა, რის გამოც, მკვეთრად გაიუარესა ურთიერთობა მაო ძედუნთან. ხრუშჩოვმა მთავარი ყურადღება გადაიტანა „არაბთა სოციალურ აღორძინებაზე“ (გამალ აბდელ ნასერი და აჰმედ ბენ ბელა) და ბირთვული ქობინების მქონე რაკეტები გაგზავნა კუბაში, რომელსაც სათავეში ფიდელ კასტრო ედგა.*

**საიდუმლოდ.**

ი. ბ. სტალინის და ლეო კრუჩკის საუბრის ჩანაწერი.

**კრუჩკი** აცხადებს, რომ სურს გადასცეს გენერალისიმუსს სტალინს და მოლოტოვს ამერიკის მუშათა ორგანიზაციების სალამი. როცა იგი ნიუიორკიდან ევროპისკენ მიემგზავრებოდა, ნიუიორკელმა სლავმა მუშებმა დაავალეს, რომ ხელი ჩამოერთმია გენერალისიმუს სტალინისთვის. ახლა კრუჩკის შეუძლია თავისი მისია შესრულებულად ჩათვალოს.

**ამხ. სტალინი** ეკითხება კრუჩკის, აპირებს თუ არა შეერთებულ შტატებში დაბრუნებას.

**კრუჩკი** დადებითად პასუხობს და ამბობს, რომ გზად იგი ეწვევა ბულგარეთს, ჩეხოსლოვაკიას და იუგოსლავიას.

**ამხ. სტალინი** ამბობს, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ძირითადი დარტყმა გადაიტანეს სლავმა ხალხებმა და ეს მას თვითგამორკვევის უფლებას აძლევს. მეორე მსოფლიო ომის დადებითი მხარეა ის, რომ იგი სლავ ხალხებს აძლევს დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნის შესაძლებლობას.

**კრუჩკი** პასუხობს, რომ სლავმა ხალხებმა, განსაკუთრებით კი საბჭოთა ხალხმა, პოლონელებმა და იუგოსლავებმა, გაუძლეს ყველაზე მძიმე განსაცდელს და გაიღეს ყველაზე დიდი მსხვერპლი. წითელი არმია იყო ის იარაღი, რომელმაც შემოაბრუნა მოვლენათა განვითარება, და რომლის წყალობითაც ისტორია ახალი კალაპოტით წარიმართა. სლავმა ხალხებმა გამოიჩინეს თავი, როგორც მნიშვნელოვანმა ფაქტორმა არა მარტო მშვიდობის დამყარების, არამედ საბჭოთა კავშირთან, შეერთებულ შტატებთან და სხვა მოკავშირეებთან ერთად ამ მშვიდობის გარანტირების საქმეში.

**ამხ. სტალინი** ამბობს, რომ ეს სიმართლეა.

**კრუჩკი** ამბობს, რომ იქნებ სტალინის და მოლოტოვისთვის საინტერესო იყოს იმის მოსმენა, რომ ამერიკაში სლავური წარმოშობის ადამიანებმა გამოუშვეს მთელი სამხედრო პროდუქციის 51 პროცენტი. ამ ციფრს ვაშინგტონი ასახელებს.

**ამხ. სტალინი** ეკითხება, ნუთუ ასე ბევრიო.

**კრუჩკი** პასუხობს, რომ ამერიკაში უკვე ცხოვრობს სლავი ხალხების მე-4 თაობა. სლავმა დედებმა ამერიკის არმიას მისცეს ყველაზე მეტი ჯარისკაცი, რადგან სლავებს დიდი ოჯახები აქვთ. მაგალითად, მარია როშინსკაიამ ამერიკის არმიაში გაგზავნა თავისი 10 ვაჟი. ამერიკის წითელი ჯვარი იტყობინებოდა, რომ შეერთებული შტატების სლავმა მოსახლეობამ გაიღო ყველაზე მეტი რაოდენობის სისხლი.

**ამხ. სტალინი** ამბობს, რომ სლავი ერი ახალგაზრდა და ჯანმრთელია.

**კრუჩკი** ამბობს, რომ ამიტომ მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ რის გაკეთებას აპირებენ სლავები.

**ამხ. სტალინი** ამბობს, რომ მართალია და ეკითხება, ხომ არ განიცდიან სლავი ხალხები შეერთებულ შტატებში დენაციონალიზაციის პროცესს.

**კრუჩკი** პასუხობს, რომ სლავ მოსახლეობაში შეინიშნება დენაციონალიზაციის ტენდენცია, რადგან შეერთებულ შტატებში ცხოვრობს სლავი ხალხების უკვე მეოთხე თაობა.

**ამხ. სტალინი** ეკითხება, თუ მოქმედებს შეერთებულ შტატებში სლავების ეროვნული სკოლები.

**კრუჩკი** პასუხობს, რომ ასეთი სკოლები უმეტესწილად საეკლესიო მრევლებთან მოქმედებენ.

**ამხ. სტალინი** ეკითხება, არსებობს თუ არა საშუალო და უმაღლესი სკოლები შეერთებული შტატების სლავი მოსახლეობისთვის.

**კრუჩკი** უარყოფითად პასუხობს.

**ამხ. სტალინი** შენიშნავს, რომ ეს შეერთებულ შტატებში სლავი ერების დენაციონალიზაციაა.

**კრუჩკი** ამბობს, რომ ბავშვებში ძნელია გააღვივო სლავობისადმი ისეთი ინტერესი, როგორც ეს შეიძლება გააკეთო ზრდასრულ ადამიანებში.

**კრუჩკი** ამბობს, რომ 1945 წელს სან-ფრანცისკოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამფუძნებელ კონფერენციაზე საბჭოეთის წარმომადგენლებმა ჩაიტანეს ის, რაც იქ მანამდე არ ყოფილა. მათ, შეიძლება ითქვას, შთაბერეს სული მკვდარ სხეულს.

**ამხ. სტალინი** შენიშნავს, რომ საბჭოთა დელეგაცია შეიძლება შევადაროთ ჭაობში ნასროლ ქვას, რომელმაც დიდი ხმაური გამოიწვია.

**კრუჩკი** ამბობს, რომ მოლოტოვმა გამოაფხიზლა მთელი ამერიკული პრესა. საბჭოთა დელეგაციამ პატარა ატომური ბომბი გაისროლა კონფერენციაზე. მოლოტოვი კონფერენციის ცენტრალური ფიგურა იყო.

მოლოტოვი აღნიშნავს, რომ იგი ჩაჭრეს მთელ რიგ საკითხებში.

**კრუჩკი** შენიშნავს, რომ ეს დროებითი წარუმატებლობა იყო.

**კრუჩკი** ამბობს, რომ სურს გაიხსენოს შეერთებული შტატების სლავ მოსახლეობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი მომენტი. 1944 წელს პრეზიდენტის არჩევნების დროს, ამერიკელ სლავთა კონგრესმა მთელი თავისი ძალები დარაზმა რუზველტის მხარდასაჭერად, რადგან სლავური მოსახლეობა, რომელიც დიდად იყო დაინტერესებული ევროპაში გამარჯვებით, ამ გამარჯვებას სწორედ რუზველტს უკავშირებდა. როცა დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა გადახედეს ბიულეტენებს, აღმოჩნდა, რომ რუზველტს უმეტესწილად დაუჭირა მხარი შეერთებული შტატების სლავმა მოსახლეობამ.

**ამხ. სტალინმა** შენიშნა, რომ რუზველტმა ვერ მიიღო ხმათა მნიშვნელოვანი უმრავლესობა.

**კრუჩკი** ამბობს, რომ სწორედ ამიტომაც საჭირო გახდა სლავი მოსახლეობის დარაზმვა რუზველტის მხარდასაჭერად, და მანაც დიდი უმრავლესობით მისცა ხმა რუზველტს.

**ამხ. სტალინი** ეკითხება, თუ როგორ გრძნობს თავს ორლემანსკი (თადეუშ კოსტიუშკოს სახელობის ამერიკის ლიგის ხელმძღვანელი, მღვდელი სტანისლავი).

**კრუჩკი** პასუხობს, რომ მას შემდეგ, რაც ორლემანსკი დაბრუნდა საბჭოთა კავშირიდან, მის შესახებ არაფერი აღარ ისმის. ეს ტრაგიკული შემთხვევაა.

იხ. მე-6 გვ.

# ჰამასი უარყოფს მოწოდებებს ისრაელთან დაზავების შესახებ

**ჰამასის მოძრაობამ, რომელმაც გაიმარჯვა პალესტინის პარლამენტის არჩევნებში, უარყო შეერთებული შტატების, გაეროს, ევროკავშირის და რუსეთის მოწოდებები იმის შესახებ, რომ აიღოს ხელი ისრაელის წინააღმდეგ ძალადობრივ ბრძოლაზე.**

თუ ჰამასის მომავალი მთავრობა არ დაპირდება მსოფლიო გაერთიანებას, რომ დაიცავს მშვიდობიან მეთოდებს, იგი შეიძლება აღმოჩნდეს იზოლაციაში. თუმცა, დიპლომატებს იმედი აქვთ, რომ პალესტინის მხარე, ისრაელი და საერთაშორისო შუამავლები ჯერ კიდევ შეძლებენ რაღაც გამოსავლის გამონახვას.

ჰამასის პასუხი „ახლო აღმოსავლეთის კვარტეტის“ მოწოდებაზე, სწრაფი და მტკიცე იყო. მოიწვია რა ჟურნალისტები ღაზში ბრიფინგზე, ორგანიზაციის პრესმდივანმა სამი აბუ ზუჰრიმ მათ წაუკითხა განცხადება: „ჰამასის მოძრაობა მტკიცედ ერთგულობს თავის იდეოლოგიას და კატეგორიულად უარყოფს იმას, რომ პალესტინელებს არ დართონ ოკუპანტების წინააღმდეგ ყველა საშუალებით ბრძოლის უფლება, — თქვა აბუ ზუჰრიმ. — ჩვენ არაფერი გვაქვს დასავლეთის სამყაროს საწინააღმდეგო. ჩვენი ერთადერთი პრობლემაა ებრაელი ოკუპანტები“.

მანამდე ევროკავშირის, გაეროს, შეერთებული შტატების და რუსეთის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ მსოფლიო გაერთიანება პალესტინის ავტონომიას დახმარებას გაუწევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ახალი მთავრობა ეცდება მშვიდობის დამყარებას ისრაელთან.

ეგრეთ წოდებულმა „ახლო აღმოსავლეთის კვარტეტმა“ — ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების ხელშემწყობმა მხარეებმა — ასეთი განცხადება გააკეთეს ლონდონში გამართული შეხვედრის შემდეგ. ბრიტანეთის დედაქალაქში შეიკრიბნენ გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორი ხავიერ სოლანა.

„კვარტეტის“ წარმომადგენლები ცდილობენ განსაზღვრონ, თუ რა უნდა მოიმოქმედონ მას შემდეგ, რაც პალესტინის პარლამენტის არჩევნებში გაიმარჯვა რადიკალურმა ისლამისტურმა დაჯგუფებამ ჰამასმა, რომელიც თავის მიზნად ისრაელის განადგურებას ისახავს.

„პალესტინის მომავალი მთავრობის ყველა წევრი უნდა ერთგულობდეს არაძალადობრივ მეთოდებს, ისრაელის, როგორც სახელმწიფოს აღიარებას და ყველა წინათ ნაკისრი შეთანხმების, მათ შორის „საგზაო რუკის“ დაცვას“, — ხაზგასმულია განცხადებაში, რომელიც კოფი ანანმა წაიკითხა.

# სტიქიური უბედურებების შედეგად შარშან დაიღუპა 92 ათასი და დაზარალდა 157 მილიონი ადამიანი

**ეს მონაცემები გამოაქვეყნა გაეროს ქვეგანყოფილებამ — სტიქიური უბედურებების შედეგების შემცირების სტრატეგიის საერთაშორისო ორგანიზაციის სამდივნომ.**

2004 წელთან შედარებით სტიქიური უბედურებების რიცხვი გაიზარდა (305 — 2004 წელს და 360 — 2005 წელს). მსხვერპლთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა — 2004 წელს დაიღუპა 244,5 ათასი კაცი (მათი უმრავლესობა ემსხვერპლა ცუნამის ინდოეთის ოკეანის რეგიონში). ამავე დროს, 7 მილიონით გაიზარდა იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთა ცხოვრებაზეც უშუალო გავლენა მოახდინეს ბუნებრივმა კატაკლიზმებმა. 2005 წელს სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებულმა ზარალმა მიაღწია 159 მილიარდ დოლარს, როცა 2004 წელს ეს მაჩვენებელი 92,9 მილიარდს შეადგენდა.

უბედური შემთხვევების რიცხვის ზრდა, უწინარეს ყოვლისა, უკავშირდება გახშირებულ წყალდიდობებსა და გვალვებს. 2004 წელთან შედარებით, 2005 წელს წყალდიდობათა რიცხვი გაიზარდა 57 პროცენტით, გვალვებისა კი — 47 პროცენტით.



სტიქიური უბედურებების შედეგების შემცირების სტრატეგიის საერთაშორისო ორგანიზაციის სამდივნო აღრიცხავს ისეთ ბუნებრივ კატაკლიზმებს, რომლებსაც ემსხვერპლა 10 კაცზე მეტი და კიდევ სულ ცოტა 100 ადამიანზე მოახდინეს გავლენა.

# მოკლედ

**დიდმა ბრიტანეთმა ერაყში მეასე სამხედრო მოსამსახურე დაკარგა. ეს მოხდა ერაყის სამხრეთ ნაწილში აფეთქების შედეგად. სტატისტიკის თანახმად, 2003 წლის მარტიდან ერაყში დაღუპული ყველა ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურიდან 77 მოკლეს საომარი მოქმედების დროს, 23 კაცი კი გარდაიცვალა**



**ავადმყოფობის, ტრავმების, უბედური შემთხვევების ან სხვა ინციდენტების შედეგად.**

* * *

**ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 2005 წელს პალესტინის ადმინისტრაციამ მიიღო 366 დოლარი, ფინანსური დახმარების საერთო მაჩვენებელი კი 1,1 მილიარდ დოლარს შეადგენს. აფრიკის ღარიბესი ქვეყნებისთვის გაწეული დახმარება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საშუალოდ 30 დოლარს შეადგენს.**



* * *

**ბუში წერილით მიმართავს ხალხებს. მთავარი თემებია: ტერორიზმის შესუსტება და ეკონომიკური განმტკიცება. კონგრესის ორივე პალატის სახელზე შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ გაგზავნილ წერილს ეწოდება „ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ“.**



* * *

**ყირიმის საკურორტო ზონაში, დაბა პარტერიტში, ამ ბოლო სამი დღის განმავლობაში იპოვეს 300-ზე მეტი მკვდარი გარეული იხვი. ოპერატიულმა ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ იხვების ლეშში აღმოაჩინეს „ფრინველის გრიპის“ ვირუსი. ყირიმის საკურორტო ზონებში შემოღებულია პლაჟების ტერიტორიების მრავალჯერადი ყოველდღიური შემოწმება. ჯანმრთელობის დაცვის და საგანგებო სიტუაციათა სამინისტროები თვით ადამიანების ევაკუაციისთვისაც კი ემზადებიან.**

გლობუსი

# ჩინეთის „ცხრაბალიანი მიწისძვრის მსგავსი“ ნაბიჯები

**გასული კვირის მოვლენებიდან, გარდა ევროპის, რუსეთის და საქართველოს გამყინვარების პროცესებისა, ისეთმა მოვლენებმა მიიპყრეს მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღება, როგორებიცაა: ირანის ბირთვული ენერგიის საკითხი, პალესტინის ავტონომიის არჩევნები და დავოსში გამართული მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმი. თუ პირველ საკითხთან დაკავშირებით საგრძნობი პროგრესი აღინიშნება, მეორე მოვლენამ აშშ-ს და ევროპის სახელმწიფოებს გაუცრუა იმედები.**

მკითხველისათვის ცნობილია ირანის ბირთვული ამბიციები, რაშიც მას ვერ დაადანაშაულებ. ამის




შესახებ აშშ-ს პრეზიდენტმა ბუშმაც განაცხადა. ყველა ქვეყანას და მათ შორის ირანსაც უფლება აქვს აწარმოოს ბირთვული ენერგიისათვის საჭირო კვლევები. მაგრამ ბირთვული ენერგიის საერთაშორისო ორგანიზაციის მიხედვით, ირანს, გარდა სამშვიდობო ატომისა, ატომური ბომბის შექმნაც სურს. ირანის ამბიციას ერთვის ირანის პრეზიდენტის აჰმად-ნეჯადის სისტემატური განცხადებებიც ისრაელის განადგურების თაობაზე. ყოველივე ეს კი მსოფლიოში დიდ შეშფოთებას იწვევს. ირანის მტკიცე პოზიციამ ურანის გამდიდრების პროცესის გაგრძელებასთან დაკავშირებით, გააღიზიანა ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი და ბირთვული ენერგიის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლებმაც დააყენეს წინადადება ირანის საკითხის გაეროს უშიშროების საბჭოს განსახილველად გადაცემისათვის. თებერვლის დასაწყისში, ბირთვული ენერგიის საერთაშორისო ორგანიზაცია, განიხილავს ირანის საკითხს და გადაწყვეტილებაც არ დააყოვნებს, თუმცა რუსეთის დიპლომატიის აქტიური და პრაგმატული პოლიტიკის შედეგად, გადაწყვეტილება ირანისათვის უარყოფითი არ უნდა იყოს.

ბოლოს და ბოლოს ირანის ხელისუფლება დაეთანხმა რუსეთის წინადადებას, რუსეთის ტერიტორიაზე, ირანის ურანის გამდიდრების სამუშაოების განხორციელების თაობაზე და ამასთან დაკავშირებით ირან-რუსეთის ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ. ირანის მთავარი მომლაპარაკებელი ლარიჯანი, მოსკოვს და შემდეგ პეკინს ეწვია. ორივე ქალაქში კმაყოფილებით შეხვდნენ ლარიჯანის ვიზიტს. კმაყოფილება შეინიშნება ევროპის დედაქალაქებს და ვაშინგტონში. დავოსის კონფერენციაზე, საერთაშორისო ბირთვული ენერგიის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ელ ბარადეიმ, პოზიტიური უწოდა მოსკოვის შეთანხმებას.

**მოსკოვი და პეკინი ირანის ეკონომიკური სანქციებით დასჯის საკითხში ფეხს ითრევენ. ისინი წინააღმდეგნი არიან ირანის ბირთვული ობიექტების დაბომბვის, ვინაიდან მას სერიოზული, ჯერ ამოუცნობი შედეგები შეიძლება მოჰყვეს. გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სანქციების შემოღების შემთხვევაში, ირანი ნავთობის ექსპორტის შემცირებით იმუქრება, რაც მსოფლიოში ნავთობზე ისედაც გაზრდილ ფასებს კატასტროფულად მოუმატებს. ნავთობზე ფასების გაზრდა ხელს არ აძლევს გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრს ჩინეთს, რომლის ეკონომიკა მჭიდროდ უკავშირდება ნავთობის იმპორტს.**

რაც შეეხება პალესტინის ავტონომიის არჩევნებს და მასში რეაქციული ჰამასის გამარჯვებას, ამ ამბავმა, როგორც აშშ-ში, ისე ევროპის ქვეყნებში, იმედგაცრუება გამოიწვია. რა გაეწყობა! თვით ამერიკელთა განცხადებით, არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა. გაიმარჯვა ჰამასმა, რომელიც, ირანის მსგავსად, ისრაელის განადგურებით იმუქრება. ჰამასის გამარჯვებამ ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესი სერიოზულად შეიძლება შეაფერხოს, თუმცა პოლიტიკა ისეთი მეცნიერებაა, სადაც სრული მოსალოდნელია, თეორიულ-ისტორიული შესაძლებლობების დეფიციტის შემთხვევაში, მტრების ინტერესების დაახლოება.

დიდი ყურადღება გამოიწვია შვეიცარიის კურორტ დავოსში მსოფლიოს ეკონომიკურმა ფორუმმა. ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტიც იღებს მონაწილეობას ამ ფორუმში.

დავოსის განსახილველ საკითხებში დიდი ყურადღება ეთმობოდა ჩინეთთან ვაჭრობას. ჩინეთის სამრეწველო საქონელმა, თავისი ხარისხით და მრავალფეროვნებით წალეკა, როგორც ევროპის, ისე ამერიკის ბაზრები. ჩინეთის არათუ ყოველწლიური, არამედ ყოველდღიური თავბრუდამხვევი წინსვლა, მის გარდა, მსოფლიოში ნაკლებად თუ ვინმეს ახარებს. მათ რიცხვში, უპირველესად, ამერიკელები არიან. არცთუ შორეულ მომავალში ამერიკელთა მსოფლიო ბატონობას უდავოდ შეეცილება მძლავრი ეკონომიკისა და დიდი მოსახლეობის მქონე გიგანტი, რომელსაც თვალშისაცემ თანამედროვეობასთან პარალელურად, ღრმად აქვს ფესვები გადგმული ისტორიაში.

თანამედროვე ჩინეთის ცხოვრების წესი ეფუძნება იმ იდეოლოგიას, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 551 წელს, კონფუცის დაბადებასთან ერთად გაჩნდა. კონფუცის სწავლებამ უდიდესი გავლენა იქონია მილიონობით ადამიანის აზროვნებაზე, ასეული წლების წინსწრებით განსაზღვრა ჩინური საზოგადოების სახე. ჩინელ მეცნიერთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ კონფუცის სწავლებას დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნის მოდერნიზაციის საქმეში. კონფუცი ქადაგებს განათლების განვითარებას, განათლებული ხალხის საზოგადოების შექმნას. მოდერნიზაციას განათლებული ხალხი ესაჭიროება. მოდერნიზაცია არა მარტო ინდუსტრიალიზაციაა, არამედ მოწინავე ეკონომიკაც, ცხოვრების თანამედროვე წესიც, რომელიც გონების სრულყოფასაც გულისხმობს.

მუყაითი სწავლის და შრომის ნაყოფია ცხრაბალიანი მიწისძვრის მსგავსი შედეგის გამოქვეყნება, რომელიც ჩინეთის სტატისტიკის სამმართველომ გააკეთა. **2004 წელს ეროვნული პროდუქტის წარმოების მატებაში, ჩინეთმა 16,8 პროცენტს მიაღწია. მსოფლიოს ანალიტიკოსები ელოდნენ ჩინეთის წარმატებას, ისინი 14 პროცენტს ვარაუდობდნენ, მაგრამ თითქმის 17 პროცენტს არავინ მოელოდა.** ჩინეთის ეკონომიკა სრულიად ახალი სახით წარსდგა მსოფლიოს წინაშე. საერთაშორისო საქმიან წრეებში ეს ფენომენი „ერთ ღამეში გაკეთებულ უდიდეს ნახტომად“ მონათლეს. ჩინეთის ეკონომიკა არა მარტო სწრაფი ტემპით ვითარდება, არამედ საკმაოდ მყარი სტრუქტურითაც ხასიათდება. ბევრი ეკონომისტი მიიჩნევდა, რომ ჩინეთი ზეინვესტიციურ კრიზისში მოექცეოდა. უცხოეთიდან შემოსული ფული გადაწვავდა ეკონომიკას და შესაბამისად ქვეყნის საფინანსო სისტემის კრახს გამოიწვევდა. ბოლო წლებში ქვეყნის ეროვნული პროდუქტის წარმოების საქმეში, უცხოურმა კაპიტალმა 40 პროცენტი შეადგინა. ჩინეთის ეკონომიკაში არსებულმა შემოდინებული თანხების და მისი ათვისების ბალანსმა, ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. ამას დაემატა სამომხმარებლო ბაზრის წინმსწრები ტემპით ზრდა, რაც „ანტიფრიზის“ როლს ასრულებს და არ აძლევს ეკონომიკას გადახურების საშუალებას. **2004 წლის მონაცემების მიხედვით ჩინეთის ეკონომიკა მე-6 ადგილზე აღმოჩნდა აშშ-ს, იაპონიის, გერმანიის, საფრანგეთის და ინგლისის შემდეგ. ეკონომისტთა მიხედვით, მომავალ წელს, ჩინეთი მე-4 ადგილზე გავა, ხოლო 2010 წელს — მესამეზე. 2040 წელს კი ჩინეთი, მსოფლიოს ყველაზე მოწინავე ეკონომიკურ სახელმწიფოდ მოგვევლინება.**

არნახულმა ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა „დიდი რვიანის“ ზოგიერთ წევრს უკვე ათქმევინეს, ჩინეთის ამ კლუბში მიღების თაობაზე.

ეკონომიკური ზრდის ტემპის მატებასთან ერთად იზრდება აშშ-ს და ევროპის სახელმწიფოების უკმაყოფილება პეკინის პოლიტიკის მიმართ. ისინი მიიჩნევენ, რომ პეკინი შეგნებულად აკავებს იუანის კურსს, რაც ამ ქვეყანას ექსპორტში კოლოსალურ უპირატესობას




ანიჭებს და ბლოკავს იმპორტს. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია დიდი სახელმწიფოების ჩინეთზე ზეწოლა, დოლართან და ევროსათან მიმართებაში, იუანის კურსის გასაზრდელად. არც ის არის გამორიცხული, რომ აშშ-მ ჩინურ საქონელზე შემოიღოს სპეციალური გადასახადი — 27,5 პროცენტის ოდენობით, იმ შემთხვევაში, თუ პეკინი გააგრძელებს იუანის შეკავებას.

ეროვნული პროდუქტის წარმოების მიხედვით მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნები ასე გამოიყურება (ტრილიონ დოლარში): აშშ — 12,668; იაპონია — 4,696; გერმანია — 2,737; დიდი ბრიტანეთი — 2,177; საფრანგეთი — 2,035; ჩინეთი — 2,148; იტალია — 1,676; ესპანეთი — 1,027; კანადა — 1,007; ინდოეთი — 0,742; რუსეთი ათეულში არ შედის. მას მე-13 ადგილი უკავია — 599 მილიარდ 244 მილიონი დოლარი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩინეთის სტატისტიკურ მონაცემებში არ შედის სიანგანი (ჰონკონგი). ამ სპეციალური ეკონომიკური ზონის დამატების შემთხვევაში, ჩინეთი მსოფლიოში მე-4 ადგილზეა.

ჩინეთის მზარდი ეკონომიკური წინსვლა სერიოზულად მოქმედებს მსოფლიო გეოპოლიტიკურ ვითარებაზე და აზიაში სტრატეგიულ ძალთა ფარდობაზე. აქედან გამომდინარე აშშ არ შეეგუება წყნარი ოკეანის უკიდეგანო რეგიონში თამაშგარე პოზიციაში ყოფნას და იმის ყურებას, თუ როგორ იზრდება ჩინეთის გავლენა ამ რეგიონის ქვეყნებზე.

იხ. მე-6 გვ.

არქივი

# ცივი ომის დაწყების წინ სტალინმა გადაწყვიტა წამოეწყო ახალი გეოპოლიტიკური თამაში

(მეხუთე გვერდიდან)

**ამხ. სტალინი** ამბობს, რომ ბოლო ხანებში ორლემანსკისგან მიიღო წერილი, თუმცა, პასუხი არ გაუცია, რადგან არ სურს, რომ ორლემანსკის დამატებითი უსიამოვნება შეექმნას.

**კრუიცკი** აცხადებს, რომ ზოგიერთის აზრით, ორლემანსკი გახდებოდა იან ჭუსი პოლონელებისთვის, მაგრამ როგორც ჩანს, პოლონელებს კიდევ დიდხანს მოუწევთ ლოდინი ახალი ჭუსის გამოჩენამდე.

მოლოტოვი შენიშნავს, რომ ორლემანსკის არ დაადგა კარგი დღე, როცა იგი დაბრუნდა შეერთებულ შტატებში.

**კრუიცკი** ამას ეთანხმება. მას შემდეგ შეერთებულ შტატებში პოლონეთის საკითხთან დაკავშირებით მდგომარეობა გაუმჯობესდა. ზოგიერთმა გაზეთმა, რომლებიც წინათ მხარს უჭერდნენ არციშევსკის (ლონდონში ემიგრირებული პოლონეთის მთავრობის პრემიერიძ, შეიცვალეს პოზიცია და ახლა, როგორც ისინი ამბობენ, მხარს უჭერენ არა პოლონეთის ამჟამინდელ მთავრობას, არამედ პოლონელ ხალხს. რა თქმა უნდა, ამერიკაში ჯერ კიდევ გაჩაღებულია მძლავრი პროპაგანდა ბერუტის რეჟიმის წინააღმდეგ, თანაც, ამ პროპაგანდას მხარს უჭერენ ამერიკელი ფაშისტებიც, ისეთები, მაგალითად, როგორიც არის ჰერსტი, მაკკორმიკი, პატერსონი.

**ამხ. სტალინი** ამბობს: როგორც ჩანს, ამერიკული გაზეთები წინათ არ უჭერდნენ მხარს პოლონელ ხალხს, ხედავდნენ მხოლოდ არციშევსკის, ახლა კი დაინახეს პოლონელი ხალხი და მას დაუჭირეს მხარი.

**კრუიცკი** ამბობს, რომ გაზეთებმა პოზიცია შეიცვალეს პოლონელთა მასობრივი ორგანიზაციების ზემოქმედების შედეგად. ამერიკელი პოლონელების განწყობილებას მოწმობს ის ფაქტი, რომ იგი, კრუიცკი გაგზავნა ვარშავაში, პოლონეთის პროფკავშირების ყრილობაზე სამეწარმეო პროფკავშირების კონგრესმა. იგი შეარჩიეს 6 მილიონ წევრს შორის, რომელთაგან 600 ათასი პოლონელია. სწორედ ეს პოლონელები შედიან ასევე ამერიკაში მოქმედ სხვადასხვა მოქმედ ორგანიზაციათა რიგებში.

**ამხ. სტალინი** ამბობს, რომ ბერუტი რომ არ ყოფილიყო, პოლონელები ვერ მიიღებდნენ ამჟამინდელ დასავლეთის საზღვრებს. პოტსდამში ცხარე კამათი გაჩაღდა ამ საკითხის თაობაზე. ინგლისი დიდი წინააღმდეგი იყო ამის, პოლონელებიც მერყეობდნენ, და მხოლოდ ბერუტის სიმტკიცემ მისცა პოლონელებს ამჟამინდელი დასავლეთის საზღვრების მიღების შესაძლებლობა. ბერუტი ძალზე გამორჩეული ადამიანია პოლონეთისთვის.

**კრუიცკი** აცხადებს, რომ ბერუტი არის მოაზროვნე, შემოქმედებითი ნიჭის მქონე ადამიანი. პოლონეთში ასეთი მოღვაწეები ბევრი არ ყოფილან.

**ამხ. სტალინი** შენიშნავს, რომ პოლონეთს უნდა მივცეთ თავისუფლება და იგი მოგვცემს ნიჭიერ მოღვაწეებს.

**კრუიცკი** ამბობს, რომ მან პოლონეთში ნახა მუშათა მოძრაობის ახალგაზრდა ნიჭიერი ხელმძღვანელები, რომლებიც პარტიზანულ რაზმებში იბრძოდნენ. პოლონეთის მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დაირაზმება მისი მუშათა კლასი. ამჟამად პროფკავშირებში ორგანიზებულია 1045 ათასი პოლონელი მუშა. ომამდე პოლონეთში პროფკავშირის 450 ათასი წევრი იყო.

**ამხ. სტალინი** ამბობს, რომ წინათ პოლონეთის მთავრობა ძნელად ურიგდებოდა პროფკავშირების არსებობას, როცა ქვეყნის ამჟამინდელი მთავრობა ყოველმხრივ ახალისებს მათ საქმიანობას. პოლონეთი გახდება დიდი სამრეწველო ქვეყანა.

**კრუიცკი** აცხადებს, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ასეთმა ფაქტმა: ბერუტი და ედვარდ ოსუბკა-მორავსკი (ეროვნული ერთობის დროებითი მთავრობის თავმჯდომარეძ მივიდნენ პროფკავშირების ყრილობაზე და მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს.

**ამხ. სტალინმა** შენიშნა, რომ ასეთი რამ მანამდე პოლონეთში არ ყოფილა.

**კრუიცკი** ამბობს, რომ პოლონეთის ფაქტობრივი დიქტატორის, მარშალ იუზეფ პილსუდსკის დროს, პროფკავშირელ მოღვაწეებს აპატიმრებდნენ ბრესტის ციხეში. მოგვიანებით ბერლინში გახსნეს ბანაკი, რომელშიც ჰყავდათ მუშათა კლასის 45 ათასი საუკეთესო წარმომადგენელი. ყოველივე ეს მოხდა პოლონეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ბეკის სანქციებით. ახლა პოლონეთის მუშათა კლასი მტკიცედ არის დარაზმული და პოლონეთის კომპარტია და სოციალისტური პარტია ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტით მუშაობენ. იგი, კრუიცკი, ფიქრობს, რომ არჩევნები იუგოსლავიაში, ბულგარეთში და არჩევნები, რომლებიც უნდა გაიმართოს 10 თებერვალს საბჭოთა კავშირში და ჩეხეთში, გაუსვამს ხაზს ხალხის ერთობას, კეთილმყოფელ გავლენას მოახდენს პოლონელ ხალხზე. პოლონელები დაინახავენ, რომ მათ უნდა იცხოვრონ მეგობრულად თავიანთ სლავ მეზობლებთან.

**კრუიცკი** აცხადებს, რომ იგი აპირებს მოხსენების გაკეთებას პარიზში პროფკავშირების საერთაშორისო კონგრესის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, მას სურს აცნობოს შემდეგი სტალინს და მოლოტოვს: ამერიკის პროფკავშირულმა ხელმძღვანელმა და სამეწარმეო პროფკავშირების კონგრესის ლიდერმა სიდნეი ჰილმენმა და საკავშირო პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ვასილ კუზნეცოვმა ერთმანეთი გაიცნეს შარშან ლონდონში. მათ იქ შეიმუშავეს საერთაშორისო პროფკავშირული გაერთიანების შექმნის პროგრამა. როცა იგი, კრუიცკი სამი თვის წინათ იმყოფებოდა პარიზში, პროფკავშირების საერთაშორისო კონგრესის შვედი, ბელგიელი და ჰოლანდიელი სოციალ-დემოკრატების ჯგუფი ცდილობდა საერთაშორისო პროფკავშირული გაერთიანების შექმნის ჩაშლას, ისინი შიშობდნენ, რომ კონგრესი მოქმედებს ძალზე სწრაფად, და ამტკიცებდნენ, რომ პირველი წელი მან უნდა დაუთმოს საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის შესაძლებლობების შესწავლას. საქმე ჩაშლისკენ მიდიოდა და მაშინ ჩაერია ჰილმენი, რომელმაც დაჟინებით მოითხოვა, რომ დაუყოვნებლივ შექმნილიყო საერთაშორისო ორგანიზაცია. იგი გრძნობდა კუზნეცოვის დიდ მხარდაჭერას. შესაბამისად, ამ საქმეში დამსახურება მიუძღვით კუზნეცოვს და ჰილმენს. ამ უკანასკნელმა იცოდა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა დიდი ბრიტანეთის, შვედეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის გარეშე, და ამიტომაც, შესთავაზა ბრიტანე-



თის ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურ მდივანს და პროფკავშირების ამსტერდამის ინტერნაციონალის თავმჯდომარეს უოლტერ სიტრინს ამ ორგანიზაციის თავმჯდომარეობა, რასაც სიტრინი დათანხმდა.

**კრუიცკი** ამბობს, რომ ჰილმენი 1922-1923 წლებში შეხვდა ლენინს და დააარსა რუსეთ-ამერიკის კორპორაცია, რომელსაც ჰქონდა თავისი ტანსაცმლის ფაბრიკა მოსკოვში. ამერიკაში შეაგროვეს 300 ათასი დოლარი ამ კორპორაციისთვის. მოგვიანებით, როცა საბჭოთა კავშირი მოღონიერდა, საბჭოთა მთავრობამ პროცენტებით დააბრუნა ეს 300 ათასი დოლარი. ამან გააოგნა ამერიკელები, რომლებმაც კორპორაციის აქციათა შესყიდვა დაიწყეს არა დივიდენდების გამო, არამედ იმისთვის, რომ სურდათ შეეტანათ თავიანთი წვლილი საბჭოთა კავშირის დახმარების ფონდში.

**კრუიცკი** ამბობს, რომ იგი არის ომში რუსეთის დახმარების კომიტეტის წევრი, რომელსაც კარტერი თავმჯდომარეობს. შარშან კომიტეტმა რუსეთში გამოგზავნა 22 მილიონი დოლარის მასალები.

**ამხ. სტალინი** ეკითხება, დარჩება თუ არა ამერიკაში პროფკავშირების ორი ცენტრი.

**კრუიცკი** პასუხობს, რომ კრიზისი, რომელიც ამჟამადაა ამერიკაში, აიძულებს მასებს ძლიერი ზემოქმედება მოახდინონ პროფკავშირულ ლიდერებზე და ორ პროფკავშირულ ცენტრს ძალზე გაუჭირდება არსებობა.

**ამხ. სტალინი** ამბობს, რომ შეიძლება დაზარალდეს ორი ცენტრი, მაგრამ გამოჩნდეს მესამე, ერთიანი ცენტრი.

**კრუიცკის** მიაჩნია, რომ ეს ერთადერთი გზაა, რომლის შედეგადაც შეიძლება წარმოიქმნას ამერიკაში ერთიანი პროფკავშირული ცენტრი.

**ამხ. სტალინი** კითხულობს, იზრდება თუ არა უმუშევრობა შეერთებულ შტატებში.

**კრუიცკი** პასუხობს, რომ ამჟამად ამერიკაში სამი მილიონი უმუშევარია.

**ამხ. სტალინი** ეკითხება, ხომ არ მიაჩნია კრუიცკის შესაძლებლად ის, რომ საბჭოთა მთავრობამ სსრ კავშირში სამუშაოდ მოიწვიოს კარგი ამერიკელი მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები. საბჭოთა მთავრობა მათთვის უზრუნველყოფდა კარგ პირობებს, უკეთესს, ვიდრე მათ ექნებოდათ ამერიკაში.

**კრუიცკი** პასუხობს, რომ ეს გეგმა შეიძლება განხორციელდეს, მით უმეტეს, რომ საბჭოთა კავშირი ახლა უდიდესი პრესტიჟით სარგებლობს შეერთებულ შტატებში. საბჭოთა კავშირს მიიჩნევენ იმ ძალად, რომელსაც შეეძლო არა მარტო ფაშიზმის დამარცხება, არამედ უკეთესი და ახალი სამყაროს აშენებაც. ომის დროს ამერიკაში დასაქმებული იყო 53 მილიონი კაცი, მათ შორის, მრავლად იყვნენ ქალები, მაგრამ ამ ადამიანთა უმრავლესობა, რა თქმა უნდა, აღარ დაბრუნდება წარმოებაში. მაგრამ მილიონობით მუშა, რომელსაც სურს სამუშაოს შოვნა, ვერასდროს ვერ შეძლებს ამას. ამიტომ, კრუიცკის მიაჩნია, რომ გეგმა, რომელიც გამოთქვა გენერალისიმუსმა სტალინმა, სავსებით შესრულებადია.

**ამხ. სტალინმა** შენიშნა, რომ ომის დროს, საბჭოთა კავშირმა მოკლულების და ინვალიდების სახით დაკარგა 5 მილიონზე მეტი კაცი. მოკლეს მრავალი ინჟინერი, ტექნიკოსი და კვალიფიციური მუშა, საბჭოთა მრეწველობას კი ძალზე სჭირდება კადრები, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საბჭოთა მთავრობა თავისი კადრებით ეხმარება ბულგარეთს, იუგოსლავიას და ბოლო დრომდე ეხმარებოდა პოლონეთსაც.

**კრუიცკი** აცხადებს, რომ იმან, რაც გააკეთეს მოლოტოვმა, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერნსტ ბერინმა და შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ფრენსის ბირნსმა 1945 წლის დეკემბერს მოსკოვში, საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე, უფრო დიდი იმედი ჩაუსახა ადამიანებს მთელ მსოფლიოში, ვიდრე რაიმე სხვა მოვლენამ. როცა ლონდონის კონფერენცია წარუმატებლად დასრულდა, იმედის გაცრუება იგრძნობოდა პარიზის პროფკავშირების საერთაშორისო კონფერენციაზეც. რეაქციონერები კი, განსაკუთრებით პოლონელები, გახარებულები იყვნენ და სვამდნენ იმის სადღეგრძელოს, რომ ბოლოს და ბოლოს მოხდა განხეთქილება მოკავშირეთა რიგებში.

**ამხ. სტალინი** ეკითხება კრუიცკის: თუ ჰქონდათ პოლონელ რეაქციონერებს იმის იმედი, რომ გაჩაღდებოდა ომი საბჭოთა კავშირსა და მოკავშირეებს შორის.

**კრუიცკი** დადებითად პასუხობს.

**ამხ. სტალინი** ამბობს, რომ ასე ფიქრი დიდი სისულელეა.

**კრუიცკი** აცხადებს, რომ ერთი წლის წინათ, როცა ამერიკელთა ჯარები იბრძოდნენ ზიგფრიდის ხაზის (გამაგრებული ზონა, რომელიც იცავდა გერმანიის საზღვარს ჰოლანდიისა და შვეიცარიის მხრიდანძ გარღვევისთვის, ოკონსკიმ, პოლონური წარმოშობის ამერიკელმა კონგრესმენმა, კონგრესში შეიტანა რეზოლუცია, რომლითაც იგი მოითხოვდა ამერიკელთა ჯარების გამოხმობას ევროპის თეატრიდან. რეზოლუციაში ხაზგასმული იყო, რომ შეერთებულ შტატებში ამერიკელი ჯარისკაცების დაბრუნების შემდეგ საჭირო იყო მომზადების დაწყება ახალი, კიდევ უფრო დიდი ომისთვის. ამასთან, რა თქმა უნდა, იგი გულისხმობდა ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

**ამხ. სტალინი** პასუხობს, რომ გერმანიის და იაპონიის დამმარცხებელ დიდ სახელმწიფოთაგან რომელიმეს მთავრობას რომ მოესურვებინა ომის დაწყება მეორე მოკავშირის წინააღმდეგ, იგი უთუოდ დამარცხდებოდა. ეს მთავრობა ვერ შეძლებდა მთელი არმიის გამოყვანას საომრად, რადგან ომი ყველას მობეზრდა. ამას ვერც საბჭოთა მთავრობა გააკეთებდა. ასეთია ჯარისკაცების განწყობილება დიდ მოკავშირე სახელმწიფოებში.

**კრუიცკი** ამას ეთანხმება. იგი ამბობს, რომ არ სურს საგარეო საქმეთა მინისტრების ახალი კონფერენციის გამართვა ლონდონში, მოსკოვში კი კონფერენცია წარმატებას მიაღწევდა.

**ამხ. სტალინი** ამბობს, რომ უთანხმოება მოკავშირეებს შორის ხდება, ისევე, როგორც ეს ზოგჯერ ოჯახშიც ხდება ძმებს შორის. მაგალითად, მოკავშირეებს შორის უთანხმოება წარმოიქმნება იმის გამო, რომ ამერიკელებს სურთ, რაც შეიძლება მეტი მიიღონ, ამას კი საბჭოთა კავშირი არ ურიგდება.

**კრუიცკი** მადლობას უხდის ამხ. სტალინს მიღებისთვის.

НЕЗАВИСИМАЯ

31 იანვარი.

გლობუსი

# ჩინეთის „უხრავალიანი პიონისქვრის ქსგავლი" ნაბიჯები

(მეხუთე გვერდიდან)

ეკონომიკური ზრდის თავბრუდამხვევი ტემპის მიუხედავად, ჩინეთს არცთუ სახარბიელოდ აქვს საქმე ისეთ მაჩვენებლებში, როგორებიცაა ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავალი. ამ მხრივ ჩინეთს მსოფლიოში 107 ადგილი უკავია. ჯერჯერობით 300 მილიონი ჩინელი სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს. დაბალია ჩინეთის ეკონომიკის ენერგეტიკული ეფექტიანობაც. ჩინეთი ერთი პროდუქტის წარმოებაზე 3,5-ჯერ მეტ ენერგიას ხარჯავს, ვიდრე აშშ და 6-ჯერ მეტს, ვიდრე იაპონია. ნავთობის ბაზრის ექსპერტთა გათვლით, სწორედ ჩინეთის მზარდი და ხარბი ეკონომიკის გამო, ნავთობზე ფასები არ კლებულობს. ჩინეთის ეკონომიკა არ იძლევა ნავთობზე ფასების დაწევის საშუალებას, რაც იმას ნიშნავს, რომ დასავლეთის ქვეყნებში წარმოება ძვირადღირებული დარჩება.



სწორედ ამ საკითხებზე გამახვილდა ყურადღება მსოფლიოს ეკონომიკურ ფორუმზე დავოსში.

**საქართველო-ჩინეთის ურთიერთობებში მეტწილად ჩინეთი აქტიურობს, მაგრამ თბილისში გახსნილი რამდენიმე ჩინური რესტორანი ან კახეთში აშენებული ელექტროსადგური, თანამშრომლობის პოტენციალის ნაკლები მაჩვენებელია. ჩინური მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის საქონლით სრულად არის გაჯერებული საქართველოს ბაზრობები. ჩინურმა იაფფასიანმა საქონელმა საქართველოს ხელმოკლე მოსახლეობას შვების დიდი საშუალება მისცა, რისთვისაც მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის,** მაგრამ მიუხედავად ამისა, 21-ე საუკუნის გიგანტ სახელმწიფოსთან კავშირები ამ სიმარტივით არ უნდა შემოიფარგლოს. სამწუხაროდ, კავშირების განვითარებას ხელი ვერ შეუწყო ყოფილი პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის ჩინეთში ვიზიტებმა. ჩემი კოლეგა პარლამენტარი და მეცნიერი გივი ბოლოთაშვილი, რომელიც შევარდნაძეს ახლდა ჩინეთში, თავის გამოსვლაში აღნიშნავდა ჩინეთში ნანახით შევარდნაძის აღტაცებას. ბოლოთაშვილის განცხადებით, შევარდნაძე მოუხიბლავს ჩინეთის თავისუფალი ეკონომიკური ზონების წარმატებებს და საქართველოში მსგავსი ზონების შექმნის დიდი სურვილიც გასჩენია, თუმცა თბილისში დაბრუნების შემდეგ, გარკვეული წრის რჩევის შედეგად, პრეზიდენტმა აზრი შეიცვალა.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნით მიაღწია ჩინეთმა დღეს არსებულ ეკონომიკურ წარმატებებს. ნიაღვარივით მოვარდნილმა ამერიკულმა, ევროპულმა თუ აზიურმა ინვესტიციებმა ჩინური ქალაქები, თავიანთი იერსახით და ინფრასტრუქტურით ამერიკულს დაამსგავსეს.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის საკითხი არაერთხელ დაისვა საქართველოს პარლამენტში, უკანასკნელად 2003 წელს, სამწუხაროდ უშედეგოდ.

არადა, კანონპროექტი ჩინელი სპეციალისტების მიერ იყო შექმნილი. მიზეზი — ეკონომიკური ზონა პოლიტიკური დამოუკიდებლობის საწინდარი გახდებოდა. მკითხველმა განსაჯოს თბილისის აეროპორტის ან ბათუმის საზღვაო პორტის მცირე ნაწილში შექმნილი თავისუფალი ეკონომიკური ზონა, როგორ გახდებოდა დამოუკიდებელი?

საქართველო-ჩინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამოუკიდებლობის პირველსავე წლებში გაფორმდა. დიპლომატიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ თუ რამდენად სწრაფად ხდება საელჩოს გახსნა. ჩინეთი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საქართველოში გახსნა საელჩო. საქართველომ კი ამ შესაშურ მაგალითს ვერაფრით უპასუხა. თუმცა საგარეო უწყების ყოფილმა ხელმძღვანელმა ზურაბიშვილმა გასულ წელს ჩინეთში გახსნილი საქართველოს საელჩო თავის სასარგებლოდ მიიწერა. ეს ამბავი წარმატებად შეიძლება შეგვეფასებინა, რომ არა სინამდვილე, რომლის მიხედვით დაფნის გვირგვინი არა საქართველოს დიპლომატიას, არამედ ჩინეთს ეკუთვნის. **საქართველოს საელჩოს გახსნის თხოვნით გათანგულმა ჩინეთის ხელისუფლებამ, საკუთარი ხარჯებით გაუხსნა საქართველოს საელჩო პეკინში.** დიპლომატიაში ჩაუხედავი კაცისათვის ამაში თითქოს ცუდი არაფერია, მით უმეტეს, საქართველო დაჩვეულია სხვათა ფულით საელჩოების გახსნას. საგარეო უწყების დღევანდელ ხელმძღვანელს ალბათ ახსოვს თავისი პირველი დიპლომატიური ნაბიჯები, ყაზახეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენის ფულით გახსნილ საელჩოში, რაც წლების განმავლობაში გრძელდებოდა. არც შევარდნაძეს და არც პარლამენტს არ ანაღვლებდათ ასეთი დიპლომატიური გაუგებრობა, ვინაიდან არც ერთს არ ჰქონდა გათავისებული 1961 წლის ვენის კონვენცია დიპლომატიური სამსახურის შესახებ. კონვენცია არ იზიარებს დიპლომატიისა და ბიზნესის შეთავსებას, მით უმეტეს, მასპინძელი სახელმწიფოს მიერ წარმდგენი ქვეყნისათვის საელჩოს გახსნა-დაფინანსებას. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები ახალი ხელისუფლების დროსაც მეორდება.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.



## პრემიერა სარდაფში

# ხანუმ, კიდევ დაგრჩა კოჭლები, ბრუციანები, უშვილოები, ქვრივები გაუსაღებელი?!.

**... თეატრალური სარდაფის სივრცობრივ სცენაზე კლასიკად ქცეული კომედიის იმპროვიზაციული ვერსია გათამაშდა. რეზო გაბრიაძის „სამოთხის ჩიტის" სიუჟეტური ქარგა გოჩა კაპანაძის რეჟისორული სვლების ჩანაფიქრი აღმოჩნდა. „ხანუმა პარიზში" 4500-კარატიან მონტეროზას ბრილიანტის ქვირფასი ქვის ისტორიას უკავშირდება და სასიყვარულო ინტრიგებიც აქ იხლართება...**



ვინ არის ხანუმა და რა უნდა პარიზში ხანუმას? – თათრის მაჭანკალი, კეთილი, მაგრამ... ფული უყვარს, ფული! თუ ბედი გადატრიალდა, იქ ხანუმას სახელი უნდა ახსენო! – ასე ამბობენ... ხანუმა ფრანგებისთვისაც კი აღმოჩენაა, ჩავიდა პარიზში და... საქმეც გაჩარხა... სექსუალური ხანუმა ყველა სიტუაციას ერგება, მისი პიკანტური შარმის მაგნიტურ ძალში ყველა და ყველაფერი უძლურდება...

„ხანუმ, კიდევ დაგრჩა კოჭლები, ბრუციანები, უშვილოები, ქვრივები გაუსაღებელი?!.." – ეკითხებიან, პასუხად კი ხანუმას ირონიული მზერაც საკმარისია...

პარიზში ქართველების უდარდელობას, დარდიმანდობას არაჩვეულებრივად აღწერს რეზო გაბრიაძე, ისე ცოცხლად აღწერს XIX საუკუნის ადამიანებს, რომ... და სცენაზე ამ ძველ სახეებს იმპროვიზაციული ეფექტებით, ახალგაზრდა მსახიობები სუნთქვისა და მოძრაობის უნარს ანიჭებენ – სანდრო ჯანგირაშვილი (ხეჩოძ, დათო მელიჯანაშვილი (ვანო ფანტიაშვილიძ, ნინო ბაქანიძე (თეკლაძ, რუსიკო მელაძე (ხანუმაძ, ნინო დვალი (ქეთოძ, მიშა გაბისიანი (კოტეძ, ვანო ფირცხალაიშვილი (ზიპოძ, დათო ჯაფარიძე (პორფირიძ, ინგა ლაზარაშვილი (გულჩორაძ, ანა წოწორია (ვარდოძ, თამუნა ბურნაძე (ტასოძ, კახა შამუგია (პრეზიდენტი პლესი პიკეძ, თიკო იოსებიძე (მარკიზ დე შამბორანიძ, გეგა სალუქვაძე (ეიფერიძ, შმაგი ხაჟალია (კარდინალიძ...

მაშინ, როდესაც ხანუმა პარიზში დანავარდობდა, ძველი ტფილისი იყო ხმაურიანი და უდარდელი, ძველთაძველი მითებითა თუ ლეგენდებით გარინდებული, რეკვიური ნანგრევებით გარემოცული ქალაქი, რომელიც ხან პეტერბურგს ბაძავდა, ხანაც ევროპას ემსგავსებოდა... ასეა თუ ისე, იმდროინდელი პრესა „პარიჟანკებზეც" ოხუნჯობდა:

„... ერევნის მოედანზე სულ ერთმანეთზედ განათლებული მანდილოსნები გამოეფინებიან ხოლმე. რომ ნახოთ, იტყვით, ეს პარიჟის კეკლუცები აქ ვინ მოაგროვაო, შლაპითგან დაწყებული მაღალქუსლიანი პოლსაბოჟკებამდის სულ პარიზის წესზედ არიან აკენწლულნი, სიარული ხომ პარიჟული აქვთ და აქვთ, ზოგნი ფრანცუზულს კილოზედაც ლაპარაკობს და რადგანაც სამშობლო ენაზედ ლაპარაკი გაუნათლებლობის ნიშანია, ამისათვის ერთ სიტყვასაც ვერ გაიგონებთ ქართულს. ევროპამდე ჯერ შორსა ვართ... თათრის მოედანს კიდევ შერჩა კინტო, ყარაჩოღელი, ამქარი, შეგირდი და უსტაბაში. იმართება ყეენობა, კრივი, ყოჩების ჭიდაობა... სინჯამენ საპატარძლოებს ჭრელ აბანოებში. ახალმოდურ ნივთებს მზითევში გასათხოვარები აგროვებენ: თევზის კბილის სავარცხელი, ზინგერის ფირმის საკერავი მანქანა, თუთხმეტი კოჭი ნიტკის ძაფი, სარეცხი თოკი შპილკებით..."

პარიზელი ხანუმას თანამედროვე სცენური ვერსიის პრემიერას რეზო გაბრიაძე ვერ დაესწრო... ის პარიზშია. პარიზამდე კი ამ ძველი კომედიის ახალ სცენარში დრამატურგს მისეული კორექტივები არ შეუტანია...

– ამ ნაწარმოებზე დიდი სიამოვნებით ვიმუშავე... – ამბობს რეჟისორი გოჩა კაპანაძე, – აქ, საოცარი იუმორია და ეს იუმორი აგებულია კეთილ ადამიანებზე, ქართულ ხასიათზე...

პიესისა და სპექტაკლის სპეციფიკიდან გამომდინარე, მე შევეცადე ეს არ ყოფილიყო კომერციული სპექტაკლი და სპეციალურად ავარიდე თავი ე.წ. კომერციული „ტრიუკების" გამოყენებას, ანუ იმ საშუალებების ამოქმედებას, რითაც თეატრში მოიზიდავ მაყურებელს – სიშიშვლე, ეროტიკული სცენები, სექსი, ვითომ ტაბუდადებულ თემებზე ღიად საუბარი... რომელი სცენა შეიძლებოდა ყოფილიყო ეროტიკული? – ხანუმას სცენები, თუნდაც ხეჩოსა და გალიფეს ურთიერთობები... მათ აქვს ასეთი რამ: – ლოყა რად გამიტკლიცე მაგ დიდხალებიან ძუძუზე, იმ ძუძუზე კი გენაცვალეო. და ეს პასუხობს: – ჩუნემ, რას მიშვები ხეჩო?! – ჯერ არაფერს ჯეირანო... და გადიან კულისებში. აქ ხომ შეიძლება ის გაგრძელებულიყო, რასაც უპირებდა მას ხეჩო... მაგრამ მე ასეთ „ტრიუკებს" გავექეცი. რატომ? – ამ შემთხვევაში მასის გემოვნებამდე კი არ უნდა დახვიდე, არამედ მასის გემოვნების დახვეწაზე უნდა ზრუნავდე. თეატრი ელიტარული სამყაროა, სადაც საინტერესო თუ აქტუალურ თემებზე სხვა ენითა და კულტურით საუბრობენ ადამიანები ოდნავ შემაღლებული სივრციდან... და ვფიქრობ, სიმართლე იუმორისტული ტექსტით უფრო კარგად ისმის.

ვინ შეიძლება დღეს იყოს ხანუმა, ან გვჭირდება თუ არა თანამედროვე ურთიერთობების თავისუფალ ფორმებში ხანუმა? გაქრა თუ არა ეს არაორდინარული პერსონაჟი ნოსტალგიურ წარსულთან ერთად?

ხანუმას პროტოტიპები ახლა აღარ არსებობენ, დროის განმავლობაში ისინი გაქრნენ... ეს სპექტაკლი გარკვეული ნოსტალგია სულაც არაა იმ ეპოქისა, უბრალოდ, დასტური იმ თბილი, კეთილშობილური ადამიანური ურთიერთობებისა, რაც ასე გვაკლია დღეს. პიესის იუმორისტული დიალოგები, რომელიც აგებულია იმდროინდელი ინტერნაციონალური არგოდან, ახლაც საოცრად ცოცხლად ჟღერს, ყურს უხეშად არ ხვდება...

...ვაკის თეატრალურ სარდაფში საინტერესო პრემიერა გათამაშდა.

**მზეხა მახარაძე**

**სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „ხანუმა პარიზში".**

**ჯავარ ლომაძის ფოტო**

## ჭიდაობა

# „თავისუფლება" საქმე მოითავრეს, ჯერი „კლასიკოსებზე" მიდგა

**ვეჟის ბაღის კალათბურთის სასახლეში ორშაბათს დაიწყო და გუშინ დამთავრდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც 160-ზე მეტი ფალავანი მონაწილეობდა. იმის მიუხედავად, რომ ხალიჩაზე ობიექტური მიზეზების გამო ვერ ვიხილეთ სახელოვანი სპორტსმენები – ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ლუკა კურტანიძე, [illegible] – პაექრობები დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა.**

[illegible]



[illegible]

**კარისლებიდან:**

**55 კგ. 1. ბესარიონ გოჩაშვილი (გორიძ, 2. [illegible] (თეთრიწყაროძ, 3. ამირან [illegible] (გორიძ და [illegible] (ხაშურიძ.**

**60 კგ. 1. [illegible]**

**66 კგ. 1. [illegible]**

**74 კგ. 1. [illegible]**

**84 კგ. 1. [illegible]**

**96 კგ. 1. [illegible] (აფხაზეთიძ, 3. ლევან სეთურიძე (ყაზბეგიძ და მალხაზ ჯორბენაძე (თბილისიძ.**

**120 კგ. 1. ლექსო მოდებაძე (თბილისიძ, 2. კოჩა კერესელიძე (ამბროლაურიძ, 3. აკაკი საბაშვილი (ყვარელიძ და ლაზარე მარსაგიშვილი (ყაზბეგიძ.**

დღეს შეჯიბრებაში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები ჩაებმებიან.

**ვაჟა დანელია**

**სურათზე: ასპარეზობის მომენტი.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო**

## ჭადრაკი ოთხშაბათობით



# ჯიუტი ქართველი ოსტატი

**ქართული საჭადრაკო სკოლის საუკეთესო წარმომადგენელი, საერთაშორისო ოსტატი (1950ძ, საკავშირო კატეგორიის მსაჯი (1930ძ, პროფესიით ინჟინერი, თბილისის ბავშვთა საჭადრაკო სკოლის ხელმძღვანელი, ჟურნალისტი ვიქტორ გოგლიძე (1905, ურსატევსკაია, ტაშკენტთან; 1964, თბილისიძ ერთხელ საქართველოს (1928ძ, სამჯერ (1927, 1930, 1932ძ კი თბილისის ჩემპიონი გახდა.**

ამიერკავკასიის, უკრაინის და უზბეკეთის ტურნირებში საპრიზო ადგილები აქვს დაკავებული. საკვალიფიკაციო მატჩი მოუგო მოსკოვის ოთხგზის ჩემპიონს, საერთაშორისო ოსტატ ვ. ნენაროკოვს და სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა (1930ძ. იგი ქართველ მოჭადრაკეთა შორის პირველია, რომელმაც ეს წოდება მოიპოვა.

ვ. გოგლიძე საკავშირო ჩემპიონატების მრავალგზის მონაწილეა. საუკეთესო შედეგი 1937 წელს (V-VII ადგილებიძ აჩვენა. იგი პოზიციური სტილის მოჭადრაკე გახლდათ. ძლიერად თამაშობდა დაცვასა და კონტრშეტევებში. მრავალი საჭადრაკო წიგნისა და სტატიის ავტორია.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თაოსნობით, 1969-1986 წლებში თბილისმა უმასპინძლა ვ. გოგლიძის მემორიალებს. სულ გაიმართა შვიდი ტურნირი, რომელშიც ცნობილ დიდოსტატებთან ერთად ახალგაზრდა ქართველი მოჭადრაკეებიც ასპარეზობდნენ.

**თამაზ შენგელია**

### ვ. გოგლიძე – ა. ბანიკი

**რიგა 1954**



**თეთრების პაიკები აქტიურადაა განლაგებული – (e5!) მომგებიანი სვლაა.**

**თეთრები იგებდნენ შემდეგი სვლებით: 1. e5! fe 2. f5 gf 3. g5! hg 4. hg e4 5. g6 e3 6. მფ e1 კb5 7. g7 d3 8. g8ლ d2 9. მფd1 კd4 10. კb3+ მათ კი ითამაშეს 1. g5 fg 2. fg hg 3. hg მფb5 4. კf7 მფb4 5. კg6 მფc5 6. კh7 კc4 7. g6 მფd6 ყაიმი.**

## ზამთრის ოლიმპიური თამაშები

# გზა შამონიდან – ტურინამდე

**მესამე ზამთრის ოლიმპიური თამაშები ოკეანის გაღმა – ამერიკის ქალაქ ლეიკ-პლესიდში 4-15 თებერვალს გაიმართა. ოლიმპიადის ორგანიზატორებს ეშინოდათ, რომ ფინანსური სიძნელეების გამო შეჯიბრებაზე ბევრი ევროპული ქვეყანა ვერ ჩავიდოდა. ფაქტობრივად, ასეც მოხდა, თუმცა ლეიკ-პლესიდში 17 ქვეყნის 307-მა სპორტსმენმა (მათ შორის – 30 ქალიძ მოიყარა თავი. აქედან თითქმის ნახევარი (150 სპორტსმენიძ აშშ-ს და კანადის წარმომადგენელი იყო.**



მედლები 14 სახეობაში გათამაშდა. ყველაზე მეტი ჯილდო – 12 მედალი (6 „ოქრო", 4 „ვერცხლი", 2 „ბრინჯაო"ძ და არაოფიციალურ ჩათვლაში გუნდური პირველი ადგილი ამერიკელებმა მოიპოვეს. მეორე ადგილზე გავიდნენ ნორვეგიელები – 10 მედალი (3, 4, 3ძ, ხოლო 7 მედლით (1, 1, 5ძ მესამე ადგილი კანადელებს ხვდათ.

ახლოს იყო თავის მეოთხე ოქროს მედალთან შვედი ფიგურულად მოციგურავე გილის გრაფსტრიომი, მაგრამ მუხლის ქრონიკულმა ტრავმამ და მისი რეალური მეტოქის – ავსტრიელი შეფერის ბრწყინვალე გამოსვლამ მას საშუალება არ მისცა, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასულიყო.

მეოთხე ოლიმპიადის მასპინძლად გერმანული გარმიშ-პარტენკირხენი აირჩიეს 1936 წლის 6-16 თებერვალს. ჰიტლერული გერმანიის პოლიტიკურმა ატმოსფერომ ოლიმპიურ თამაშებზეც მოახდინა ზეგავლენა. „ნიურნბერგის კანონების" მიხედვით ებრაელები უმდაბლეს რასად გამოცხადდნენ. გერმანიაში ანტისემიტიზმს ლაღად ჰქონდა ფრთები გაშლილი. ოლიმპიურ სოფლებში საპირფარეშოების



გვერდით ასეთი წარწერებიც გაჩნდა: „ძაღლებს და ებრაელებს შესვლა ეკრძალებათ". ჰიტლერთან შეხვედრისას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, ბელგიელმა გრაფმა ანრი დე ბაიე-ლატურმა პროტესტი გამოთქვა: „ბატონო კანცლერო, ამგვარი წარწერები ოლიმპიურ ტრადიციას ეწინააღმდეგება", რაზეც ჰიტლერმა უპასუხა: „ბატონო პრეზიდენტო, როცა სტუმრად გიწვევენ, თქვენ არ ასწავლით მასპინძელს, როგორ მოუაროს სახლს. ასე არ არის?" ბაიე-ლატურმა სიტყვა არ შეარჩინა რაიხის ხელმძღვანელს: „მაპატიეთ კანცლერო, როცა სტადიონზე ხუთრგოლიანი დროშა ფრიალებს, ეს უკვე გერმანია აღარ არის, ეს არის ოლიმპია და იქ მასპინძლები ჩვენ ვართ"... წარწერები იმ დღესვე ჩამოხსნეს.

ყოველივეს მიუხედავად, 1936 წლის ოლიმპიადამ დიდი ბიძგი მისცა ზამთრის ოლიმპიური თამაშების განვითარებას. მართალია, გერმანიაში, პროტესტის ნიშნად, ბევრი ცნობილი სპორტსმენი არ ჩავიდა, მაგრამ მონაწილეთა რაოდენობა იმ დროისთვის მართლაც სარეკორდო იყო; მედლებისთვის პაექრობაში 28 ქვეყნის 765 სპორტსმენი (მათ შორის 76 ქალიძ მონაწილეობდა. თამაშების გმირი გახდა ციგურებით სწრაფმრბენი ნორვეგიელი, ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი ივან ბალანგრუდი, რომელმაც სამი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

მესამედ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ფიგურულად მოციგურავე სონია ჰენი, რომელიც 1936 წლის ოლიმპიადის შემდეგ ამერიკულ პროფესიულ ბალეტში (ყინულზეძ გადავიდა და ფანტასტიკურ წარმატებებს მიაღწია. ჩვიდმეტათასიან „მედისონ სკვერ გარდენში" მის სპექტაკლებზე ბილეთები არ იშოვებოდა. ჰოლივუდის 13 ფილმში მონაწილეობდა. იმ დროისთვის არცთუ მცირე თანხა – 76 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

რაც შეეხება ოლიმპიადის შედეგებს, არაოფიციალურ საერთო გუნდურ ჩათვლაში 15 მედლით (7, 5, 3ძ პირველობა ნორვეგიელებმა დაიბრუნეს. გერმანელებმა 6 მედლით (3, 3, 0ძ მეორე ადგილი დაიკავეს, ხოლო 7 მედლით (2, 2, 3ძ მესამე ადგილზე შვეიცარიელები გავიდნენ.

მეორე მსოფლიო ომმა შეუძლებელი გახადა 1940 და 1944 წლებში ზამთრის ოლიმპიური თამაშების გამართვა. მე-5 ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობა იკისრა შვეიცარიამ, რომელსაც ომის სუსხი არ შეხებია. სანქტ-მორიცის ოლიმპიურ სარბიელზე 1948 წლის 30 იანვრიდან 8 თებერვლის ჩათვლით 28 ქვეყნის 713 სპორტსმენი (მათ შორის – 77 ქალიძ 22 სახეობაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს. თავი გამოიჩინა ფრანგმა სამთო მოთხილამურემ ანრი ორეიემ, რომელმაც ჩქაროსნულ დაშვებასა და ორჭიდში ოქროს მედლები მოიპოვა, ხოლო სლალომში მესამე იყო.

საინტერესოდ წარიმართა ჰოკეისტთა პაექრობები. ფინალში ერთნაირი ქულების მქონე კანადელები და ჩეხოსლოვაკიელები შეხვდნენ ერთმანეთს. დაძაბული მატჩი ჰოკეისთვის იშვიათი ანგარიშით – 0:0 დამთავრდა. გატანილი და მილებული შაიბების სხვაობა უკეთესი ოკეანის გაღმელებს აღმოაჩნდათ და ჩემპიონობაც მათ ხვდათ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში 10 მედლით (4, 3, 3ძ პირველი ადგილი შვედებმა დაიკავეს. 9 მედლით (3, 4, 2ძ მეორეზე მასპინძლები გავიდნენ. ამდენივე მედალი (3, 4, 2ძ ჰქონდათ ამერიკელებსაც, მაგრამ მათ ოთხი ქულით ნაკლები აღმოაჩნდათ და მესამე ადგილი ერგოთ.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: ფრანგი ანრი ორეიე ტრასაზე.**


### შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს მის ბალანსზე რიცხული ტურბოგენერატორის რეალიზების შესახებ

**ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:**

– მესაკუთრე – შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგური", მისამართი – ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №52.

– სარეალიზაციო ქონება- ტურბოგენერატორი, გამოშვების წელი 1994, №НЭГЖ 874081 ПАЭС – 2500კვტ

– საწყისი ფასი შეადგენს 35 000 აშშ დოლარს

საკონკურსო პირობები:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

კონკურსში მონაწილეობის მიღების აუცილებელი პირობაა „ბე"-ს გადახდა, რომელიც შეადგენს 10000 (ათი ათასიძ აშშ დოლარს. „ბე"-ს გადახდა წარმოებს შესაბამისი კურსით ლარებში შემდეგ ანგარიშზე: „საქართველოს ბანკის" ფოთის ფილიალი, ა/ა 117253900, კოდი 220110535.

კონკურსში გამარჯვებულ პირს გადახდილი „ბე" ჩაეთვლება გადახდილად სარეალიზაციო საქონლის ღირებულებაში. დანარჩენ კონკურსანტებს გადახდილი „ბე" უბრუნდებათ უპირობოდ გამარჯვებულის გამოვლენიდან 30 დღის განმავლობაში.

საკონკურსო წინადადებაში უნდა იყოს დაფიქსირებული კონკრეტული თანხა. ფასი არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე დათქმაზე ან სხვა მონაწილის (პრეტენდენტებისძ მიერ წარმოდგენილ წინადადებაზე და ფასზე.

შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგური" არ აგებს პასუხს სარეალიზაციო ტურბოგენერატორის ნივთობრივი ნაკლის გამო. ტურბოგენერატორის დემონტაჟი და ფოთის ნავსადგურიდან გატანა ხორციელდება კონკურსში გამარჯვებულის მიერ საკუთარი ხარჯებით და ძალებით.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს 2006 წლის 3 თებერვლიდან 2006 წლის 6 მარტის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის №52 (ნავსადგურის სამმართველოძ. ტ. 8(293ძ 7-01-48.

განცხადების მიღების დაწყების დღიდან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს შეამოწმოს ტურბოგენერატორის ტექნიკური მდგომარეობა.

საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
2. კონკურსში მონაწილის პირადობის დამადასტურებელი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
3. „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
4. კონკურსში მონაწილე პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;
5. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტებს.

**– კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია სარეალიზაციო ქონების მაქსიმალური ფასის გადახდა.**

**შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგური"**

### შპს „ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ" აცხადებს ტენდერს მშრალი ტვირთების მზიდ კატერის გაყიდვაზე

**– გემის დანიშნულება: მშრალი ტვირთების მზიდი (General cargoძ**

– გემის აგების თარიღი: 1964წ.
– ჩაუტარდა შეკეთება: 2001წ.
– კორპუსი კარგ მდგომარეობაშია
– გემის დასახელება „კარგო"
– სიგრძე 27.3 მ, სიგანე 5.5 მ.
– ბორტის სიმაღლე 2.63 მ.
– საერთო წონა 77 ტ.
– ტვირთამწეობა 50 ტ.
– ძირითადი ძრავა 3Д - დიზელი, HP 300 ცხენის ძალა.
– საქართველოს დროშით;

**ფასი: 8 800 აშშ დოლარი**

გამყიდველი: შპს „ბათუმი ოილ ტერმინალ ლტდ" ბათუმი, მაიაკოვსკის ქ №4

საკონტაქტო პირი: ვასილ ტროფიმოვი

Tel/Fax: + 995 222 76006

E-mail: trofimovv@greenoakholdings.com

### სს „სტამბას" აქციონერთა საყურადღებოდ!

**2006 წლის 20 თებერვალს გაიმართება სს „სტამბას" აქციონერთა საერთო კრება**

დღის წესრიგი:

1. წლიური ანგარიშის მიღება;
2. სს „სტამბას" შესაძლო რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

კრების ჩატარების ადგილი – ლ. ასათიანის 22. დირექტორი რევაზ ციმნარიძე. საკ. ტელეფონი 899-75-20-66.

### სს „თათმანის" აქციონერთა საყურადღებოდ!

**2006 წლის 23 თებერვალს, 14 საათზე გაიმართება აქციონერთა საერთო კრება შემდეგ მისამართზე (ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №65ძ**

დღის წესრიგი:

1. განვლილი წლის სამეურნეო შედეგების განხილვა;
2. სააქციო საზოგადოების შპს-დ გარდაქმნა;
3. სხვადასხვა.

სს „თათმანის" სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2006 წლის 22 დეკემბერი.

### განცხადება

**2006 წლის 28 თებერვალს, დღის 12 საათზე თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №49 ბ-ში მოწვეულია სააქციო საზოგადოება „სასტუმრო ვაკის" რიგგარეშე აქციონერთა საერთო კრება.**

სააქციო საზოგადოება „სასტუმრო ვაკის" სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, კრების სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2006 წლის 20 იანვარი.

დღის წესრიგი:

1. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის საკითხი;
2. საზოგადოების საფირმო სახელწოდების შეცვლის საკითხი;
3. საზოგადოების საკუთრებაში არსებული მიწის გასხვისების საკითხი.

სააქციო საზოგადოება „სასტუმრო ვაკის" აქციონერებს კრებაში მონაწილეობის მიღების უფლება შეუძლიათ შეამოწმონ სააქციო საზოგადოება „სასტუმრო ვაკის" რეესტრის მწარმოებელთან შპს „კაპიტალ რეგისტრთან" 17 თებერვლიდან 27 თებერვლის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №55, ტელ. 20-03-84.

**თბილისი, 2006 წლის 1 თებერვალი.**


## ორბიტაზე



# ჩირაღდანი- ხელიდან ხელში

**ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქს – ტურინს – მიახლოვებულმა ოლიმპიურმა ცეცხლმა მილანიც „მოინახულა". წინასწარ დაირხა ხმა, რომ მეჩირაღდნეები იქნებოდნენ თანამედროვე მოდების ლეგენდა, კუტურიე ჯორჯო არმანი და ფეხბურთის ვარსკვლავი ანდრეი შევჩენკო.**

ქალაქის ცენტრალური ქუჩები ხალხით გაიჭედა. ცეცხლმა მილანს თითქმის შუაღამისას მიაღწია. უნდა ითქვას, რომ მის წინსვლას ხელს უშლიდნენ ანტიგლობალისტები. ზოგან პოლიციის ჩარევაც კი გახდა საჭირო.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩირაღდანმა მიაღწია დაცვითა და ცნობისმოყვარეებით გარშემორტყმულ არმანამდეც. 70 წლის მოდების ჯადოქარი ისე მკვირცხლად გაიჭრა წინ, რომ ყველა გააოცა. სულ მალე მან, ხალხის შეძახილებში „შევა", „ჯორჯო", ესტაფეტა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს გადასცა.

ეს საზეიმო ცერემონია პიაცე დუომოზე დასრულდა, სადაც შევჩენკოსგან ესტაფეტა რომ მიიღო, ოლიმპიურმა ჩემპიონმა სპორტულ ტანვარჯიშში იგორ კასინამ ოლიმპიური კოცონი ააგიზგიზა.

**სურათზე: ჯორჯო არმანი და ანდრეი შევჩენკო.**

# მიხაილ შუმახერი – ფავორიტი

**მიუხედავად შარშანდელი წარუმატებლობისა, ის მხოლოდ მესამე იყო, შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონი მიხაელ შუმახერი მაინც რჩება ავტორბოლაში „ფორმულა-1" წლევანდელი სეზონის ფავორიტად. ამ დღეებში მის შანსებს ძალზე მაღალი შეფასება მისცა „დიდი პრიზების" გენერალურმა პრომოუტერმა ბერნი ეკლსტოუნმა: „რასაკვირველია, შეიძლება ყველაფერი მოხდეს, მაგრამ მე პირადად მიმაჩნია, რომ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს ჯერ კიდევ ნამდვილად შეუძლია, გაზარდოს თავისი ტიტულების რაოდენობა".**

ხოლო რაც შეეხება თავად სახელგანთქმულ გერმანელ პილოტს, ის პესიმისტურადაა განწყობილი საყვარელ ფეხბურთში მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე მისი სამშობლოს ნაკრების წარმატებების მიმართ და აცხადებს, რომ „ფერარის" უფრო მეტი შანსი აქვს, გახდეს მსოფლიო ჩემპიონი, ვიდრე გერმანიის ფეხბურთელებსო.

# ფრანჩესკო მინუს ფრანჩესკი

**რატომღაც მოულოდნელად შეწყდა იტალიური კლუბის „ლივორნოს" ნახევარმცველის ფრანჩესკო კოკოსა და მოდელის ფრანჩესკ ლიდოს სასიყვარულო ისტორია. ახლა ამაზე გაჰყვირიან იტალიის ბულვარული გაზეთები. თუმც მათთვისაც ცნობილი არ არის ამ განხეთქილების მიზეზები. მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რომ ლიდო ახლოს აღარ ეკარებოდა შეყვარებულსო.**

აღსანიშნავია, რომ კოკომ რამდენიმე თვის წინათ ხელი სთხოვა სახელოვან მოდელსა და ბრილიანტიანი საქორწინო ბეჭედიც აჩუქა, მაგრამ ქორწილი ჩაიშალა...



**საეკლესიო კალენდარი**

# ღირსი ანტონ მესვეტე, მარტყოფელი



**1 თებერვალს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ღირს ანტონს, რომელიც ცამეტ ასურელ მამასთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში. ის კახეთში მოღვაწეობდა. მისმა მადლმოსილმა ლოცვამ და სასწაულებმა უამრავი ხალხი მიიზიდა.**

ღირსი ანტონი მუდამ თან ატარებდა მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს. ის მაცხოვრის ხატს ავედრებდა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას.

...უკაცრიელ ადგილას დამკვიდრებულ მოღვაწესთან ყოველ საღამოს მიდიოდნენ ირმები და თავიანთი რძით კვებავდნენ მას. ერთ საღამოს ირმები ადრე მივიდნენ, დაფეთებულნი. მათ უკან დაჭრილი ნუკრი მისდევდათ... ანტონი მათ კვალში ჩაუდგა და ნახა, რომ მთის ძირას, ველზე ვიღაც წარჩინებული ნადირობდა... მონადირემ დაინახა ბერი, რომელსაც გულზე ხატი ეკიდა და ისე იდგა ირმების ჯოგში. წარჩინებულმა საშიშ კაცად ჩათვალა უცნობი და მხლებლებს უბრძანა, წმინდანი მჭედელთან წაეყვანათ ხელის მოსაჭრელად, მაგრამ, როგორც კი მჭედელმა ხელი წმინდა მამის ხელის მოსაჭრელად აღმართა, „დავარდა ქუე და ხელნი, ვითარცა შეშანი შეექმნეს“. მომხდარით გაოგნებულ მჭედელს ენა ჩაუვარდა, წმინდა ანტონმა კი მას ჯვარი გარდასახა და განკურნა.

...წმინდა ანტონის სახელი მახლობელ სოფლებს მოეფინა. აუარებელმა ხალხმა იწყო სიარული მასთან. ანტონმა ხალხისთვის მონასტერი ააშენა, თვითონ კი მთის მწვერვალზე ავიდა სამოღვაწეოდ.

ღირს მამას უფლისგან წინასწარ ეუწყა ხორცთაგან განსვლის დღე. ღირსი ანტონი მის მიერ დაარსებულ მონასტერში დაკრძალეს ღვთისმშობლის ხატის წინ.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

**თითქმის ნატურიდან**

# ლობიოს გრიპი

— ვასიი, გამო კაცო, გამაიხედე.
— რა იყო, ბიჯო, კიდე ააფეთქეს რამე?
— რო აეფეთქებინათ, დენი ხო ჩართული უნდა გვქონოდა?
— აბა რაზე მეძახი?
— არაფერი ჭამო, სადილად ჩემთან გადმოდი.
— ღორი დაკალი?
— არა, ქათმები გავწყვიტე.
— გრიპი შენებსაც გაუჩნდათ?
— არა, მაგრამ შემეცოდნენ და გრიპით სიკვდილს ისევ დაკვლა ვამჯობინე.
— რა ამჯობინე, კაცო, შენი მუცლის ამოყორვა?
— თვითონ ასე მოისურვეს — ოღონდ გრიპს გადაგვარჩინე და მუცელიც ჩაგიხეთქიაო.
— ჰოდა, მარტომ ჩახეთქე, მე თავი გამანებე.
— შენზეც დამიბარეს — უიმისოდ არ შეგვჭამოო.
— ვერა, ვერ წამოვალ, მე ჩემი ქათმების ცოდოც მეყოფა.
— შენ რა, მარტო შეჭამე იმდენი დედლები?



— აბა რა მექნა, ცოლშვილმა პირი არ დააკარა და...
— გრიპისა შაეშინდათ?
— მაშ როგორ, საშიში რო არ იყოს, კანცელარია და პარლამენტი ქათამს მენიუდან არ ამოიღებდნენო.
— აბა რასა ჭამთ?
— ლობიოზე გადავედით. მართალია, მუცლის ბუყბუყი იცის, მაგრამ, სამაგიეროდ, სანდოა და იორლა.
— შენ ეგრე გეგონოს, ამ დილას ტელევიზორში თქვეს...
— რა თქვეს, კაცო? — პირკატა ეცა ვასიას.
— ისა, რომა, გრიპი ლობიოსაც გაუჩნდაო.
— არ დაიჯერო. ეგ რო მართალი იყოს, ჭიპაშვილი აქამდე სამჯერ მაინც გამოვიდოდა ტელევიზიით.
— არ გესმის საკითხი და ლაპარაკობ, ლობიო ჭიპაშვილს არ ექვემდებარება.
— აბა ვისა?
— ვისა და სვიმონიშვილსა, სოფლის მეურნეობა მაგისაქმეა.
— მერე, რო ჩასუქებულა, ენა არა აქ?
— რა ეჩქარება, საზღვარგარეთ ყოფილა, ჩამოვალაიტყვის.
— რა თქვეს, ლობიოსაც თურქეთში შეყრია გრიპი?
— არა, ისლანდიაშიო.
— რისგან გაუჩნდაო?
— ქათმისგან.
— აბა რას ამბობ, ლობიო რა, ქათამსა ჭამს?
— არა, მაგრამ ქათამი ხო ჭამს ლობიოს?
— ჩემი ქათმები, მაგალითად, არ ჭამდნენ.
— შენები არ ჭამდნენ, ისლანდიურები ჭამენ.
— ახლა რა უნდა ვქნათ? — ხელები გაშალა ვასიამ.
— წამო, ჩემ ქათმებს რო მოვრჩებით, მერე მოვიფიქროთ.
— დედაკაცოო, — ასძახა ვასიამ ცოლს, — ლობიოს რო ხარშავ, ახლავე გადაღვარე.
— რატო რა, შენ ქათმის სათქვლეფად მიდიხარ და ჩვენ ლობიოც აღარ ჩავხეთქოთ?
— ნუ იცი გაჯიუტება, ქალო, აგე, ნიკა ამბობს, გრიპი ლობიოსაც გაუჩნდაო.
— უი ქა, ლობიოს გრიპი აღარ გამიგია, — ავიშვიშდა ფაქიზო, — აღარც ქათამი ვჭამოთ, აღარც ლობიო, აბა რით ვიარსებოთ?
— არა უშავს, ეს ერთი თვეც და გაზაფხული წაგვეშველება.
— გაზაფხულზე რის იმედი გაქ?
— იონჯა შემოვა...

**ოთარ ხუციშვილი**

**SIC!**

# რატომ არ იყიდება ყველგან „საქართველოს რესპუბლიკა“?

**ჩვენი გაზეთის გამავრცელებელთა საყურადღებოდ!**

**„საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველები, ეს უკვე მერამდენედ, გულწრფელად და პრინციპულად შეგვახსენებენ, რომ გაზეთის გამავრცელებლები ზევრგან თავს არიდებენ**



**ამ მართლაც სანდო, აკადემიური, გაწონასწორებული, ტრადიციული, ყოველდღიური გამოცემის გაყიდვა-გავრცელებას.**

**მიზეზად ერთსა და იმავეს ასახელებენ: გაუყიდავ ეგზემპლარებს უკან არ იბრუნებენო!**

**ძვირფასო გამავრცელებლებო! — „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია და გაზეთის გამომცემელი შპს „თანადგომა-1“ კარგა ხანია ყველა გაუყიდავ ეგზემპლარს უპიროზოდ იბრუნებს უკან. ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ, მოითხოვეთ მეტი და მეტი „საქართველოს რესპუბლიკა“. ნუ მოაკლებთ ჩვენს ერთგულ მკითხველს ამ მართალი, პრინციპული, გამართული დედაქართულით შექმნილი გაზეთის წაკითხვის საშუალებას.**

**გაუყიდავ ეგზემპლარებს კი, თბილისშიც და ქუთაისშიც, ბათუმშიც და ოზურგეთშიც, ზუგდიდსა და სენაკშიც, გორსა თუ თელავშიც, ყველგან, მთელ საქართველოში, თითოეული გამავრცელებლისგან უკან დავიბრუნებთ. თუ თქვენ ამის საშუალება არა გაქვთ, დაგვიკავშირდით რედაქციაში ტელეფონებზე: 98-96-33 ან 98-96-32 და ჩვენ უზრუნველვყოფთ მათ დაბრუნებას.**

**კიდევ ერთხელ გთხოვთ, ყურად ილოთ ჩვენი თხოვნა. წარმატებული გამავრცელებლები წახალისდებიან.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია,
შპს „თანადგომა-1“

**ამინდი**

# თებერვალი დადგაო...

კლიმატური მონაცემებით, იანვართან შედარებით, თვის საშუალო ტემპერატურა თებერვალში მხოლოდ 0,5-1 გრადუსით მაღალია. მისი მნიშვნელობა შავი ზღვის სანაპირო ზოლში +5, +7, კოლხეთის დაბლობზე კი +4, +6 გრადუსია, ქვემო ქართლში, შიდა კახეთსა და დასავლეთ საქართველოს მთიან ზონაში 0, +4 გრადუსია, შიდა ქართლსა და გარე კახეთში — 0, -1, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში — 0, -4, ქვეყნის მაღალმთიან ზონაში -3, -8 გრადუსია.



ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი შავი ზღვის სანაპირო ზოლსა და კოლხეთის დაბლობზე +22, +27, ქართლსა და კახეთში +18, +24, მაღალმთიან ზონაში +10, +15 გრადუსს აღწევს.

ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი სანაპირო ზოლში -8,-12, კოლხეთის დაბლობზე -12, -16, ქართლსა და კახეთში -17, -22, მთებში -20, -25, მაღალმთიან ზონაში -26, -31 გრადუსამდე იკლებს.

ყველაზე მეტი ნალექიანობით ამ თვეში აჭარის სანაპირო ზოლი, გურია და აფხაზეთის მთიანეთი ხასიათდება (200-250 მმ), კოლხეთის დაბლობზე 115-150 მმ ნალექი მოდის, დასავლეთ საქართველოს მთებში — 90-170 მმ, ქართლსა და კახეთში — 20-50 მმ, აღმოსავლეთ საქართველოს კავკასიონის ფერდობებზე — 50-100 მმ.

ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა მიმდინარე წლის თებერვალში შავი ზღვის სანაპირო რაიონებში და კოლხეთის დაბლობზე მოსალოდნელია +6, +7 გრადუსი, შიდა ქართლში — 0, +1 გრადუსი, ქვემო ქართლსა და კახეთში +2, +4 გრადუსი, მთებში — 0, +3 გრადუსი, მაღალმთიან ზონაში -2, -5 გრადუსი, რაც დასავლეთ საქართველოში ახლოსაა საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობასთან, აღმოსავლეთ საქართველოში კი 1 გრადუსით მასზე მაღალია.

თვის ცალკეულ პერიოდში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით შავი ზღვის სანაპირო რაიონებში +1, -2 გრადუსამდე, კოლხეთის დაბლობზე -3, -6 გრადუსამდე, შიდა ქართლში -6, -9 გრადუსამდე, ქვემო ქართლსა და კახეთში -3, -7 გრადუსამდე, მთებში -7, -11 გრადუსამდე, მაღალმთიან ზონაში -14, -19 გრადუსამდე; თვის ცალკეულ დღეებში — ტემპერატურის მომატება დღისით დასავლეთ საქართველოს დაბლობში +17, +21 გრადუსამდე, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში +14, +18 გრადუსამდე, მთებში +10, +15 გრადუსამდე, მაღალმთიან ზონაში +6, +10 გრადუსამდე.

ნალექების რაოდენობა მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობაზე ნაკლები.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში დღის მაღალი ტემპერატურული რეჟიმი საშემოდგომო მარცვლეული კულტურების ვეგეტაციას განაახლებს. ღამით ცალკეულ დღეებში მოსალოდნელი უარყოფითი ტემპერატურა რამდენადმე შეანელებს მის აქტიურ ვეგეტაციას. ნათესები ტენით უზრუნველყოფილია, დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში ცალკეულ დღეებში მოსალოდნელი მაღალი ტემპერატურა სუბტროპიკულ კულტურებს ზამთრის მოსვენებითი მდგომარეობიდან ვერ გამოიყვანს.

საქართველოს მდინარეთა წყლიანობა მოსალოდნელია ნორმასთან ახლოს.

**ტესტი**

# აცივების ხომ არ გეშინიათ?

**ჩვენში ძლიერ აცივდა, ამას კი შეიძლება მოჰყვეს არაერთი დაავადების გავრცელება. თუ უპასუხებთ ტესტის კითხვებს, შეიტყობთ, რამდენად ხართ მზად ასეთი „განსაცდელისთვის“.**



**იკაჟებთ ორგანიზმს?**
ა) დიახ; ბ) არა.

**თქვენს რაციონში მუდამ არის ხილი და ბოსტნეული?**
ა) დიახ; ბ) არა.

**ამ ბოლო წლის განმავლობაში თუ იყავით გაცივებული?**
ა) დიახ; ბ) არა.

**რეგულარულად ილებთ პოლივიტამინებს?**
ა) დიახ; ბ) არა.

**გაქვთ უძილობასთან დაკავშირებული პრობლემები?**
ა) დიახ; ბ) არა.

**რამდენ საათს გძინავთ?**
ა) 8 საათს და მეტ ხანს; ბ) 8 საათზე ნაკლებ ხანს.

**ეწევით თამბაქოს?**
ა) დიახ; ბ) არა.

**ხშირად გტკივათ თავი, ხშირად გეხვევათ თავბრუ?**
ა) დიახ; ბ) არა.

**ხართ დაავადებული რაიმე ქრონიკული სნეულებებით?**
ა) დიახ; ბ) არა.

**ხშირად განიცდით სტრესს?**
ა) დიახ; ბ) არა.

**ბევრ დროს ატარებთ სუფთა ჰაერზე?**
ა) დიახ; ბ) არა.

**რეგულარულად ასრულებთ ფიზიკურ ვარჯიშებს და ხშირად დადიხართ ტრენაჟორების დარბაზში?**
ა) დიახ; ბ) არა.

**გაიკეთეთ საჭირო პროფილაქტიკური აცრები (მაგალითად, გრიპის წინააღმდეგ)?**
ა) დიახ; ბ) არა.

***ყოველი „ა“ პასუხისთვის დაიწერეთ 2 ქულა, „ბ“ პასუხისთვის კი — 0 ქულა.***

**შეაჯამეთ ქულები.**

**0 — 12 ქულა.** თქვენ რისკის ჯგუფში იმყოფებით. აუცილებლად შეცვალეთ თქვენი ცხოვრების წესი! პირველი ნაბიჯის სახით გაიკეთეთ აცრა გრიპის წინააღმდეგ. ეცადეთ თავიდან აიცილოთ სტრესები, მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე და თქვენს რაციონში შეიტანეთ პოლივიტამინები.

**14-22 ქულა.** თქვენ სათანადო ყურადღებას უთმობთ საკუთარ ჯანმრთელობას. და მაინც, პროფილაქტიკის სახით გამოიყენეთ ისეთი საყოველთაოდ აღიარებული ხალხური საშუალებები, როგორიც არის ხახვი, ნიორი, ლიმონი, თაფლი. ნურც ფიტოპრეპარატებს დაივიწყებთ. გახსოვდეთ, ავადმყოფობის თავიდან აცილება გაცილებით იოლია, ვიდრე მისგან განკურნება.

**24-30 ქულა.** აცივების პერიოდს ყოველმხრივ მომზადებული დახვდით! თქვენ უნარიანად უხამებთ ერთმანეთს პროფილაქტიკურ საშუალებებს და ცხოვრების ჯანსაღ წესს. თავისუფლად შეიძლება გქონდეთ იმედი, რომ თქვენი ორგანიზმი წარმატებით გაუმკლავდება „ყველა განსაცდელს“.

**ლარის კურსი**

**1 თებერვლიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2112 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8125 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1917 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0644 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9817 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4035 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5856 ლარი. |
| თურქული ლირა | 1 | 1,3669 ლარი. |
| ირანული რიალი | 1000 | 0,1990 ლარი. |
| ისრაელის შეკელი | 1 | 0,3909 ლარი. |
| უნგრული ფორინტი | 100 | 0,8703 ლარი. |
| რუმინული ლეი | 10000 | 0,6089 ლარი. |
| პოლონური ზლოტი | 1 | 0,5752 ლარი. |
| ბულგარული ლევი | 1 | 1,1210 ლარი. |
| იაპონური იენი | 10 | 0,1546 ლარი. |

**შევამჩნიეთ, ვასწორებთ**

გუშინ ჩვენი გაზეთის მე-3 გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში — **„გაიგეთ?! მგონი, ვიღაცა ალიელი მაჭავარიანი ჯილდა პრეზიდენტს პრესის ინსპექტორად გაუშწესებია“** — პირველი სვეტის ბოლოდან მეორე აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე:

**„თავი დავანებოთ იმას, რომ ჯილდამ არ იცის ან არ უნდა, რომ იცოდეს, რა გადაცემები დახურეს „მიშამ და მისმა გუნდმა“, მაგრამ როცა ეს ახლად გამომცხვარი ინსპექტორი ქვეყნის პრეზიდენტს ასე შინაურულად და ახლობლურად, თავის ამხანაგ მიშად იხსენიებს (და არა ერთხელ!ძ. გასაგები ხდება, რა მანძილიც აშორებს მანდილოსან ჟურნალისტს ჩვენს არცთუ დედათმოძულე პრეზიდენტისგან. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ხაზი გავუსვათ ჯილდას ჟურნალისტური სიამაყის სათავეს (ანდა იქნებ სულაც მიახლოების მიზნით ხდება ეს ყველაფერი. ვის არ უნდა, რომ პრეზიდენტს მოსწონდეს?!ძ“.**



მეუღლე ნორა სიჭინავა, შვილები ნელი, გენადი იოსავები, შვილიშვილები გიორგი, ანი იოსავები, ნინი ლოლაშვილი, ძმა ვალერიანი, რძლები მანანა გიორგობიანი, თალიკო გოგინავა, სიძე საშა ლოლაშვილი, ძმისწულები გულიკო, ვალერი იოსავები, დისწულები ლამზირა, ლია ელიავები, ბადრი კორტავა, მძახალი ციალა გელოვანი ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან

გიორგი (ხუტაძ იოსავას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 2, 3 II, 16 სთ. გამოსვენება 4 II, 14 სთ-ზე. ბროსეს ქ. №4.

---

ვალერიან იოსავა ოჯახით იუწყება ძმის

გიორგი იოსავას

გარდაცვალებას.

---

შპს „ბიზნეს ცენტრი ისანი“ თანაუგრძნობს თენგიზ აფხაძეს

დედის

გარდაცვალების გამო.

---

შპს „ისანი ჯგუფი“ თანაუგრძნობს თენგიზ აფხაძეს

დედის

გარდაცვალების გამო.

---

შპს „ტერმინალი ისანი“ თანაუგრძნობს თენგიზ აფხაძეს

დედის

გარდაცვალების გამო.

---

შპს „საქართველო-კასპიის ნავთობის და გაზის კომპანია“ თანაუგრძნობს თენგიზ აფხაძეს

დედის

გარდაცვალების გამო.

---

სამედიცინო ინსტიტუტის „თბილისის“ (რექტორი — პროფ. ნ. ბაქრაძეძ პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები თანაგრძნობას უცხადებენ თერაპიის ეროვნული ცენტრის დირექტორს ბ-ნ მერაბ კვიტაშვილს ძმის

თეიმურაზ კვიტაშვილის

გარდაცვალების გამო.

**ხსოვნა**

## ქეთევან ლაცაბიძე



„ქალბატონო ქეთევან“ — ასე მიმართავდნენ მას ოფიციალურად, ერთმანეთთან კი „დედა ქეთოდ“ მოიხსენიებდნენ თბილისის ლენინის რაიონის მცხოვრებნი და მუშა-მოსამსახურენი — რაიკომის მეორე მდივანს, რომელიც ამ თანამდებობაზე 27 წლის განმავლობაში ერთგულად და უანგაროდ ემსახურებოდა მათ.

**ქეთევან ლაცაბიძემ** უშურველად შეალია თავისი ცოდნა, უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილება და ზღვა ენერგია სამშობლოს, ხალხის, ერის საქმეს. „ავადსახსენებელი კომუნისტებიო“, ხშირად ამბობენ. ქეთევანი ასეთთა რიგებს არ ეკუთვნოდა. ქეთევან ლაცაბიძის მსგავსი ადამიანები ღრმა რწმენით ემსახურებოდნენ კეთილშობილურ იდეებს. ქეთევანი იმ მცირე გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც მუდამ იდგა კანონის უზენაესობის სადარაჯოზე და მისი საშუალებით აგვარებდა გაჭირვებულთა, მიუსაფართა, გზასაცდენილთა საქმეებს. სამწუხაროდ, დღეს ამაზე აღარ ლაპარაკობენ.

ქეთევან ლაცაბიძისა და მისი დიდებული მეუღლის გრიგოლ აფხაძის ოჯახის მყუდროებაში, მათი კეთილშობილი შვილების თენგიზისა და ნონას გვერდით აღვიზარდეთ დისწულები, ძმისწულები, მულისშვილები, მადლიერების გრძნობით შეკავშირებული სანათესაო ვიგონებთ ამ ოჯახში გატარებულ ბედნიერ წლებს. ვფიქრობთ და გვიკვირს, საიდან მოდიოდა სითბოს და სიყვარულის ის დიდი ნაკადი, რომელიც ყოველ ჩვენგანს ათბობდა.

კაფანდარა, მუდამ მოძრაობაში მყოფი, ძლიერი სულის, თავის სიმართლეში დარწმუნებული ქეთევან ლაცაბიძე იყო თბილისის უდიდესი რაიონისა და საკუთარი დიდი ოჯახის დიდი დიასახლისი.

დიდმა სევდამ შეგვყარა ყველა ერთად. ვემშვიდობებით დიდებულ ქალბატონს — დეიდას, მამიდას, ბიცოლას — უბრალოდ დედას, ვისაც არავისთვის დაუნანებია დედური სითბოს განაწილება.

მადლობა ყველაფრისათვის.

ღმერთო მაღალო, გევედრებით, სასუფეველი დაუმკვიდრე ქეთევან ლაცაბიძის დიდებულ სულს.

*გულწრფელი მწუხარებით მისი აღზრდილები*

**ანეკდოტები**

— ექიმო, ცოლი სისტემატურად მღალატობს, რქები კი არ მეზრდება!
— არც უნდა გაგეზარდოთ, ეს ხომ ხატოვანი გამოთქმაა!
— ჰო? მადლობა ღმერთს, თორემ შემეშინდა, კალციის ნაკლებობა ხომ არ მაქვს-მეთქი!

* * *

ტიპი კაფეში შევიდა:
— თუ შეიძლება, ერთი ბოთლი არაყი და ერთიც კოკა-კოლა მომეცით.
ნახევარი საათის შემდეგ იგივე მეორდება:
— ერთი ბოთლი არაყი და ერთიც კოკა-კოლა.
კიდევ ნახევარი საათის შემდეგ კვლავ არაყი და კოკა-კოლა მიაქვს.
ერთი საათის შემდეგ ისევ მოაკითხა გამყიდველს:
— მომეცით, თუ შეიძლება, ერთი ბოთლი არაყი და ისა... რა ჰქვია? ჰო, სპრაიტი, თორემ ამ კოკა-კოლისგან უკვე გული მერევა.

* * *

სუპერმარკეტის სასურსათო განყოფილების გამყიდველს კლიენტი ეუბნება, რომ ნახევარი ხახვის ყიდვა სურს.



გამყიდველი უხსნის, რომ აქ მხოლოდ მთლიანი ხახვი იყიდება და არა ნახევარი, მაგრამ კლიენტს არაფრის გაგონება არ უნდა.
გამყიდველი განყოფილების მენეჯერთან მივიდა, — სერ, — ეუბნება, — ერთ დებილს ნახევარი ხახვის ყიდვა სურს. მერე უკან მოიხედა და დაინახა, რომ ის კლიენტი ფეხდაფეხ შემოჰყოლია. გამყიდველი არ დაიბნა და დასძინა: — აი, ეს ბატონი კი თანახმაა, ხახვის მეორე ნახევარი წაიღოს.
— ყოჩაღ, მოხერხებულად გამოძვერი,— ეუბნება მენეჯერი, როდესაც მარტონი დარჩნენ, — სადაური ხარ?
— კანადელი, სერ.
— რად წამოხვედი კანადიდან?
— აბა, რა მეკეთებინა კანადაში? იქ მხოლოდ კახპები და ჰოკეისტები ცხოვრობენ.
— იცი, ჩემი ცოლი კანადელია.
— მართლა? რომელ გუნდში თამაშობს, სერ?

* * *

— ექიმო, არ ვიცი, რა ვქნა, ყოველ ღამე მესიზმრება, რომ ძროხა ვარ და თივას ვჭამ.
— მაგრამ ეს არ არის დიდი უბედურება.
— ჰო, მაგრამ, როდესაც ვიღვიძებ, ნახევარი ლეიბი შეჭმულია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
დირექტორი
თენგიზ კალანდაძე.
ქიზიყის ქ. №12,
ტ: 71-68-81, 899 797679

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ვილენ მარდალეიშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთ. რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.